საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

10 დეკემბერი ორშაბათი 2012 №292 (13 898) ფასი 80 თეთრი

# ქართველ ძალოსანთა ბრინჯაოს ფინიში




ეროვნული ბიბლიოთეკა

11

# საბანაძეს საბანი გორამდე გადასწვდა



ასე ტოვებდნენ გორში მსაჯები მოედანს



## მსაჯებმა და ტორპედოს სამმა ქულამ გორიდან ძლივს გააღწიეს




2-4

საკამათო ეპიზოდი ტორპედოს საჯარიმოში. იყო თუ არა პენალტი?

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები, გორიდან

# არის რეკორდი!




# Falca

რადამელ ფალკაოს ხუთი გოლი



7

# ზამთრის სუსხმა ზესტაფონშიც გაატანა: ზამთარაძემ და მუჯირმა ქუდები დაიხურეს...



2

დავით მუჯირი (მარცხნივ) და ზაზა ზამთარაძე ზესტაფონს აღარ გაწვრთნიან

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# იუნაიტედმა მანჩესტერი წითლად შეღება



რიო ფერდინანდს (მარჯვნივ) ტრიბუნიდან ხურდა ესროლეს და თავი გაუტეხეს

8

# გერმანიაში შტარკი აიჭრა

10

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XIX ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამოს მორიგი გასეირნება

08.12. თბილისი. მ. მესხი.
400 მაყურებელი

**სიონი 0**

**დინამო (თბ) 5**

0:1 კვარაცხელია(18. ჩისკოს პასით), 0:2 დვალი(22. ჩისკოს პასით), 0:3 ჩისკო(35. პენალტით), 0:4 ჩისკო(50. რობერტინიოს პასით), 0:5 ხმალაძე(75. ალვაროს პასით)

| სიონი (4-1-4-1) | დინამო (თბ) (4-3-3) |
|---|---|
| 3. ლობჟანიძე | ლორია |
| ორბელაძე | სეთურიძე |
| სვანაძე | გ. კვარაცხელია |
| მაჟავარიანი | ხიზანეიშვილი |
| ჩიკვილაძე | რეხვიაშვილი |
| ნემსაძე | ძარია |
| ჭედია | ხმალაძე |
| ჯიქია | მერებაშვილი |
| მანჯგავა | ალვარო |
| ქუცურუა | ჩისკო |
| ისიანი | დვალი |
| მწვრთნელი: ა.ჯელაძე | მწვრთნელი: დ.უჯრინი |

**სიონი**

46. ორბელაძე - **უზრეხელიძე**
58. ქუცურუა - **ოქროპირიძე**
63. ჭედია - **ფეიქრიშვილი**

*სათადარიგოები: ბობღიაშვილი, ჭანკოტაძე, ხურციძე*

**დინამო (თბ)**

46. მერებაშვილი - **რობერტინიო**
63. ხიზანეიშვილი - **გლიშიჩი**
80. ჩისკო - **კოტო**

*სათადარიგოები: ზარქუა, ტვილდიანი, ნ. კვეკვესკირი, ხოჭოლავა*

გაფრთხილება: ჭედია(26), ლობჟანიძე(35)

არბიტრი: თ. ხუჭუა



ჩისკოს (მარჯვნივ) ანგარიშზე ამჯერად ორი გოლი და ორიც საგოლე პასია

როგორც ანგარიშიდან ჩანს, „დინამოს" დაგეგმილი სამი ქულის მოპოვება არ გასჭირვებია. უნდა ითქვას ისიც, რომ მატჩი არა ბოლნისში, არამედ თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართა. ამის მიზეზი ბოლნისის სტადიონის საფარის ცუდი მდგომარეობა გახდა. ასე რომ, ნომინალური მასპინძლები სწორედ ქვემოქართლელები იყვნენ.

„სიონი" ბევრს ეცადა, მაგრამ მრისხანე მეტოქის შეჩერება ვერ შეძლო. თბილისელები მთელი მატჩის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდნენ და შესაბამისად, მათი ხარისხიანი თამაში გატანილ გოლებშიც აისახა. ერთპიროვნული ლიდერისა და ერთ-ერთი აუტსაიდერის დაპირისპირება თავიდანვე მაღალ ტემპში დაიწყო. სტუმრებმა საწყის წუთებშივე შეუტიეს და რამდენიმე დასამახსოვრებელი მომენტიც შექმნეს: ალსანიშნავია **ჩისკოსა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** დარტყმები, რომელიც არაზუსტი გამოდგა. თუმცა, სწრაფი გოლი მაინც ვიხილეთ: ჩისკოს კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი, მეკარის შეცდომის შედეგად **გივი კვარაცხელიას** მიუვიდა, რომელმაც ახლო მანძილიდან თავური დარტყმით დააწინაურა თავისიანები.

დინამოელები ამის შემდეგაც უტევდნენ, მათ არაერთი საგოლე მომენტიც გააცუდეს. ისინი ხან დამაგვირგვინებელ ფაზაში სცოდავდნენ, ხანაც უბრალოდ არ უმართლებდათ. კვარაცხელიას გადაცემის შემდეგ დვალს შეეძლო გატანა, თუმცა დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა. ტაიმის შუაწელს **ჯაბა დვალმა** მაინც იყოჩაღა და უპირატესობა ორამდე გაზარდა. თბილისელთა უპირატესობა თვალშისაცემი გახდა, ისინი მწვავედ უტევდნენ. მატჩის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელს ჩისკოს კიდევ მიეცა გატანის შანსი, თუმცა ახლო მანძილიდან ბურთი კარს ააცილა. სამაგიეროდ, 35-ე წუთზე მის წინააღმდეგ უხეში თამაშისათვის დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა და ანგარიში გამანადგურებელი გახადა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თამაშის ბედიც აქ გადაწყდა.

მეორე ნახევარიც დაახლოებით იმავე სცენარით წარიმართა. თბილისელებმა ანგარიშის გაზრდის არაერთი შესაძლებლობა ქარს გაატანეს. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ჩვენს მიერ არაერთხელ ნახსენები ჩისკოს, დვალისა და შეცვლაზე შემოსული **რობერტინიოს** მომენტები. ერთადერთი, ვინც მასპინძელთაგან აქტიურობდა, **გიორგი მანწკავა** იყო, რომელიც თანაგუნდელებთან შედარებით ბევრს მოძრაობდა, თუმცა რეალური ხიფათის შექმნა მეტოქის კართან მანაც ვერ მოახერხა. არადა, მისი შესრულებით გაცილებით უკეთესი თამაშები გვახსოვს. აქვე იყო **გიორგი ჭედიას** შორეული დარტყმა, რომელიც მცირე მანძილით ასცდა **გიორგი ლორიას** კარს.

ჩისკოს მორიგი გოლი რობერტინიოს ჩაუქრობას მოჰყვა: რობერტინიომ მარცხენა ფრთაზე ოსტატურად გააბითურა მეტოქე და ისე დაუგორა ბურთი პარტნიორს, რომ არგატანა შეუძლებელი იყო.

მეხუთე და საბოლოო გოლი კი **ლევან ხმალაძემ** გაიტანა. ამ მოგებით „დინამომ" სატურნირო ცხრილში პოზიციები გაიმყარა და ჩემპიონობისაკენ მიმავალი გზა კიდევ უფრო გაიკაფა.

**ბესიკ გვაზავა**

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ზესტაფონი

# არ ითვალისწინებთ ჩვენს პოზიციას? ჰოდა, კარგად ბრძანდებოდეთ!

## კოკაიას მუჯირი და ზამთარაძე ფიზკულტურის მასწავლებლები ეგონა?

"ზესტაფონის" ამბავი გეცოდინებათ – პირველი გუნდის უმეტეს ფეხბურთელებს კლუბმა ფინანსური სანქციები დაუწესა, რასაც ფეხბურთელების პროტესტი მოჰყვა. 8 დეკემბერს გასამართი ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრა "ჩიხურა"-"ზესტაფონი" გადაიდო, ამის გამო შეიცვალა ჩემპიონატის მომდევნო ორი ტურის კალენდარიც. "ზესტაფონი" დატოვეს გუნდის მწვრთნელებმა – **დავით მუჯირმა** და **ზაზა ზამთარაძემ** ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბარშიც განაცხადეს. არაოფიციალური ინფორმაციით, "ზესტაფონის" პირველ გუნდს მანამდე დუბლებში მომუშავე **გიორგი მიქაძე** გაწვრთნის.

მოკლედ, "ზესტაფონში" ჯერაც ვერ არის ბოლომდე გარკვეული სიტუაცია, კლუბი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, პრობლემა კი ერთ-ორ დღეში არ ჩნდება, ამას თავისი საფუძველი, ღრმა მიზეზები აქვს.

გასულ უქმეებზე მუჯირი და ზამთარაძე ჟურნალისტებს შეგვხვდნენ, ეს არ იყო ოფიციალური პრესკონფერენცია, ეს უფრო იმ ვითარების განხილვას ჰგავდა, რაც "ზესტაფონში" შეიქმნა.

"ზესტაფონის" ან უკვე ყოფილი მწვრთნელები შეწუხებულები იყვნენ მომხდარით, მათი თქმით, გუნდი ერთი ოჯახივით იყო, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს ერთმანეთში არანაირი პრობლემა არ ჰქონიათ.

მათ აგვიხსნეს, რომ "ზესტაფონის" ერთად განვრთნას სექტემბრის შუა რიცხვებიდან რომ შეუდგნენ, გუნდს გარდამავალი პერიოდი ჰქონდა, უმოკლეს ვადაში უნდა მომხდარიყო სიტუაციის გამოსწორობა, რადიკალური ზომების განხორციელების საშუალება კი არ იყო – ზედა ექვსეულში მოხვედრა, ეს დავისახეთ მიზნადო.

სიტუაცია "ზესტაფონში" 2 დეკემბერს შინ "ვიტ ჯორჯიასთან" მარცხის შემდეგ აირია, მანამდე "ზესტაფონმა" ბოლო ორ თვეში წააგო მხოლოდ "დინამოსთან" და "დილასთან". გუნდის ან უკვე ყოფილი მწვრთნელების თქმით, "ვიტ ჯორჯიასთან" მარცხის შემდეგ ფეხბურთელებს ხელფასის ნახევარი ჩამოეჭრათ. მათ გვითხრეს, რომ კლუბის პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება არ ყოფილა შეთანხმებული მწვრთნელებთან, ანუ ეს ერთპიროვნული გადაწყვეტილება იყოო.

კლუბს ჰყავს ხელმძღვანელობა, პრეზიდენტი, გუნდის ლერძი კი არის მწვრთნელი – ფეხბურთში ეს არის ორჯერ ორი ოთხი. მაგრამ საქართველოში სხვა ცხოვრება, სხვა რეალობაა. ოღონდ მწვრთნელს სამსახური და ხელფასი ჰქონდეს და ხშირ შემთხვევაში ყველაფერს ეგუება, ყველაფერზე თვალს ხუჭავს – ამის უამრავი მაგალითი არსებობს საქართველოში, პრინციპული მწვრთნელი ჩვენთან მართლაც ძვირი სანახავია. ეს კლუბის პრეზიდენტებმაც კარგად იციან. "ზესტაფონის" საქმეში ჩარევა ჟურ-



ზაზა ზამთარაძე და დავით მუჯირი

ნალისტის საქმე არ არის, მაგრამ თუ ამ კონფლიქტს ოდნავ მაინც ჩავუღრმავდებით, აქ სწორედ ამასთან უნდა გვქონდეს საქმე – საქართველოში არცთუ ცოტა მწვრთნელი კლუბის პრეზიდენტთან პატრონყმურ დამოკიდებულებაშია.

მუჯირმაც და ზამთარაძემაც ამის გამო გადაწყვიტეს "ზესტაფონიდან" წასვლა: კლუბის პრეზიდენტისთვის ჩვენი აზრი არაფერს ნიშნავს და კარგად ბრძანდებოდეთ!

"ზესტაფონის" ექსმწვრთნელებმა გუნდში მომხდარი ამბების დეტალებზეც ისაუბრეს.

"ზესტაფონის" პრეზიდენტი **ილია კოკაია** მიიჩნევს, რომ ფეხბურთელებისთვის და მწვრთნელებისთვის ხელფასის ნახევრის ჩამოჭრა სწორი გადაწყვეტილება იყო, მიუხედავად ამ ყველაფრისა, დეკემბრის ბოლომდე ვაპირებდით "ზესტაფონში" დარჩენას, მაგრამ ასე არ მოხდა, არ გვეგონა, თუ ფეხბურთელების პროტესტი ასე დიდი იქნებოდაო – გვითხრეს მუჯირმა და ზამთარაძემ. მათგან შევიტყვეთ, რომ საჯარიმო სანქცია შეეხო "ზესტაფონის" 19 ფეხბურთელს და ისინი ახლა თბილისში არიან, კოკაიასთან ერთად შეხვედრას აპირებდნენ, მაგრამ ამაზე უარი მიიღეს. წინა კვირაში, პარასკევს "ზესტაფონის" ოთხი ფეხბურთელი იყო დაბარებული კოკაიასთან: **ზურაბ მენთეშაშვილი, ზაალ ელიავა, ზურაბ მამალაძე** და **თორნიკე აფციაური**. ეს რომ გუნდმა გაიგო, ყველამ გადაწყვიტა თბილისში ჩამოსვლა და კოკაიასთან შეხვედრა, პროტესტის გამოხატვა მხოლოდ ამ ოთხეულმა კი არა, ჩვენ ყველამ გადავწყვიტეთო. დუბლშემადგენლობის ფეხბურთელები, სამი ლეგიონერი და ჩვენ, მწვრთნელები – ესენილა დავრჩით პარასკევს ზესტაფონში. ჩვენთან ისეთი კონტრაქტები ფორმდება, რომ ხშირ შემთხვევაში ფეხბურთელი არის მონა. ამიტომაც არის საჭირო ისეთი პროფკავშირის შექმნა, რომელიც დაიცავს ფეხბურთელების და მწვრთნელების უფლებებს. მწვრთნელი პრეზიდენტთან რომ შეათანხმებს პრემიების საკითხს და მერე პრემიების გაცემასთან დაკავშირებით შეფერხება თუ გაუგებრობ მოხდება, ამით მწვრთნელის ავტორიტეტი ეცემა. ძალიან განვიცდით იმას, რაც "ზესტაფონში" მოხდა, გუნდის გულშემატკივრების მდგომარეობაშიც შევდივართ და იმედს გამოვთქვამთ, რომ ვითარება მალე განიმუხტება. ჩვენ არავის არ ვუპირისპირდებით, კოკაია წლობით ხარჯავს ფულს ფეხბურთში და ეს ძალიან კარგია, მაგრამ მოქმედების ასეთ ფორმებს არ ვეთანხმებით. ერთი წაგების გამო ასეთი სანქციების გატარებას არ ვემხრობით, ბოლო ერთ თვეს თუ ავიღებთ, ნამდვილად არ იყო იმის საფუძველი, რომ ფეხბურთელები დაჯარიმებულიყვნენ, თანაც მწვრთნელების პოზიციის გაუთვალისწინებლად. საჯარიმო სანქცია მწვრთნელებისა და ფეხბურთელების გარდა გუნდის ექიმსაც კი შეეხო – ეს ყველაფერი მუჯირმა და ზამთარაძემ გვითხრეს, შეხვედრის ბოლოს კი ისიც მოგვახსენეს, როცა კლუბში ასეთი რალაცები ხდება, მწვრთნელის იქ დარჩენას აზრი ეკარგება, ჩვენ მწვრთნელები ვართ და არა ფიზკულტურის მასწავლებლებიო.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. XIX ტური

# გორში მარცხი აურზაურით დაბრუნდა

08.12. გორი. თ. ბურჯანაძე. 2 500 მაყურებელი

დილა 0
ტორპედო 1

0:1 საბანაძე (83)

| დილა 4-2-3-1 | ტორპედო 4-5-1 |
|---|---|
| საენდერი | მიგინეიშვილი |
| შაშიაშვილი | რიგვავა |
| სალუქვაძე | გ. გურული |
| გ. ონიანი | ზ. ჭელიძე |
| კვირკველია | ტაბატაძე |
| ბეჭვაია | ე. გრიგალაშვილი |
| გვალია | გიგაური |
| ახალკაცი | გ. დათუნაიშვილი |
| კლიმიაშვილი | კუხიანიძე |
| გორელიშვილი | ტულუში |
| ჟუნიორი | საბანაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. დარასელია | გ. გეგუჩაძე |

**დილა**

60. გვალია — **კახელიშვილი**
76. ახალკაცი — **მოდებაძე**
*სათადარიგოები:* შეყრილაძე, ალადაშვილი, აბურჯანია, თომაშვილი, ხოჯავა

**ტორპედო**

70. ტულუში — **ფანცულაია**
77. გიგაური — **ფირცხალავა**
*სათადარიგოები:* ქვილითაია, ვ. ბოლქვაძე, ვ. კვარაცხელია, იოსელიანი
გაფრთხილება: ბეჭვაია (47), გიგაური (52), გრიგალაშვილი (75), ფანცულაია (85), კუხიანიძე (90)
არბიტრი: ო. ხეცაძე


ასე გაჰყავდათ მსაჯები მატჩის შემდეგ — დავით ასპანიძის ფოტო

„დილამ“ განვლილ შაბათს, მშობლიურ თენგიზ ბურჯანაძის სახელობის არენაზე შვიდთვიანი პაუზის შემდეგ ნაგო. ბოლოს ამ სტადიონზე გორული გუნდი 18 აპრილს ასეთივე ანგარიშით დამარცხდა საქართველოს თასის ნახევარფინალში „გაგრასთან“. მასპინძლებმა ერადერთი გოლი მაშინაც მატჩის მიწურულს გაუშვეს, თუმცა იმ ნაგებას ზეიმი მოჰყვა, ვინაიდან ორი მატჩის ჯამში „დილა“ მაინც თასის ფინალში გავიდა და შემდეგ აიღო კიდეც. ჩემპიონატის შეხვედრა კი თენგიზ ბურჯანაძეზე გორელებს სულაც შარშანდელის მერე არ წაეგოთ. იქიდან მოყოლებული ეს გუნდი მხოლოდ სტადიონის რემონტის გამო სხვა არენებზე ჩატარებულ საშინაო შეხვედრებისას თუ აგებდა. ჩვენ ბოლოს ვწერდით კიდეც: „ამდენი გამარჯვების მერე გორელი მაყურებელიც გარკვეულწილად შეიცვალა და ახლა სულ კმაყოფილი იერი აქვს“ და აი „ტორპედოსთან“ შეხვედრაში ამ სტადიონზე მშობლიური კლუბის მარცხმა მაყურებლის რისხვა ისეთი აურზაურით დააბრუნა, დიდი ხანია რომ არ გვინახავს. ხმაური პირველი ტაიმის მიწურულს, 43-ე წუთზე მომხდარმა ეპიზოდმა გამოიწვია, როდესაც **ჟუნიორის** პასი **რომან ახალკაცმა** კარის სიახლოვეს მიიღო, მაგრამ **ზაზა ჭელიძესთან** ორთაბრძოლაში წაიქცა. ეს ეპიზოდი მატჩის შემდგომი პრესკონფერენციის დასრულების მერე, „დილას“ წარმომადგენლებმა სხვადასხვა რაკურსით გვაჩვენეს, სადაც ჩანდა, რომ ჭელიძე ნამდვილად ქაჩავდა მაისურზე ახალკაცს. თუმცა მთავარმა მსაჯმა **ოთარ ხეცაძემ** არც პენალტის დანიშვნა ჩათვალა საჭიროდ და არც მასპინძელი მობურთალის წაქცევა მიიჩნია სიმულაციად. საგულისხმოა, რომ სამიოდ მეტრში იმყოფებოდა დამატებითი არბიტრი **არსენ ნონიკაშვილი**. პენალტის არდანიშვნა გორელმა ფეხბურთელებმაც გააპროტესტეს და სტადიონზე შეკრებილმა პუბლიკამაც. მაყურებელი მეორე ტაიმშიც პერიოდულად მწვავედ რეაგირებდა არბიტრის ბევრ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ **სკენდერის** კარში გაშვებულმა გოლმა სულ მთლად გააშმაგა ისინი. განსაკუთრებით აქტიური აღმოსავლეთ ტრიბუნა იყო, საიდანაც პეტარდების სროლა ატყდა და ვინაიდან ამ საგნების მთავარ მსაჯამდე მიღწევა ჭირდა, აგრესიულმა ქომაგებმა სანაცვლოდ გვერდით მსაჯს, **ელიკაშვილს** დაატეხეს მთელი რისხვა. ხეცაძეს რამდენიმე წუთით მატჩის შეწყვეტა და „დილას“ ხელმძღვანელთათვის გულშემატკივართა დაშოშმინებისთვის მოწოდებაც დასჭირდა. ასეთ ვითარებაში თამაში, როგორც იქნა, დასრულდა, მაგრამ მსაჯებს მოედნიდან გასვლისასაც არ დააკლეს მაყურებლებმა ლანძღვაგინება.

ზემოთ აღნიშნული ინციდენტები სამწუხაროდ შეხვედრის მთავარ მოვლენად იქცა და სატურნირო ცხრილში ლიდერთა ბანაკის წარმომადგენელთა დაპირისპირების სათამაშო პერიპეტიები გადაფარა. არადა, მატჩი სულაც არ ყოფილა უინტერესო. ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელებმა აღნიშნეს კიდეც, რომ მათი შეგირდების გარჯით კმაყოფილნი არიან და რომ ფეხბურთელებმა მათი დავალებები კარგად შეასრულეს. მართლაც: როგორც სტუმარ, ისე მასპინძელ ფეხბურთელებს ეტყობოდათ, რომ სათამაშო დისციპლინის თვალსაზრისით ურიგოდ არ უმოქმედიათ. ქუთაისელებმა ე. წ. მეორე ნომრად ყოფნა არჩიეს და მატჩის სადავეები უმნიშვნელო უპირატესობით, მაგრამ მაინც „დილას“ ხელში მოექცა. მიუხედავად ამისა, პირველი ხიფათი „ტორპედომ“ მე-4 წუთზევე შექმნა, როდესაც **ტულუში- დათუნაიშვილის** კომბინაციის დაგვირგვინება **ნიკა საბანაძემ** ვერ შეძლო ნაყოფიერად. ეს უკანასკნელი სტუმრების ერთადერთი გამოკვეთილი მოიერიშე გახლდათ, მასპინძლები კი საგოლედ, პირველ ყოვლისა, **ჟუნიორზე** ამყარებდნენ იმედს. თუმცა, პირველი მატჩებისაგან განსხვავებით, ამ ბრაზილიელმა ლეგიონერმა ისევ უგოლოდ დატოვა მინდორი, ოღონდ საზოგადოდ ჟუნიორს ცუდად არ უმოქმედია, იგი კომბინაციათა დამაგვირგვინებელ ფაზაში საგოლე პასით გამორჩევას უფრო ცდილობდა. გორელებმა შესვენებამდე ორი აღსანიშნავი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ჯერ **ონიანს** და მერე **კლიმიაშვილს** სიზუსტე დააკლდათ. სტუმართაგან გამოვარჩევთ **ელგუჯა გრიგალაშვილს**. სწორედ მისი დარტყმული პირველი ტაიმის მიწურულს ხარიხას მცირედით გადაცდა. მეორე ნახევრის დებიუტში კი სწრაფი იერიშის და ძლიერი დარტყმის შემდეგ სკენდერმა გაჭირვებით მოიგერია. „ტორპედოს“ ეს ნახევარმცველი მერეც ბევრჯერ გამოირჩა. 58-ე წუთზე კი „დილას“ კაპიტან **ლაშა სალუქვაძეს** მართებდა გატანა, მან **კვირკველიას** ჩამოწოდების მერე ჟუნიორისგან მეტად სახეირო პოზიციაში მიიღო ბურთი, თუმცა არაზუსტად დაარტყა. 63-ე წუთზე ახალკაცის ჩაწოდებულს **გორელიშვილის** ძალიან სახიფათო თავური მოჰყვა, რომელიც **ომარ მიგინეიშვილმა** კარის ხაზზე გაჭირვებით დაიჭირა. ცოტა ხანში კლიმიაშვილის პასით ახალკაცს შეეძლო ეხეირა. **კახელიშვილის** თამაშში ჩართვასაც მოჰყვა ხიფათი მიგინეიშვილის კართან, თუმცა მისი ჩაწოდებული **მოდებაძემ** ვერ აქცია გოლად. ბოლოს კი ისევ ქუთათური გრიგალაშვილის შეტევას მოჰყვა შედეგი — მისი ძლიერი დარტყმისას, ბურთი სკენდერმა ვერ შეიმაგრა ხელებში, იქვე მყოფმა **საბანაძემ** კი კარში შეაგორა — 0:1.

**მატჩის შემდეგ**

**გია გეგუჩაძე** (ტორპედო): „გამართლდა ვარაუდი, რომ თამაში რთული გამოდგებოდა. ჩვენ სწორი ტაქტიკა შევარჩიეთ, ფეხბურთელებმაც დავალება შეასრულეს და შედეგიც დადებითი მივიღეთ. მსაჯის გადაწყვეტილებებზე მე კომენტარს ვერ გავაკეთებ“

**გიორგი დარასელია** (დილა): „ვფიქრობ, შეხვედრა ლამაზი გამოდგა, ორივე გუნდმა კარგად ითამაშა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ დავმარცხდით. მსაჯობაზე კი არაფერის თქმა არ მინდა, მით უფრო, რომ ამით საქმეს ახლა ალარაფერი ეშველება. არბიტრის გადაწყვეტილებების განსჯა თქვენთვის, ჟურნალისტებისთვის მომინდვია“

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან


თამუნა ყულიძგავაშვილის ფოტო

08.12. ზანმუხური 1000 მაყურებელი

ზუგდიდი 3
მერანი 2

0:1 ს. ლომია (19), 1:1 ქობალია (20), 2:1 დ. ბოლქვაძე (50), 2:2 ს. ლომია (63), 3:2 სიხარულია (69)

| ზუგდიდი 4-4-2 | მერანი 4-4-2 |
|---|---|
| ძაგანია | შეროზია |
| აფაქიძე | გეგეჭკორი |
| ს. თოდუა | კიკალიშვილი |
| გამეზარდაშვილი | ქარქუზაშვილი |
| აკობია | მელიავა |
| ტყემალაძე | დიდავა |
| სიხარულია | ბუკია |
| კოშკაძე | ფონიავა |
| დ. ბოლქვაძე | ნ. ნოზაძე |
| გაბედავა | კუჭუხიძე |
| ქობალია | ს. ლომია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | მ. ჟვანია |

**ზუგდიდი**

68. კოშკაძე – **შ. ლომია**
72. ბოლქვაძე – **რ. ონიანი**
*სათადარიგოები:* მერლანი, ბოიომო, წურწუმია, აქუბარდია, ეხვაია

**მერანი**

66. ნოზაძე – **ტორონჯაძე**
82. ს. ლომია – **ამბროლაძე**
*სათადარიგოები:* ბერია, მონიავა, გელაჭეიშვილი, შულაია, გეგია
გაფრთხილება: ბუკია (87)
არბიტრი: გ. დოგრაშვილი

**მატჩის შემდეგ**

**ელგუჯა ქომეთიანი** (ზუგდიდი): "ამ შედეგით ძალიან გახარებული ვარ. ზედიზედ ორი საშინაო მატჩი მოვიგეთ და ლიდერთა შორის ვართ. დღევანდელი შეხვედრა ჩვენთვის ძალიან რთული გამოდგა, მაგრამ გამარჯვებას ვიმსახურებდით".

**მალხაზ ჟვანია** (მერანი): "ორივე გუნდმა შემტევი ფეხბურთი ითამაშა და მაყურებელს სიამოვნება მიანიჭა. "ზუგდიდმა" დამსახურებულად გაიმარჯვა, რასაც ვულოცავ კიდეც. მარცხის მიუხედავად, ჩემი გუნდის მიმართ პრეტენზიები არ მაქვს".

**ლევან ჯანეზაშვილი**

11.12. ოანწმინდა. 14:00

**ჩიხურა-ზესტაფონი**

ურთიერთშეხვედრები:
3 მატჩი, 0 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება. ბურ. 0-2

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 19 | 14 | 4 | 1 | 57 | 16 | 46 |
| 2 | დილა | 19 | 13 | 1 | 5 | 30 | 12 | 40 |
| 3 | ტორპედო | 19 | 12 | 2 | 5 | 35 | 17 | 38 |
| 4 | ჩიხურა | 18 | 11 | 2 | 5 | 29 | 19 | 35 |
| 5 | ზუგდიდი | 19 | 10 | 5 | 4 | 26 | 16 | 35 |
| 6 | ზესტაფონი | 18 | 8 | 4 | 6 | 23 | 16 | 28 |
| 7 | მეტალურგი | 19 | 8 | 2 | 9 | 15 | 24 | 26 |
| 8 | მერანი | 19 | 6 | 2 | 11 | 16 | 30 | 20 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 19 | 5 | 5 | 9 | 13 | 25 | 20 |
| 10 | სიონი | 19 | 4 | 5 | 10 | 13 | 33 | 17 |
| 11 | დინამო (ბთ) | 19 | 3 | 3 | 13 | 20 | 42 | 12 |
| 12 | კოლხეთი | 19 | 0 | 3 | 16 | 10 | 37 | 3 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 15 |
| დვალი (დინამო თბ) | 14 |
| ალვარო (დინამო თბ) | 10 |
| საბანაძე (ტორპედო) | 9 |

**XX ტური**

**15 დეკემბერი. შაბათი**

მერანი-კოლხეთი
ტორპედო-ვიტ ჯორჯია
მეტალურგი-ჩიხურა
ზესტაფონი-სიონი
დინამო (თბ)-ზუგდიდი
დინამო (ბთ)-დილა

**ამონარიდი რეგლამენტიდან**

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);
2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;
3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);
7) თუ გუნდებს ეს მაჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. XIX ტური

# ფოთი შფოთავს: კოლხეთს და ფაზისს წყალი შეუდგა!

## მეგრული გულისწყრომა: გურული მწვრთნელია თუ მსაჯი?

08.12. ფოთი. ფაზისი. 200 მაყურებელი

კოლხეთი 1
დინამო (ბთ) 2

0:1 დიასამიძე (60), 1:1 გაბუნია (90+2. პ. დათუნაიშვილის პასით), 1:2 დიასამიძე (90+5)

| კოლხეთი 4-1-3-1-1 | დინამო (ბთ) 4-1-3-1-1 |
|---|---|
| ბუზუტეიშვილი | პიცანი |
| გ. კილასონია | თოდაძე |
| ფარულავა | ხუხია |
| ტყეშელაშვილი | ზ. ლობჟანიძე |
| გაბუნია | მაარიანი |
| ა. ჩხეტიანი | ი. კვეკვესკირი |
| პავლიაშვილი | გოგიტიძე |
| ქებაძე | ა. მუჯირი |
| ქორჩილავა | ცნობილაძე |
| კრასოვსკი | ბერიძე |
| ბუხაიძე | კლოვისი |
| მწვრთნელი ს. ფილია | მწვრთნელი გ. გურული |

**კოლხეთი**

46. ბუხაიძე - **კვანტალიანი**
46. ჩხეტიანი - **გოგონაია**
63. ქორჩილავა - **პ. დათუნაიშვილი**

*სათადარიგოები: ხარშილაძე, ცხვიტარია, კობერიძე, ცხადაია*

**დინამო ბთ**

57. ცნობილაძე - **დიასამიძე**
75. კლოვისი - **ვარშანიძე**
88. ბერიძე – **პ. გალაძე**

*სათადარიგოები: ტაკიძე, სიჭინავა, ბაციკაძე*

გაფრთხილება: ჩხეტიანი (17), კლოვისი (18), გოგონაია (60), ბერიძე (72), თოდაძე (85), კილასონია (87).

გაძევება: ფარულავა (85), კვეკვესკირი (90+5).

არბიტრი: თ. გვანცელაძე

... მატჩის დამატებული ბოლო წუთი იწურებოდა, როცა შეტევაზე დაგეშილმა „კოლხეთმა“ უკვე მერამდენედ მოიშიშვლა უკანა ხაზი და მეკარესთან პირისპირ დარჩენილ **ნიკა დიასამიძეს** დუბლის გაკეთების შანსი მისცა, რისი გამოყენებითაც შეცვლაზე შესულმა შუახაზელმა ბათუმელებს უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუტანა.

ამ მოგებით აჭარლებმა ერთი კონკურენტი, ფაქტობრივად, საბოლოოდ ჩამოიშორეს და პირველი ლიგის გზას გაუყენეს, ხოლო თავად კარგი წინაპირობა შეიქმნეს კიდევ ერთი კონკურენტისა და ქვედა ლიგაში დაქვეითების ასაცილებლად. ეგაა, გამარჯვების სიხარულის აღნიშვნისას, **ირაკლი კვეკვესკირს** ზედმეტი მოუვიდა — მაყურებელს უწმაწურად გაეპასუხა და მისსავე სეხნიამ, მეოთხე მსაჯმა **ირაკლი კვირიკაშვილმა** არბიტრ **თორნიკე გვანცელაძეს** შეხვედრაში მეორე ფეხბურთელის გაძევების რეკომენდაცია მისცა.

პირველად ეს დამხმარე მსაჯმა მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე გააკეთა, რითაც მასპინძლების აღშფოთება გამოიწვია: მოედნის ცენტრალურ ზონაში **კახა თოდაძე თემურ ფარულავას** უხეშად ეთამაშა, თუმცა „ხურდა“ კოლხმაც დაუბრუნა, რაც გაძევებად დაუჯდა. ფოთელებმა ჩათვალეს, რომ მეოთხე მსაჯმა კოლხი მცველის გაძევება სტუმართა თავკაცის, **გია გურულის** ზეწოლის შემდეგ მოითხოვა, რის გამოც მასპინძელთა რისხვა მსაჯებთან ერთად მწვრთნელსაც დაატყდა — **გურული** მწვრთნელია თუ მსაჯი, გაგვაგებინეთო!

... არადა, ეს იყო „კოლხეთისთვის“ ბოლო შანსი, ლიგაში დარჩენაზე რომ ეფიქრათ. მატჩის მიმდინარეობაც მასპინძლებისთვის ცუდს არაფერს მოასწავებდა, მაგრამ ჯერაც მოუგებელ კოლხებს ხომ აქამდეც იშვიათად იყო თავიდანვე დაეთმოთ სადავეები.

უკვე დასაწყისშივე შეეძლო **გიორგი კრასოვსკის** გატანა, მაგრამ სტუმართა კარის დარაჯს ვერ აჯობა. მე-15 წუთზე კი, **გიორგი ბუხაიძის** თავური წყალმა შეაჩერა, იქვე **ლაშა ქებაძის** გადაცემა კრასოვსკიმ გოლად კი აქცია, მაგრამ ლაინსმენმა თამაშგარე დააფიქსირა.

მატჩს თავისი დაღი წვიმამ დაასვა — რატომღაც „ფაზისის“ განახლებული მოედნის სადრენაჟე სისტემამ წყალი არ გაატარა და მობურთალებს აშკარად უჭირდათ გადაცემების გაკეთებაც და გადაადგილებაც.

ამ მხრივ ხშირად კოლხ მცველებს მოსდიოდათ შეცდომები — ერთხელ ცუდი მინდორი გაშვებულ გოლადაც დაუჯდათ, როცა უკანახაზელებს შეცვლაზე 2 წუთის შესული **ნიკა დიასამიძე** დაუსხლტათ და მანაც მწვრთნელის იმედები გაამართლა.

მეორედ კი **გიორგი ტყეშელაშვილის** საჩუქარი ვერ შეირგეს სტუმრებმა, როცა მცველმა **თორნიკე ბერიძეს** გაარტყა, ამ უკანასკნელმა **დიასამიძე** კი მოძებნა, მაგრამ მასპინძლები ფარულავას თავგანწირულმა თამაშმა გადაარჩინა.

ამის შემდეგ იყო ის ეპიზოდი, როცა კოლხები კაცნაკლულები დარჩნენ, რის შემდეგაც მოედანზე ვითარება უკიდურესად დაიძაბა, ხოლო მსაჯის მიერ დამატებული 5 წუთი ისე დრამატულად წარიმართა, მთელ მატჩს ეყოფოდა. მართალია, ზღვისპირულ „ტრილერში“ საბოლოოდ სტუმრებმა იმარჯვეს, მაგრამ ამაში ხელი მათ ფოთელებმაც შეუწყვეს. უბრალოდ, გაუგებარია პირველ დამატებულ წუთზე როგორ ვერ შეძლეს მასპინძლებმა გოლის გატანა, როცა ბათუმელთა მეკარის ბაქანში შექმნილი არეულობისას რამდენიმე კოლხს შეეძლო გატანა, საბოლოოდ შეცვლაზე შესულმა **შალვა კვანტალიანმა** კი დაარტყა, მაგრამ უკვე მცველები გადაეღობნენ და ბურთი კუთხურზე გადააგდეს.

ამ ეპიზოდში სტუმრებს კარის დარაჯი დაუშავდათ, **ივან პიცანმა** შეხვედრა კი გააგრძელა, თუმცა ერთ წუთში საკუთარ კარში დაეცა და ფეხზე წამოდგომა ველარ შეძლო. ამ დროს მასთან ერთად კარის ხაზს მიღმა ბურთიც იყო გადასული — **გიორგი კრასოვსკის** ფლანგურ ჩაწოდებას **პავლე დათუნაიშვილმა** ფეხი წაჰკრა და ცარიელ კართან მდგომ **ჯემალ გაბუნიას** გათანაბრება არ გასჭირვებია, 1:1.

ჯერ კიდევ სამი წუთი იყო დარჩენილი, თან სტუმრებიც 10 კაცით და კარში ჩამდგარი მინდვრის მოთამაშით დარჩნენ, რადგანაც „დინამოს“ სამივე შეცვლა უკვე გაკეთებული ჰქონდა და „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადის მიერ გაყვანილი **პიცანი** კარში **გელა გოგიტიძემ** შეცვალა.

თუმცა ფოთელებმა ამ შანსის გამოყენება ვერ მოახერხეს — არც „მეკარე“ შეუწუხებიათ თუნდაც შორეული დარტყმით, თავად კი ისე მოიშიშვლეს უკანა ხაზი, რომ ბოლო წამებზე საკუთარ კარში მიიღეს გოლი. აქვე აღსანიშნავია სტუმართა თავკაცის გადაწყვეტილება, უმეკაროდ დარჩენილ გუნდს უკან „ჩაჯდომა“ რომ არ დაავალა და მოსაგებად გაწეულებმა მიზანს მიაღწიეს კიდეც.

მართალია, იქვე სტუმრები უკვე კაცნაკლულები დარჩნენ, მაგრამ მალევე **თორნიკე გვანცელაძემ** საფინალო ჩასტვინა. მსაჯთა ბრიგადამ პოლიციის დახმარებით უწია სამშვიდობოს, არადა, ქომაგები მათკენ იწევდნენ.

სამწუხაროდ, ადგილობრივ ქომაგებთან შეხლა-შემოხლა მოუხდათ სტუმარ მობურთალებს — მათ შორის სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ ძალადობაში გადაიზარდა, რაც სამართალდამცველებმა დროულად ალაგმეს, ხოლო სტუმარი მობურთალების გამომქომაგებელმა უცხო პირმა ხელგაკავებულ ქომაგს ისეთი მოსცხო, ასფალტზე დაანარცხა. აქაც პოლიციამ და „კოლხეთის“ წარმომადგენლებმა იყოჩაღეს — მათ ლობეზე მომდგარი ქომაგებიც დააშოშმინეს, რითაც დიდი უსიამოვნება აიცილეს.

**მამუკა ქანთარია**
ფოთიდან

08.12. მცხეთა. მცხეთა პარკი. 350 მაყურებელი

ვიტ ჯორჯია 0
მეტალურგი 1

0:1 სიხარულიძე (67. სუხიაშვილის პასით).

| ვიტ ჯორჯია 5-4-1 | მეტალურგი 4-2-3-1 |
|---|---|
| დაუშვილი | ბათიაშვილი |
| ხურცილავა | ჯაფარიძე |
| გოგიაშვილი | მახვილაძე |
| კასრაძე | ინწკირველი |
| ადამაძე | სუხიაშვილი |
| ჯავაშვილი | რაზმაძე |
| ლიბრაძე | ი. მაისურაძე |
| ვასაძე | თექთურმანიძე |
| გურ. გურეშიძე | სიხარულიძე |
| კორიფაძე | გეწაძე |
| ე. ლობჯანიძე | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი: მ. კოჭლაშვილი | მწვრთნელი: გ. ყიფიანი. |

**ვიტ ჯორჯია:**

46. ლობჯანიძე - **გაბრიჭიძე**
61. ლიბრაძე – **დავლაშელიძე**
70. კასრაძე – **კუხალეიშვილი**

*სათადარიგოები: რეჭია, გეთიაშვილი, ტეტუნაშვილი, ჯულელი.*

**მეტალურგი:**

63. ტატანაშვილი – **გ. მიქაბერიძე**
75. თეთურმანიძე – **დობროვოლსკი**
90. გეწაძე – **ქავთარაძე**

*სათადარიგოები: ბედიაშვილი, ზ. ლობჯანიძე, ხიდეშელი, ხაბელაშვილი*

გაფრთხილება: ადამაძე (77), სიხარულიძე (77).

მსაჯი: დ. ხარიტონაშვილი

# ბოლო იმედის ქულები

## მეტალურგი ექვსეულს მიუახლოვდა

გასული სეზონის ვიცე-ჩემპიონს "მეტალურგს" წლეულს ცუდად წაუვიდა საქმე. ახლა რუსთაველებს საუკეთესოთა ექვსეულში მოხვედრაც სათუო გაუხდათ. ამდენად, **გიორგი ყიფიანის** გაწვრთნილებს მცხეთაში "ვიტ ჯორჯიასთან" მოგება ჰაერივით სჭირდებოდათ.

რუსთაველები "მცხეთა-პარკზე" მეტოქეზე ბევრად მოტივირებულები გავიდნენ. ისინი მეტოქეს კარგადაც იცნობდნენ: მთავარი მწვრთნელი და ხუთი მოთამაშე ხომ ექს-ვეტერინარები არიან – სათადარიგო მეკარე **გრიგოლ ბედიაშვილი, ლაშა ჯაფარიძე, ლექსო ინწკირველი, ლუკა რაზმაძე** და **ირაკლი სიხარულიძე**.

საუკეთესოებში მოხვედრის თეორიული შანსი "ვიტ ჯორჯიასაც" აქვს. ამიტომ შეხვედრა ერთობ დაძაბული გამოდგა. თუმცა, პირველი ტაიმი საკმაოდ უფერული იყო. თავად განსაჯეთ: პირველად კარის მიმართულებით 24-ე წუთზე მასპინძლებმა დაარტყეს; მეტნაკლებად სახიფათო შეტევა სტუმრებმა კი 35-ე წუთზე გაითამაშეს: მარცხენა ფლანგიდან **ანზორ სუხიაშვილის** გადაცემის შემდეგ **გიორგი თექთურმაძემ** ბურთი კარში გაგზავნა, თუმცა **ნიკა დაუშვილი** უშეცდომო გახლდათ. "ვიტ ჯორჯიას" კარის დარაჯმა საიმედოდ ითამაშა 39-ე წუთზეც, როდესაც **დიმიტრი ტატანაშვილმა** შეუტია.

რუსთაველები გაცილებით მეტ დროს სწორედ მეტოქის ნახევარზე ატარებდნენ. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა თამაში 5 მცველით დაიწყეს და მეტოქის შეტევებს თავიდან იოლად უმკლავდებოდნენ.

მეორე ნახევარი ბევრად უფრო საინტერესოდ წარიმართა და მომენტებიც საკმაოდ შეიქმნა. მატჩი კვლავ სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა. მარცხენა ფლანგიდან აქტიურად და სასარგებლოდ უტევდა სუხიაშვილი. 51-ე წუთზე მისი გარღვევა საჯარიმოში კარგი გადაცემით გაგრძელდა, მაგრამ **ირაკლი სიხარულიძის** თავური დარტყმის შემდეგ ბურთი მეკარის ნადავლი გახდა. ანგარიშის გახსნა საჯარიმო დარტყმით **რევაზ გეწაძემაც** სცადა და კვლავ უშედეგოდ.

მერე "ვიტ ჯორჯიას" დრო დადგა: **მიხეილ მახვილაძე** ბურთს მეკარე **ზურაბ ბათიაშვილს** აწვდიდა, მაგრამ შეცდა, მასპინძელთა თავდამსხმელმა **ლაშა გაბრიჭიძემ** გადაცემა ჩაჭრა და ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

59-ე წუთზე შეტევა კვლავ გაბრიჭიძემ გაამწვავა, მაგრამ საჯარიმო ხაზიდან დარტყმული ბურთი ზურაბ ბათიაშვილმა კუთხურზე მოიგერია.

67-ე წუთზე მასპინძელთა კარის ბადე მაინც შეირხა: ანზორ სუხიაშვილმა ფლანგიდან კიდევ ერთხელ შეუტია და საჯარიმოში ირაკლი სიხარულიძე მოძებნა, რომელმაც მცველებს დაასწრო, მაღალ ბურთს ფეხით შესწვდა და "ცხრიანში" ეფექტურად გაგზავნა – 0:1.

გამოუვალმა მდგომარეობამ „ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელი **მერაბ კოჭლაშვილი** აიძულა, ხუთიდან ერთ-ერთი მცველი (**ლაშა კასრაძე**) თავდამსხმელით (**ლევან კუხალეიშვილი**) შეეცვალა. თუმცა სახიფათო მომენტები ისევ რუსთაველებმა შექმნეს. მართალია, **ლაშა ჯაფარიძემ** და რევაზ გეწაძემ ვერ გაიტანეს, მაგრამ "მეტალურგმა" მანამდე მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნა, დამსახურებულად გაიმარჯვა და ექვსეულში მოხვედრის მცირე შანსი შეინარჩუნა.

**მერაბ მამულაშვილი**

წლის ლაურეატები

# ფედერაცია საუკეთესოთა გამოვლენას იწყებს

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ "ფეისბუქის" გვერდზე წლის შემაჯამებელი გამოკითხვა დაიწყო. ერთი კვირის განმავლობაში, გულშემატკივარს საშუალება ექნება, ხმა მისცეს 2012 წლის საუკეთესო ქართველ ლეგიონერს.**

*"გამოკითხვა 8 დეკემბერს საღამოს დაიწყო. 20-კაციანი სია ორ ათეულად გაიყო. ორივე ათეულში ხმის მიცემა მხოლოდ თითო მოთამაშეზეა შესაძლებელი. ერთი კვირის შემდეგ, საუკეთესო ხუთეულები ერთ ათეულად დაჯგუფდება და საბოლოო ეტაპის გამარჯვებულის გამოვლენა დაიწყება. თვის ბოლოს, გულშემატკივართა რჩეულს წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე ფეხბურთის ფედერაცია წლის საუკეთესო ლეგიონერის პრიზს გადასცემს"* – გვითხრა ფედერაციის პრესსამსახურის თანამშრომელმა **ოთარ გიორგაძემ**.

**პირველი ათეული**

გურამ კაშია („ვიტესი“, ჰოლანდია)
მურთაზ დაუშვილი („კარპატი“ ლვოვი, უკრაინა)
დავით თარგამაძე („ილიჩევეცი“, უკრაინა)
ნიკა ძალამიძე („იაგელონია“, პოლონეთი)
ლევან ყენია („კარპატი“ ლვოვი, უკრაინა)
გიორგი ფოფხაძე ("ბაკი", აზერბაიჯანი)
ალექსანდრე იაშვილი („ბოხუმი“, გერმანია)
დავით დევდარიანი („ორჰუსი“, დანია)
გია გრიგალავა („ვოლგა“, რუსეთი)
ირაკლი სირბილაძე (ტურკუს „ინტერი“, ფინეთი)

**მეორე ათეული**

ალექსანდრე ამისულაშვილი („კრასნოდარი“, რუსეთი)
ალექსანდრე კობახიძე („არსენალი“ კიევი, უკრაინა)
თორნიკე ოქრიაშვილი („ილიჩევეცი“, უკრაინა)
ჯანო ანანიძე („სპარტაკი“ მოსკოვი, რუსეთი)
ბაჩანა ცხადაძე („ინტერი“ ბაქო, აზერბაიჯანი)
ზურაბ ხიზანიშვილი („ქაისერისპორი“, თურქეთი)
ლადო დვალიშვილი („პოლონია“, პოლონეთი)
ჯაბა კანკავა („დნიპრო“, უკრაინა)
მამუკა ლონლაძე („დაუგავა“, ლატვია)
უჩა ლობჟანიძე („კრივბასი“, უკრაინა)



გურამ კაშია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშესაც დაასახელებს. თუმცა, ამ შემთხვევაში მხოლოდ უმაღლესი ლიგის გუნდების მთავარი მწვრთნელები, კაპიტნები და ეროვნული ჩემპიონატის გამშუქებელი ჟურნალისტები გამოიკითხებიან. გიორგაძის თქმით, მათ კანდიდატთა სია უახლოეს დღეებში დაურიგდებათ.

**მერაბ მამულაშვილი**

## ლეგიონის ცხრილი

| ფეხბ. | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენ. | სტატ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 34 | ბოხუმი | დინამო ზ. | 3:0 (მ) | არ უთამ., სათად. | 17 თ. |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 27 | ბოხუმი | უნიონი | 1:2 (მ) | 83-ე წთ-დან | 8 თ, 1 გ. |
| ლევან კობიაშვილი | 35 | ჰერტა | პადერბორნი | 1:0 (მ) | დისკ. | 0 თ. |
| **იტალია. სერია ბ. XVIII ტური** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 22 | ემპოლი | ჩეზენა | 3:1 (მ) | არ უთამ. | 6 თ. |
| ირაკლი შეყილაძე | 20 | ემპოლი | ჩეზენა | 3:1 (მ) | არ უთამ. | 5 თ. |
| **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 22 | ლე მანი | ევრეუ | 1:0 (მ) | არ უთამ., სათად. | 1 თ. |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| ჯაბა კანკავა | 26 | დნიპრო | არსენალი | (მ) | 2 მარტს | 16 თ, 2 გ. |
| ალექსანდრე კობახიძე | 25 | არსენალი | დნიპრო | (მ) | | 16 თ, 2 გ. |
| დავით თარგამაძე | 23 | ილიჩევეცი | მეტალურგი ზ. | (მ) | | 17 თ, 1 გ. |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 20 | ილიჩევეცი | მეტალურგი ზ. | (მ) | | 17 თ, 1 გ. |
| ჯაბა ლიპარტია | 24 | ზარია | ზაკარპატია | (მ) | | 16 თ, 1 გ. |
| უჩა ლობჟანიძე | 25 | კრივბასი | დინამო კ. | (მ) | | 16 თ. |
| მურთაზ დაუშვილი | 23 | კარპატი | ტავრია | (მ) | | 12 თ. |
| ლევან ყენია | 21 | კარპატი | ტავრია | (მ) | | 10 თ, 2 გ. |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. XVI ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 25 | ვიტესი | ვენლო | 1:3 (მ) | 90 წთ | 16 თ, 1 გ. |
| გიორგი ჭანტურია | 19 | ვიტესი | ვენლო | 1:3 (მ) | არ უთამ. | 1 თ. |
| ვაკო ქაზაიშვილი | 19 | ვიტესი | ვენლო | 1:3 (მ) | არ უთამ. | 0 თ. |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| ჯანო ანანიძე | 20 | სპარტაკი | რუბინი | (მ) | დღეს | 11 თ, 2 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | 25 | კრასნოდარი | როსტოვი | 3:2 (მ) | არ უთამ. | 4 თ. |
| ალექს. ამისულაშვილი | 30 | კრასნოდარი | როსტოვი | 3:2 (მ) | არ უთამ., სათად. | 15 თ. |
| შოთა გრიგალაშვილი | 26 | ალანია | ყუბანი | 0:0 (მ) | არ უთამ. | 9 თ. |
| გია გრიგალავა | 23 | ვოლგა | ლოკომოტივი | 1:0 (მ) | 90 წთ | 17 თ, 1 გ. |
| **თურქეთი. სუპერლიგა. XV ტური** | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 31 | კაისერი | ტრაბზონი | 1:1 (მ) | 90 წთ, გაფრთ | 11 თ. |
| **რუმინეთი. ლიგა I. XVIII ტური** | | | | | | |
| კაკაი ხუბუტია | 26 | გაზ მეთანი | პანდურიი | 1:1 (მ) | არ უთამ. | 7 თ. |
| **დანია. სუპერლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 24 | ორჰუსი | სილკებორგი | (მ) | დღეს | 13 თ, 3 გ. |
| დავით სხირტლაძე | 19 | ორჰუსი | სილკებორგი | (მ) | | 8 თ, 1 გ. |
| მათე ვაწაძე | 23 | ორჰუსი | სილკებორგი | (მ) | | 8 თ, 2 გ. |
| **პოლონეთი. ეკსტრაკლასა. XV ტური** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 26 | პოლონია | პოგონი | (მ) | დღეს | 14 თ, 6 გ. |
| ნიკა ძალამიძე | 20 | იაგელონია | რუხი | 1:1 (მ) | 90 წთ | 15 თ, 4 გ. |
| **აზერბაიჯანი. პრემიერლიგა. XVI ტური** | | | | | | |
| გიორგი ლომაია | 33 | ინტერი | აზალ | 0:0 (მ) | 90 წთ | 12 თ. |
| რევაზ თევდორაძე | 24 | ინტერი | აზალ | 0:0 (მ) | არ უთამ. | 3 თ. |
| ვალერი აბრამიძე | 32 | ინტერი | აზალ | 0:0 (მ) | არ უთამ. | 6 თ. |
| ილია კანდელაკი | 30 | ინტერი | აზალ | 0:0 (მ) | არ უთამ. | 9 თ. |
| გიორგი ადამია | 31 | ინტერი | აზალ | 0:0 (მ) | არ უთამ. | 4 თ, 1 გ. |
| ბაჩანა ცხადაძე | 24 | ინტერი | აზალ | 0:0 (მ) | 71-ე წთ-მდე | 12 თ, 4 გ. |
| გიორგი ფოფხაძე | 25 | ბაქი | თურანი | (მ) | დღეს | 7 თ. |
| ნუგზარ კვირტია | 28 | თურანი | ბაქი | (მ) | | 7 თ. |
| ირაკლი ბერაია | 28 | თურანი | ბაქი | (მ) | | 10 თ. |
| გოგი ფიფია | 27 | თურანი | ბაქი | (მ) | | 8 თ, 2 გ. |
| **სამხრეთ აფრიკა. XIV ტური** | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 30 | მოროკა სვოლ. | სუპერ სპორტი | 1:3 (მ) | 90 წთ | 14 თ. |

## თურქეთი

### სუპერლიგა. XV ტური

**ბეშიქთაში-ესქიშეჰირი** 2:2

გოლები: 1:0 ჰოლოშკო (6), 2:0 უგო ალმეიდა (66), 2:1 ათესი (82-პენ), 2:2 ნუიუ (90)

**ელაზიგი-მერშინი** 1:0

გოლი: 1:0 კალოლლუ (66)

**კასიმფაშა-გენჩლერბირლიგი** 2:2

გოლები: 0:1 დურმაზი (49), 1:1 უჩე (56), 1:2 ლეკიჩი (58), 2:2 აიჰანი (90)

**გაზიანთეფი-ქარაბიუქი** 0:2

გოლები: 0:1 დეუმი (4), 0:2 ლუალუა (16)

**სივასი-გალათასარაი** 1:3

გოლები: 0:1 უმუთ ბულუთი (1), 1:1 კილიჩი (18), 1:2 ბ. ილმაზი (35), 1:3 უმუთ ბულუთი (58)

**ბურსა-ორდუ** 1:0

გოლი: 1:0 შესტაკი (89)

**ტრაბზონი-ქაისერი** 1:1

გოლები: 0:1 დურსუნი (9), 1:1 ადინი (79)

**ფენერბაჰჩე-ბუიუქშეჰირი** 2:1

გოლები: 1:0 ბარონი (5), 1:1 ვებო (19), 2:1 ირტეგუნი (79)

**ახიშარი-ანთალია** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 15 | 8 | 5 | 2 | 32-19 | 29 |
| 2. ფენერბაჰჩე | 15 | 7 | 6 | 2 | 23-14 | 27 |
| 3. ბეშიქთაში | 15 | 7 | 5 | 3 | 34-23 | 26 |
| 4. ანთალია | 14 | 8 | 2 | 4 | 25-19 | 26 |
| 5. ესქიშეჰირი | 15 | 6 | 5 | 4 | 29-19 | 23 |
| 6. კასიმფაშა | 15 | 6 | 5 | 4 | 24-17 | 23 |
| 7. ტრაბზონი | 15 | 6 | 5 | 4 | 18-13 | 23 |
| 8. ბურსა | 15 | 5 | 7 | 3 | 24-18 | 22 |
| 9. გენჩლერბირლ. | 15 | 4 | 7 | 4 | 24-25 | 19 |
| 10. სივასი | 15 | 5 | 4 | 6 | 18-22 | 19 |
| 11. ორდუ | 15 | 4 | 6 | 5 | 18-18 | 18 |
| 12. ქარაბიუქი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-25 | 18 |
| 13. ქაისერი | 15 | 4 | 4 | 7 | 20-26 | 16 |
| 14. გაზიანთეფი | 15 | 4 | 4 | 7 | 14-23 | 16 |
| 15. ბუიუქშეჰირი | 15 | 4 | 3 | 8 | 15-19 | 15 |
| 16. ელაზიგი | 15 | 3 | 6 | 6 | 10-24 | 15 |
| 17. მერშინი | 15 | 2 | 6 | 7 | 15-24 | 12 |
| 18. ახიშარი | 14 | 2 | 5 | 7 | 10-24 | 11 |

**ბომბარდირები:** 11 – უმუთ ბულუთი (გალათასარაი); 9 – უგო ალმეიდა (ბეშიქთაში), უჩე (კასიმფაშა), ბ. ილმაზი (გალათასარაი).

## ჰოლანდია

### ერედივიზიე. XVI ტური.

**ჰერაკლესი-უტრეხტი** 1:1

გოლები: 1:0 დუარტე (19), 1:1 დორდა (27-საკ. კარში).

**ვაალვაიკი-ნაიმეგენი** 2:0

გოლები: 1:0 მარტინა (45), 2:0 ჯოზეფზოონი (81).

**დენ ჰააგი-ზვოლე** 1:1

გოლები: 0:1 ახენტეპი (24), 1:1 ტოორნსტრა (65).

**აიაქსი-გრონინგენი** 2:0

გოლები: 1:0 ბურიხტერი (42), 2:0 შიონე (53-პენ).

**ჰერენვენი-როდა** 4:4

გოლები: 1:0 ჯურიჩიჩი (26), 1:1 მალკი (36), 2:1 ვან ლა პარა (40), 3:1 ფინბოგასონი (54), 3:2 ბიმანსი (77), 4:2 ვან ლა პარა (81), 4:3 მალკი (83), 4:4 ჰუპერტსი (90).

**ბრედა-ფეიენოორდი** 2:2

გოლები: 0:1 პელე (5), 1:1 ლუიქსი (23), 1:2 იმერსი (74-პენ), 2:2 გუდელი (76).

**ვენლო-ვიტესი** 3:1

გოლები: 0:1 ვან გინკელი (10), 1:1 ოცუ (40), 2:1 ლინსენი (56), 3:1 კულენი (80).

**პსვ-ტვენტე** 3:0

გოლები: 1:0 ვაინალდუმი (38), 2:0 მატავჟი (80), 3:0 ნარსინგი (82).

**ალკმაარი-ვილემ II** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 16 | 12 | 0 | 4 | 53-16 | 36 |
| 2. ტვენტე | 16 | 10 | 4 | 2 | 29-12 | 34 |
| 3. ვიტესი | 16 | 10 | 4 | 2 | 31-14 | 34 |
| 4. აიაქსი | 16 | 9 | 6 | 1 | 38-18 | 33 |
| 5. ფეიენოორდი | 16 | 9 | 4 | 3 | 32-20 | 31 |
| 6. უტრეხტი | 16 | 7 | 5 | 4 | 21-18 | 26 |
| 7. ნაიმეგენი | 16 | 6 | 5 | 5 | 23-27 | 23 |
| 8. ვაალვაიკი | 16 | 5 | 5 | 6 | 22-20 | 20 |
| 9. დენ ჰააგი | 16 | 4 | 8 | 4 | 26-26 | 20 |
| 10. ჰერაკლესი | 16 | 4 | 7 | 5 | 32-31 | 19 |
| 11. გრონინგენი | 16 | 5 | 4 | 7 | 17-26 | 19 |
| 12. ალკმაარი | 16 | 3 | 6 | 7 | 21-28 | 15 |
| 13. ჰერენვენი | 16 | 3 | 6 | 7 | 24-34 | 15 |
| 14. ზვოლე | 16 | 3 | 5 | 8 | 15-26 | 14 |
| 15. ვენლო | 16 | 3 | 5 | 8 | 20-34 | 14 |
| 16. ბრედა | 16 | 3 | 4 | 9 | 14-31 | 13 |
| 17. როდა | 16 | 2 | 5 | 9 | 18-35 | 11 |
| 18. ვილემ II | 16 | 2 | 5 | 9 | 14-34 | 11 |

**ბომბარდირები:** 15 – ბონი (ვიტესი); 12 – ფინბოგასონი (ჰერენვენი); 11 – პელე (ფეიენოორდი); 9 – ალტიდორი (ალკმაარი), იმერსი (ფეიენოორდი).

**ტატო ბაციკაძე**

## საფრანგეთი. ლიგა 1. XVI ტური.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯოი ბარტონი და მარსელი დიდი ანგარიშით დამარცხდნენ

# სენსაცია ველოდრომზე

**ტულუზი-ბასტია** 0:0

**პსჟ-ევიანი** 4:0

გოლები: 1:0 იბრაჰიმოვიჩი (28), 2:0 ლავეცი (31), 3:0 ტიაგო მოტა (84), 4:0 გამეირო (87).

**ნანსი-ვალანსიენი** 1:1

გოლები: 1:0 ლოტიე (31), 1:1 აიდარა (73-საკ. კარში).

**ტრუა-ნიცა** 1:1

გოლები: 1:0 დარბიონი (31), 1:1 ცვიტანიჩი (90).

**სოშო-ლილი** 1:1

გოლები: 0:1 რუ (63), 1:1 მიკარი (64).

**მონპელიე-აიაჩო** 3:0

გოლები: 1:0 უტაკა (28), 2:0 კაბელია (32), 3:0 ბელჰანდა (67).

**რენი-ბრესტი** 2:2

გოლები: 1:0 ფერე (62), 2:0 ალესანდრინი (69), 2:1 ლესუამიე (71), 2:2 ბენშოპი (87).

**რეიმსი-ბორდო** 0:0

**მარსელი-ლორიანი** 0:3

გოლები: 0:1 ალიადიერი (38-პენ), 0:2 კორნე (48), 0:3 მონე-პაკე (70)

**სტ. ეტიენი-ლიონი** 0:1

გოლი: 0:1 ბასტოსი (65)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 16 | 10 | 4 | 2 | 29-15 | 34 |
| 2. პსჟ | 16 | 8 | 5 | 3 | 28-12 | 29 |
| 3. მარსელი | 16 | 9 | 2 | 5 | 20-19 | 29 |
| 4. სტ. ეტიენი | 16 | 7 | 5 | 4 | 24-11 | 26 |
| 5. ვალანსიენი | 16 | 7 | 5 | 4 | 29-17 | 26 |
| 6. ბორდო | 16 | 6 | 8 | 2 | 20-13 | 26 |
| 7. რენი | 16 | 8 | 2 | 6 | 23-21 | 26 |
| 8. ლორიანი | 16 | 6 | 6 | 4 | 26-27 | 24 |
| 9. ტულუზი | 16 | 6 | 5 | 5 | 23-17 | 23 |
| 10. ნიცა | 16 | 5 | 8 | 3 | 22-21 | 23 |
| 11. ლილი | 16 | 5 | 7 | 4 | 17-16 | 22 |
| 12. მონპელიე | 16 | 5 | 5 | 6 | 22-19 | 20 |
| 13. ბასტია | 16 | 5 | 4 | 7 | 21-33 | 19 |
| 14. ბრესტი | 16 | 5 | 3 | 8 | 17-22 | 18 |
| 15. რეიმსი | 16 | 4 | 5 | 7 | 13-15 | 17 |
| 16. სოშო | 16 | 4 | 4 | 8 | 16-23 | 16 |
| 17. აიაჩო | 16 | 4 | 6 | 6 | 15-22 | 16 |
| 18. ევიანი | 16 | 4 | 4 | 8 | 17-27 | 16 |
| 19. ტრუა | 16 | 1 | 6 | 9 | 17-33 | 9 |
| 20. ნანსი | 16 | 1 | 6 | 9 | 11-27 | 9 |

შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 14 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 10 – გომისი (ლიონი); 9 – ბენ იედერი (ტულუზი); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 7 – ცვიტანიჩი (ნიცა), გუფრანი (ბორდო).

მე-16 ტურში "პარი სენ ჟერმენმა" "ევიანს" უმასპინძლა და დიდი ანგარიშით მოუგო. მორიგი გოლი გაიტანა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა**, რომელმაც სამ წუთში საგოლე პასიც ჩაიწერა და **ესეკილ ლავეცის** გაატანინა. პარიზელები წინა ტურში "ნიცასთან" დამარცხდნენ და რეაბილიტაცია სურდათ, რაც საბოლოო ჯამში გამოუვიდათ კიდეც. მატჩის ბოლოსკენ სეზონში პირველი გოლი **ტიაგო მოტამ** გაიტანა, ხოლო წერტილი **კევინ გამეირომ** დასვა. საბოლოოდ, 4:0 და პსჟ მეორე ადგილზე გადავიდა.

**კარლო ანჩელოტი** საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილი იყო: *"დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ, როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში. კმაყოფილი ვარ მთელი გუნდის გარჯით და იმით, რომ კონცენტრაცია ბოლო წუთამდე არ დაგვიკარგავს. "ნიცასთან" წაგების შემდეგ ორი კარგი მატჩი ჩავატარეთ. მომდევნო კვირას ასევე ორი რთული მატჩი გვაქვს – ჯერ "ვალანსიენთან" და მერე "ლიონთან". თუ იმ შეხვედრებშიც ასევე ვითამაშებთ, მაშინ შედეგიც ანალოგიური გვექნება".*

ტურის მთავარი სენსაცია მარსელში დაფიქსირდა, სადაც "ოლიმპიკმა" "ლორიანთან" დიდი ანგარიშით წააგო. მასპინძლებს მარცხს ხელი **ჩარლზ კაბორეს** გაძევებამ შეუწყო – ბურკინაფასოელმა ფეხბურთელმა წითელი ბარათი 37-ე წუთზე მიიღო და გარდა ამისა, **ელო ბოპის** გუნდის კარში პენალტიც დაინიშნა, რომელიც გოლად **ჟერემი ალიადიერმა** აქცია. მეორე ნახევრის დებიუტში გოლი **ბენჟამენ კორნემაც** გაიტანა და გამარჯვებულის ვინაობაც გაარკვია. "მარსელმა" 10 დღის წინ "ლიონთან" განადგურების (1:4) შემდეგ, საკუთარ მოედანზე ზედიზედ მეორედ წააგო.

შესანიშნავ ფორმაშია "ნიცა", რომელმაც მართალია ვერ მოიგო, მაგრამ **დარიო ცვიტანიჩის** მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით, წაუგებელი სერია 6 მატჩამდე გაზარდა. არგენტინელმა ჩემპიონატში თავისი მეშვიდე გოლი გაიტანა, **კლოდ პუელის** გუნდი კი უკვე მე-10 ადგილზეა.

"მონპელიემ" საკუთარ მოედანზე "აიაჩო" მიიღო და კორსიკაზე დამწუხრებული გაისტუმრა. მატჩის ბედი 4-წუთიან მონაკვეთში გადაწყდა, როდესაც ჯერ **ჯონ უტაკამ**, შემდეგ კი **რემი კაბელიამ** სტუმრებს ორი გოლი გაუტანეს. მეორე ნახევარში თავი **იუნეს ბელჰანდამაც** გამოიჩინა და საკუთარ გუნდს დიდი ანგარიშით მოაგებინა. ამ გამარჯვების წყალობით **რენე ჟირარის** გუნდმა 20 ქულა დააგროვა და გასავარდნ ზონას დაშორდა.

## ბელგია

### ჟუპილერლიგა. XIX ტური

| | |
|---|---|
| **სტანდარდი-შარლერუა** | 6:1 |
| **მონსი-ანდერლეხტი** | 0:5 |
| **გენტი-ბევერენი** | 0:2 |
| **ს. ბრიუგე-ლუვენი** | 1:1 |
| **კორტრიიკი-ვარეგემი** | 1:2 |
| **მეხელენი-ლოკერენი** | 2:1 |
| **ბეერსხოტი-ბრიუგე** | 1:7 |
| **გენკი-ლიერსი** | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 19 | 13 | 4 | 2 | 47-16 | 43 |
| 2. ვარეგემი | 19 | 11 | 4 | 4 | 30-19 | 37 |
| 3. გენკი | 19 | 9 | 8 | 2 | 38-25 | 35 |
| 4. ლოკერენი | 19 | 10 | 3 | 6 | 33-26 | 33 |
| 5. სტანდარდი | 19 | 10 | 2 | 7 | 39-25 | 32 |
| 6. ბრიუგე | 19 | 9 | 5 | 5 | 46-33 | 32 |
| 7. კორტრიიკი | 19 | 8 | 4 | 7 | 22-19 | 28 |
| 8. მონსი | 19 | 8 | 3 | 8 | 34-38 | 27 |
| 9. ლუვენი | 19 | 6 | 9 | 4 | 35-28 | 27 |
| 10. მეხელენი | 19 | 6 | 5 | 8 | 28-29 | 23 |
| 11. გენტი | 19 | 5 | 6 | 8 | 21-29 | 21 |
| 12. ბეერსხოტი | 19 | 5 | 3 | 11 | 23-39 | 18 |
| 13. შარლერუა | 19 | 5 | 3 | 11 | 18-37 | 18 |
| 14. ბევერენი | 19 | 4 | 5 | 10 | 18-34 | 17 |
| 15. ლიერსი | 19 | 3 | 7 | 9 | 19-36 | 16 |
| 16. ს. ბრიუგე | 19 | 3 | 3 | 13 | 23-41 | 12 |

უცხოური ფეხბურთი

იტალია. სერია A. XVI ტური

# ტოტის რომაული შოუ

**ტურის ცენტრალური შეხვედრა "ჯუზეპე მეაცაზე" გაიმართა, სადაც "ინტერმა" "ნაპოლის" უმასპინძლა, თუმცა ამ შეხვედრაზე დეტალურად ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ. არანაკლებ საინტერესო ჯახი შედგა რომში, სადაც "ჯალოროსის" "ფიორენტინა" ესტუმრა. თხრობა სწორედ, დედაქალაქური მატჩით დავიწყოთ.**

## შეტევა, მხოლოდ შეტევა

"სტადიო ოლიმპიკოზე" გამართული მატჩის შემდეგ **ზდენეკ ზემანი** ბედნიერი გახლდათ და არაერთხელ განაცხადა, რომ ეს იყო მისი "რომა" და მისი თამაში, რამაც ყველა სიკეთესთან ერთად, სასურველი შედეგი მოიტანა. "რომა" მთელი 90 წუთის განმავლობაში გაუთავებლად უტევდა, მაშინაც კი, როდესაც წინ იყო და სწორედ ეს გახლავთ ზემანის სტილი. შეხვედრა მთლიანობაში ძალიან სანახაობრივი გამოდგა, სამი ქულა კი დამსახურებულად მასპინძლებმა მოიპოვეს.

ცალკე სალაპარაკოა **ფრანჩესკო ტოტის** თამაში, რომელმაც პატარა სპექტაკლი დადგა და უდიდესი წვლილი შეიტანა "ჯალოროსის" გამარჯვებაში. კაპიტანმა დუბლი შეასრულა და ბარემ ვთქვათ კიდეც გოლებზე: ანგარიში **ლეანდრო კასტანმა** გახსნა, რომელმაც **პანაიოტის ტაჩტიდისს** გოლი წაართვა - რეალურად, საგოლედ სწორედ ბერძენმა ნახევარმცველმა დაარტყა, თუმცა კარის ხაზზე ბურთს ბრაზილიელმა მიუსწრო და თავი მიაყოლა, 1:0. ძალიან მალე ფლორენციელებმა გაათანაბრეს ანგარიში, რაც მთლიანად მცველთა დამსახურება გახლდათ - სტანდარტულის დროს, მეტოქის საჯარიმოში **გონსალო როდრიგესი** და **ფაკუნდო რონკალია** ჩავიდნენ, რომლებმაც მასპინძელთა მხრიდან თამაშგარე მდგომარეობის შექმნის უხეირო მცდელობით ისარგებლეს - გონსალოს პასით გოლი რონკალიამ შეაგდო, 1:2.

ამის შემდეგ ფრანჩესკო ტოტის დრო დადგა. კაპიტანმა ჯერ **მატია დესტროსთან** გათამაშებული კომბინაცია დააგვირგვინა ეფექტური დარტყმით, შემდეგ კი შორი მანძილიდან გაისროლა და მასპინძელთა უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა, 3:1. მეორე ტაიმის სტარტზე **ელ ჰამდაუიმ** თავური დარტყმით ერთი ბურთი გაქვითა და თამაშში ინტრიგა დააბრუნა, თუმცა ეს ინტრიგა უფრო მოჩვენებითი გახლდათ, ვიდრე რეალური. რომაელები სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, რაც მატჩის მიწურულს მეოთხე გოლში ასახეს. ტოტის ბრწყინვალე გადაცემის შემდეგ, შეცვლაზე შესული **პაბლო ოსვალდო** მეკარესთან პირისპირ დარჩა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, 4:2.

ნამატჩევს ყურადღების ცენტრში ტოტი გახლდათ, რომელმაც მოკლე კომენტარი გააკეთა: *"როგორც იქნა, ჩვენ ერთ მუშტად შეკრული გუნდი გვყავს, რომელსაც ერთი მიზანი აერთიანებს. ამასთან, შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ, რაც წარმატების უმთავრესი საწინდარია. მჯერა, რომ მიმდინარე სეზონს ლიდერთა სამეულში დავასრულებთ"*.

## სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

"მილანმა" ცოტა გვიან გამოიღვიძა, მაგრამ "სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს" თუ **მასიმილიანო ალეგრის** შეგირდებმა ასე გააგრძელეს, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში აუცილებლად ჩაერთვებიან. "როსონერი" ტურინში ჩავიდა და "ტორინოს" 4:2 მოუგო. არადა, თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ და რაც მთავარია, თამაშითაც ჯობდნენ მეტოქეს, თუმცა ამან გარკვეულ დრომდე გასტანა. ანგარიში **რობინიომ** გაათანაბრა, რომელიც მარცხენა ფრთიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, მცველს ცრუმოძრაობით აუარა გვერდი და მარცხენა ფეხით ულამაზესი გოლი გაიტანა, 1:1. სტუმრები მეორე ტაიმში დაწინაურდნენ, გოლი კი თავური დარტყმით **ანტონიო ნოჩერინომ** გაიტანა. ამას **ჯამპაოლო პაცინის** რეიდი და უზუსტესი დარტყმა მოჰყვა, 1:3. მეოთხე გოლი **სტეფან ელ შაარავიმ** შეაგდო, რომელმაც კიპერის შეცდომით ისარგებლა და ბურთი დაუცველ კარში გადაგზავნა. შეხვედრის საბოლოო ანგარიში თავური დარტყმით **როლანდო ბიანკიმ** დააფიქსირა, 2:4.

"მილანმა" მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში და ლიდერთა ექვსეულს კიდევ ერთხელ შეახსენა თავი. ლომბარდიული გრანდი არ აპირებს ჩრდილში ყოფნას და სწორედ ეს განაცხადა ნამატჩევს მასიმილიანო ალეგრიმ: *"არასდროს დამიკარგავს რწმენა, რომ ჩვენი დრო კიდევ დადგებოდა. არსებულ ვითარებასთან შეგუებას არ ვაპირებთ, მეშვიდე ადგილი არაფრად არ გვაწყობს და აუცილებლად ვიბრძოლებთ სამეულისთვის. კარგია, რომ ნოჩერინომ და პაცინიმ გოლები გაიტანეს, მათი იმედი ყოველთვის მქონდა"*.

ბოლოს, ერთი სამწუხარო ამბავი - ტურინული მატჩის 21-ე წუთზე, **ნაიჯელ დე იონგმა** უმძიმესი ტრავმა მიიღო და მოედნის დატოვება მოუხდა. ექიმებმა უკვე გვამცნეს, რომ ჰოლანდიელ ნახევარმცველს მყესი აქვს გაწყვეტილი და მინიმუმ ექვსი თვე უფეხბურთოთ მოუწევს ყოფნა.



ფრანჩესკო ტოტი "ფიორენტინასთან" შეუჩერებელი იყო

## კონტეს იღბლიანი დაბრუნება

**ანტონიო კონტეს** დაბრუნება "იუვენტუსისთვის" წარმატებული გამოდგა. ტურინული გრანდი "პალერმოს" ესტუმრა და მეტოქე მინიმალური ანგარიშით დაამარცხა, 1:0. ერთადერთი გოლი მატჩის 50-ე წუთზე **შტეფან ლიხტშტაინერმა** გაიტანა, რასაც მალევე, სიცილიელი **მორგანელას** გაძევება მოჰყვა და აქ უკვე ცხადი გახდა, რომ "ვეკია სენიორა" მორიგ სამ ქულას ჩაიწერდა აქტივში. მომენტები ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ მთლიანობაში ტურინულთა გამარჯვებას მაინც ლოგიკური ეთქმის.

ჯერჯერობით, "იუვე" მაინც ყველაზე სტაბილურად ასპარეზობს და თუ ასე გაგრძელდა, ვერავინ შეეცილება სკუდეტოში. ეს გუნდი მაშინაც ახერხებს ქულათა მაქსიმუმის მოპოვებას, როდესაც დიდად არ მისდის თამაში. ეს ყველაფერი კი იმ ფონზე, როდესაც მდევრები მორიგეობით კარგავენ ქულებს. ნამატჩევს ჟურნალისტები კონტეს გაესაუბრნენ, რომელმაც განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში, იღბალი მის მხარეს იყო. მარტო იღბალში არ უნდა იყოს საქმე და ეს ანტონიომ ყველაზე უკეთ იცის.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

### მომდევნო ტური

**15 დეკემბერი:** ფიორენტინა-სიენა, უდინეზე-პალერმო, ლაციო-ინტერი.

**16 დეკემბერი:** მილანი-პესკარა, პარმა-კალიარი, ჯენოა-ტორინო, იუვენტუსი-ატალანტა, კატანია-სამპდორია, კიევო-რომა, ნაპოლი-ბოლონია.

### ატალანტა-პარმა 2:1

**გოლები:** 1:0 დენისი (4), 2:0 პელუზო (38), 2:1 ამაური (45).

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – ბელინი (85. ფერი), მანფრედინი, ლუკინი, პელუზო – სკელოტო, რადოვანოვიჩი (74. კაცოლა), ჩიგარინი, ბონავენტურა – მორალესი (60. დე ლუკა) - დენისი.

**პარმა (3-5-2):** მირანტე (53. პავარინი) – ძაკარდო (67. ბელფოდილი), ლუკარელი, პალეტა – გობი, მარკიონი, ასკუა, პაროლო, ბიაბიანი - სანსონე, ამაური.

**გაფრთხილება:** პელუზო, ჩიგარინი, მორალესი, დე ლუკა – ძაკარდო, ლუკარელი.

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 9-8(7-1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 12 000

### რომა-ფიორენტინა 4:2

**გოლები:** 1:0 კასტანი (7), 1:1 რონკალია (14), 2:1 ტოტი (19), 3:1 ტოტი (45), 3:2 ელ ჰამდაუი (47), 4:2 ოსვალდო (89).

**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა – პირისი, მარკინიოსი, კასტანი, ბალცარეტი – ბრედლი, პანაიოტისი (65. დე როსი), ფლორენცი (65. პეროტა) – პიანიჩი, დესტრო (74. ოსვალდო), ტოტი.

**ფიორენტინა (3-5-1-1):** ვივიანო – რონკალია, გონსალო, სავიჩი – კასანი (46. ფერნანდესი), აკვილანი, ოლივერა (46. ელ ჰამდაუი), ბორხა ვალერო, პასკუალი – კუადრადო – ტონი (78. სეფეროვიჩი).

**გაფრთხილება:** პანაიოტისი – რონკალია, გონსალო, კასანი, ოლივერა, კუადრადო.

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 15-9(9-8); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 41 000

### კალიარი-კიევო 0:2

**გოლები:** 0:1 პალოსკი (67), 0:2 თერეუ (87).

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პიზანო, ასტორი, არიაუდო, აველარი – კაზარინი (74. იბარბო), კონტი, ნაინგოლანი – კოსუ – საუ (73. რიბეირო), ნენე.

**კიევო (4-3-3):** სორენტინო - სარდო (26. იოკიჩი), დაინელი (60. ფარკასი), ცეზარი, დრამე - გუანა, ლ. რიგონი, კოფიე - თერეუ (89. პაპი), ჰეტემაი, პალოსკი.

**გაფრთხილება:** არიაუდო, კონტი, კოსუ, პინილია - ცეზარი, ფრამე, თერეუ.

**კუთხური:** 12-1; **ჯარიმა:** 23-11; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 14-5(7-2); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 16 000

### პალერმო-იუვენტუსი 0:1

**გოლი:** 0:1 ლიხტშტაინერი (50).

**პალერმო (3-5-2):** უიკანი – მუნიოსი, დონატი (69. დიბალა), ფონ ბერგენი - მორგანელა, კურტიჩი (74. ვიოლა), ბარეტო, პიზანო (46. ბრიენცა), გარსია – მიკოლი, ილიჩიჩი.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – კიელინი, ბონუჩი, ბარცალი – ლიხტშტაინერი (65. პადოინი), ვიდალი (54. პოგბა), პირლო, მარკიზიო, ასამოა – ვუჩინიჩი, მატრი (73. ბენდტნერი).

**გაფრთხილება:** ბონუჩი, ლიხტშტაინერი, პირლო (იუვენტუსი).

**გაძევება:** მორგანელა (74. პალერმო).

**კუთხური:** 3-9; **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 3-15(1-4); **ბურთის ფლობა:** 57%-53%.

**მაყურებელი:** 30 000

### პესკარა-ჯენოა 2:0

**გოლები:** 1:0 აბრუსკატო (53), 2:0 ვუკუსიჩი (73).

**პესკარა (3-5-2):** პერინი – ბალცანო, ტერლიცი (61. კაპუანო), კოსიჩი - მოდესტო, ნიელსენი, ტონი, ბარნასონი, ვეისი – აბრუსკატო (74. კაშონე), ვუკუსიჩი (87. ჯონატასი).

**ჯენოა (4-4-1-1):** ფრეი - კანინი, გრანკვისტი, სამპირიზი, მორეტი – ტოზსერი (57. იმობილე), კუჩკა, იანკოვიჩი (74. როსი), მერკელი (57. სეიმური) – ვარგასი – ბორიელო.

**გაფრთხილება:** ტონი, ვუკუსიჩი - სამპირიზი, კუჩკა, ვარგასი, სეიმური.

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 13-11; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 9-11(5-6); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 15 000

### სიენა-კატანია 1:3

**გოლები:** 1:0 როზინა (10), 1:1 კასტრო (50), 1:2 ბერგესიო (67), 1:3 ბერგესიო (82).

**სიენა (3-4-2-1):** პეგოლო – ფელიპე, ნეტო, პაჩი – სესტუ, ვერგასოლა (52. როდრიგესი), ბოლცონი, დელ გროსო (80. მანინი) – ვალიანი (71. ლარონდო), როზინა - კალაიო.

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ალვარესი, რუბინი, ლეგროტალიე, მარკეზე – სალიფუ (87. კაპუანო), ალმირონი, ლოდი – კასტრო, გომესი (90. პალიალუნგა), ბერგესიო (87. დუკარა).

**გაფრთხილება:** სესტუ, როდრიგესი - ლეგროტალიე, ალმირონი.

**კუთხური:** 3-12; **ჯარიმა:** 8-9; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 7-17(5-6); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 11 000

### ტორინო-მილანი 2:4

**გოლები:** 1:0 სანტანა (28), 1:1 რობინიო (40), 1:2 ნოჩერინო (53), 1:3 პაცინი (61), 1:4 ელ შაარავი (76), 2:4 ბიანკი (80).

**ტორინო (4-4-2):** ჟილე – დარმიანი, დი ჩეზარე, ოგბონა, მაზიელო – ბაშა, გაცი, მეჯორინი (65. სანსონე), სანტანა (74. ვერდი) – ჩერჩი (46. ბირსა), ბიანკი.

**მილანი (4-3-3):** ამელია – აბატე, მექსე, იეპესი, დე შილიო - ემანუელსონი, დე იონგი (21. ამბროზინი), ნოჩერინო – რობინიო, ელ შაარავი (79. ფლამინი), პაცინი (81. ბოიანი).

**გაფრთხილება:** დარმიანი, გაცი - აბატე.

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** !3-11; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 7-13(3-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 000

### ინტერი-ნაპოლი 2:1

**გოლები:** 1:0 გუარინი (8), 2:0 მილიტო (39), 2:1 კავანი (54).

**ინტერი (4-4-2):** ჰანდანოვიჩი – ძანეტი, რანოკია, ჟუან ჟესუსი, ნაგატომო - პერეირა, გარგანო, კამბიასო, გუარინი – კასანო (60. პალასიო), მილიტო (75. კოუტინიო).

**ნაპოლი (4-4-2):** დე სანქტისი – მაჯო, გამბერინი (46. პანდევი), კანავარო, ბრიტოსი - ბერამი, ინლერი (58. ჯემაილი), ცუნიგა, ჰამშიკი (84. მესტო) – ინსინიე, კავანი.

**გაფრთხილება:** გარგანო – გამბერინი, ბერამი, პანდევი.

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 7-14(2-6); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 55 000

**სამპდორია-უდინეზე** *დღეს, 22.00*
**ბოლონია-ლაციო** *დღეს, 00.00*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 16 | 12 | 2 | 2 | 33-10 | 38 |
| 2. ინტერი | 16 | 11 | 1 | 4 | 29-17 | 34 |
| 3. ნაპოლი | 16 | 10 | 3 | 3 | 29-14 | 33 |
| 4. რომა | 16 | 9 | 2 | 5 | 37-26 | 29 |
| 5. ფიორენტინა | 16 | 8 | 5 | 3 | 29-18 | 29 |
| 6. ლაციო | 15 | 9 | 2 | 4 | 23-17 | 29 |
| 7. მილანი | 16 | 7 | 3 | 6 | 28-21 | 24 |
| 8. კატანია | 16 | 6 | 4 | 6 | 22-24 | 22 |
| 9. ატალანტა | 16 | 7 | 2 | 7 | 17-23 | 21 |
| 10. პარმა | 16 | 5 | 5 | 6 | 19-22 | 20 |
| 11. უდინეზე | 15 | 4 | 7 | 4 | 22-24 | 19 |
| 12. კიევო | 16 | 5 | 3 | 8 | 19-27 | 18 |
| 13. სამპდორია | 15 | 5 | 3 | 7 | 19-21 | 17 |
| 14. კალიარი | 16 | 4 | 4 | 8 | 14-26 | 16 |
| 15. ტორინო | 16 | 3 | 7 | 6 | 17-21 | 15 |
| 16. ბოლონია | 15 | 4 | 2 | 9 | 17-20 | 14 |
| 17. პალერმო | 16 | 3 | 5 | 8 | 14-23 | 14 |
| 18. პესკარა | 16 | 4 | 2 | 10 | 12-30 | 14 |
| 19. ჯენოა | 16 | 3 | 3 | 10 | 16-27 | 12 |
| 20. სიენა | 16 | 4 | 5 | 7 | 15-20 | 11 |

*შენიშვნა: სიენა - 6 ქულა, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.*

**ბომბარდირები:** 13 – ელ შაარავი (მილანი); 11 - კავანი (ნაპოლი); 9 - კლოზე (ლაციო); 8 - ლამელა (რომა), დი ნატალე (უდინეზე), ოსვალდო (რომა).

### სერია B. XVIII ტური

**სასუოლო-მოდენა 2:0**
**გოლები:** 1:0 ბოაკე (32), 2:0 კატელანი (57).

**ბრეშა-რეჯინა 2:2**
**გოლები:** 1:0 კორვია (10), 2:0 კორვია (18), 2:1 კომი (45), 2:2 ბარილა (82).

**კროტონე-ლანჩანო 0:0**

**გროსეტო-პრო ვერჩელი 3:0**
**გოლები:** 1:0 ლუპოლი (3), 2:0 ჟადიდი (22), 3:0 სფორცინი (28).

**ნოვარა-პადოვა 3:1**
**გოლები:** 1:0 გონსალესი (23), 2:0 ლეპილერი (35), 2:1 ედუარდო (37), 3:1 გონსალესი (43).

**სპეცია-ბარი 3:2**
**გოლები:** 1:0 განარო (40), 2:0 სანსოვინი (56), 2:1 კეპიტელი (58), 3:1 სანსოვინი (72), 3:2 კაპუტო (79).

**ტერნანა-იუვე სტაბია 3:2**
**გოლები:** 1:0 ალფაგემე (5), 2:0 ვიტალე (60), 2:1 კაზერტა (76), 2:2 სკონამილიო (78), 3:2 რაგუზა (82).

**ვერონა-ასკოლი 3:1**
**გოლები:** 1:0 ჰალფრედსონი (1), 2:0 ტალები (8), 3:0 ალბერტაცი (49), 3:1 ძაძა (68).

**ვიჩენცა-ლივორნო 3:3**
**გოლები:** 1:0 ბელინჯერი (15), 1:1 კასტილია (26), 2:1 კასტილია (35), 3:1 მატეო (55), 3:2 ბელინჯერი (63), 3:3 პაულინიო (75).

**ჩიტადელა-ვარეზე 0:1**
**გოლი:** 0:1 რეა (57).

**ჩეზენა-ემპოლი 1:3**
**გოლები:** 0:1 კროჩე (3), 0:2 ვალდიფიორი (7), 0:3 ტავანო (13), 1:3 როდრიგესი (48).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სასუოლო | 18 | 13 | 3 | 2 | 34:-11 | 42 |
| 2. ლივორნო | 18 | 12 | 3 | 3 | 38-24 | 39 |
| 3. ვერონა | 17 | 10 | 5 | 2 | 29-14 | 35 |
| 4. ვარეზე | 18 | 8 | 6 | 4 | 22-21 | 29 |
| 5. ბრეშა | 18 | 6 | 9 | 3 | 26-21 | 27 |
| 6. პადოვა | 18 | 7 | 7 | 4 | 23-20 | 26 |
| 7. ემპოლი | 18 | 7 | 5 | 6 | 32-34 | 25 |
| 8. მოდენა | 18 | 7 | 6 | 5 | 22-18 | 25 |
| 9. იუვე სტაბია | 18 | 7 | 4 | 7 | 27-26 | 25 |
| 10. სპეცია | 18 | 6 | 6 | 6 | 24-24 | 24 |
| 11. ჩიტადელა | 17 | 6 | 4 | 7 | 21-23 | 22 |
| 12. ტერნანა | 18 | 5 | 6 | 7 | 17-20 | 21 |
| 13. ბარი | 18 | 7 | 5 | 6 | 28-22 | 19 |
| 14. კროტონე | 18 | 5 | 6 | 7 | 18-19 | 19 |
| 15. ვიჩენცა | 18 | 3 | 9 | 6 | 20-23 | 18 |
| 16. ასკოლი | 18 | 5 | 4 | 9 | 20-27 | 18 |
| 17. რეჯინა | 18 | 4 | 7 | 7 | 18-23 | 16 |
| 18. ჩეზენა | 18 | 3 | 7 | 8 | 17-31 | 16 |
| 19. ლანჩანო | 18 | 2 | 9 | 7 | 15:26 | 15 |
| 20. პრო ვერჩელი | 18 | 4 | 2 | 12 | 16-31 | 14 |
| 21. ნოვარა | 18 | 4 | 5 | 9 | 21-24 | 13 |
| 22. გროსეტო | 18 | 3 | 8 | 7 | 22-28 | 11 |

*შენიშვნა: ბარი – 7, გროსეტო – 6 ქულა, ნოვარა – 4, რეჯინა – 3, პადოვა – 2, მოდენა – 2, კროტონე – 2, ემპოლი – 1, ასკოლი – 1, ვარეზე – 1 ქულა.*

ბომბარდირები: 14 — სანსოვინი (სპეცია); 10 — კაჩა (ვერონა), სფორცინი (გროსეტო), სილიგარდი (ლივორნო); 9 — არდემანი (მოდენა), კაპუტო (ბარი)

### სერია C1/A

კომო-ენტელა 0:1, ლეჩე-სუდტიროლი 0:1, პავია-რეჯანა 1:0, პორტოგრუარო-კრემონეზე 0:2, ტრაპანი-ალბინოლეფე 1:3, ტრევიზო-ლუმეცანე 1:1, ტრიტიუმი-კარპი 1:1, სან მარინო-ფერალპიზალო (გადაიდო).

### სერია C1/B

ანდრია-აველინო 0:2, ბარლეტა-კარარეზე 2:2, კატანძარო-სორენტო 1:0, ფროზინონე-პაგანეზე 2:2, ლატინა-გუბიო 2:0, ნოჩერინა-ბენევენტო 3:2, პერუჯა-ვიარეჯო 4:1, პიზა-პრატო 1:1.

ესპანეთი. ლა ლიგა. XV ტური


რადამელ ფალკაომ 43 წუთში ხუთი გოლი გაიტანა!

# ვეფხვები ღამით ნადირობენ

## მესიმ გერდ მიულერის რეკორდი მოინადირა!

**მორჩა** - გერდ მიულერის საოცარი რეკორდი დაემხო! 1972 წელს გერმანელმა ფეხბურთელმა ოფიციალურ მატჩებში 85 გოლი გაიტანა. ლიონელ მესიმ გუშინ „ბეტისთან" შეხვედრაში ეს მიღწევა ჯერ გაიმეორა, მერე კი დაამხო, არგენტინელს „თადარიგში" ორი ტურიც დარჩა.

„ელ ტიგრე" ანუ ვეფხვი კოლუმბიელი რადამელ ფალკაოს მეტსახელია - წუხელ აშკარად მისი ნადირობის ღამე იყო - საბრალო „დეპორტივოს" ფალკაომ ხუთი გოლი გაუტანა!

„პორტუგალიელი ზღვაოსნის სული მაქვს, ამიტომაც მიყვარს ახალი გამოწვევები, ერთადერთი პირობაა - 100 პროცენტით მოტივირებული უნდა ვიყო", - განუცხადა ესპანურ პრესას ჟოზე მოურინიომ და „რეალიდან" მისი წასვლის ჭორს საფუძველიც გაუმყარა.

### პენალტებით და თავურებით

**ხავიერ აგირე** ძალიან ახლოს იყო სადებიუტო მოგებასთან „ესპანიოლში", მაგრამ ბოლო წუთზე 10-კაციანმა „სევილიამ" მაინც შეძლო გათანაბრება - 2:2. გადამწყვეტი გოლი შეცვლაზე შესულმა **ალვარო ნეგრედომ** თავით გაიტანა, რომელმაც წინა სამი ტური ტრავმის გამო გამოტოვა. არადა, კატალონიური გუნდი ორჯერ იყო წინ, ჯერ **ვერდიუს** პენალტით (**პანენკას** სტილში), რომელიც **რაკიტიჩმა** პენალტითვე გაქვითა. მეორედ „ესპანიოლი" პორტუგალიელმა **სიმაომ** დააწინაურა თავურით. პირველი ტაიმის მიწურულს **ხოსე ანტონიო რეიესმა** 7 წუთში ორი ყვითელი ბარათი მიიღო.

### სანახავი მხოლოდ ბოლო ხუთი წუთი იყო

„ანოეტაზე" მატჩი 0:0 სრულდებოდა, როცა ბოლო 5 წუთში „იფეთქა" ფეხბურთმა - ჯერ სტუმარმა **ანხელ ლაფიტამ** დააწინაურა მადრიდელები, ბოლოს კი „რეალ სოსიედადის" მარჯვენა მცველმა **კარლოს მარტინესმა** თავურით ქულა იხსნა ბასკური კლუბისთვის.

### ჯარგი დერბი შეუფერებელი ანგარიშით

სამი მიზეზია, რის გამოც ანდალუსიური დერბი დიდი ანგარიშით დასრულდა და ვისაც ეს შეხვედრა არ უნახავს, შეიძლება იფიქროს, რომ „მალაგამ" ძალიან იოლად დაამარცხა „გრანადა", რაც სიმართლეს არ შეეფერება. პირველი: არგენტინელი **ვილი კაბალიეროს** თამაშია, „მალაგას" მეკარე უშეცდომო იყო, მეორე: სტუმრებმა მომენტები უხვად კი შექმნეს, მაგრამ დასკვნით ფაზაში ცდებოდნენ, მესამე: „გრანადას" მცველების უხეში შეცდომებია, რასაც „მალაგას" გოლები მოჰყვა. ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით მოთამაშე კლუბიდან თავი **სავიოლამ**, **ხოაკინმა**, **კამაჩომ** და **სანტა კრუსმა** გამოიჩინეს.

### რეალმა ბეწვის ხიდზე გაიარა

მადრიდის „რეალი" ორჯერ აგებდა, ორჯერვე ანგოლელი **მანუჩოს** გოლების გამო, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადაარჩინა სამი ქულა. **ჟოზე მოურინიოს** გუნდს ვერ წაუვიდა ისეთი თამაში, როგორსაც ჩვეულნი ვართ, პორტუგალიელს მატჩის განმავლობაში ტაქტიკური გადაადგილებები დასჭირდა შედეგის მისაღწევად, ბოლოს კი „სამეფო კლუბი" დროის გაყვანაზეც კი არ ამბობდა უარს. შედეგად, ხუთ-გოლიანი თრილერი „რეალმა" მოიგო - 3:2. მანუჩომ მალევე გახსნა ანგარიში, როცა სტუმართა საჯარიმოში არეულობით ისარგებლა, თუმცა „ვალიადოლიდის" დაცვა შეცდა და **კალეხონმა ბენზემას** გაატანინა. მანუჩომ თავურით ხელახლა დააწინაურა




**მიროსლავ ჯუკიჩის** გუნდი, რასაც ტაიმის ბოლოს **მესუთ იოზილმა** უპასუხა. მეორე ტაიმში იმავე იოზილმა გამარჯვების გოლი ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით გაიტანა, ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა და ისე შევარდა **დანი ერნანდესის** კარში.

### ვალვერდეს სადებიუტო მოგება

**რობერტო სოლდადოს** მე-8 გოლმა სეზონში **ერნესტო ვალვერდეს** ლა ლიგის სადებიუტო მატჩშივე მოუტანა წარმატება „ვალენსიას" მწვრთნელის პოსტზე. „ღამურებმა" „ოსასუნას" მისსავე სტადიონზე მოუგეს, არადა, ბოლო 4 ტური ნავარელებს არათუ წაგებული, გოლი არ ჰქონდათ გაშვებული ჩემპიონატში. ვალვერდემ რამდენიმე ექსპერიმენტს მიმართა - მაგალითად, მექსიკელი შემტევი ნახევამცველი **გუარდადო** დაცვის მარცხენა ფლანგზე გაამწესა. სოლდადოს გოლი კი დიდწილად **პაბლო პიატის** დამსახურებაა, მას სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო გოლი გაჰქონდა, მახვილი კუთხიდან მოჭრილი დარტყმით, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა და კარში მხოლოდ „ვალენსიას" ბომბარდირის დარტყმის მერე აღმოჩნდა.

### მალიორკა ნაწილებად იშლება

ტაიმის მიწურულს „მალიორკას" კარი **ობაფემი მარტინსმა** მას მერე აიღო, რაც მცველზე უკეთ გაერკვა სიტუაციაში ბურთის შორეული დაკიდებისას. მატჩის ბედი მეორე ტაიმის დასაწყისშივე გადაწყდა, როცა მცველმა **დავიდ ნავარომ** თავურით ორი ბურთის სხვაობით დააწინაურა ვალენსიური კლუბი. შემდეგ „ლევანტეს" ახალგაზრდებმა, **რუბენ გარსიამ** და **ვისენტე იბორამ** ანგარიში გამანადგურებელი გახადეს - 4:0. „მალიორკამ" ბოლოს 30 შესაძლებელიდან მხოლოდ 2 ქულა მოიპოვა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

#### მომდევნო ტური

15 დეკემბერი: ხეტაფე-ოსასუნა, მალიორკა-ბილბაო, გრანადა-რეალ სოსიედადი, სევილია-მალაგა.

16 დეკემბერი: სარაგოსა-ლევანტე, ვალენსია-რაიო ვალეკანო, რეალი-ესპანიოლი, ბარსელონა-ატლეტიკო.

17 დეკემბერი: დეპორტივო-ვალიადოლიდი, სელტა-ბეტისი.

## პორტუგალია

ლიგა საგრეში. XI ტური

**ეშტორილი-სეტუბალი 3:0**

გოლები: 1:0 ლეალი (28), 2:0 ევანდრო (53), 3:0 ჯეფერსონი (77)

**პორტუ-მორეირენსე 1:0**

გოლი: 1:0 ჯ. მარტინესი (71)

**მარიტიმუ-ნასიონალი 2:0**

გოლები: 1:0 ფიდელისი (47), 2:0 სამი (67)

**რიუ ავე-ფერეირა 0:0**

გაძევება: ლუიზ კარლუში (61. ფერეირა)

**ჟილ ვისენტე-ბეირა მარი 1:2**

გოლები: 0:1 სერჟინიო (20), 1:1 ლ. კარლუში (62-პენ), 1:2 ბალბოა (87)

**გიმარაეში-ოლჰანენსე 2:0**

გოლები: 1:0 ბალდე (22), 2:0 ანდრე ანდრე (63)

აკადემიკა-ბრაგა დღეს
სპორტინგი-ბენფიკა დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 11 | 9 | 2 | 0 | 27-6 | 29 |
| 2. ბენფიკა | 10 | 8 | 2 | 0 | 25-6 | 26 |
| 3. რიუ ავე | 11 | 5 | 3 | 3 | 15-13 | 18 |
| 4. ბრაგა | 10 | 5 | 2 | 3 | 20-14 | 17 |
| 5. ფერეირა | 11 | 3 | 7 | 1 | 13-9 | 16 |
| 6. გიმარაეში | 11 | 4 | 3 | 4 | 12-18 | 15 |
| 7. ეშტორილი | 11 | 4 | 3 | 4 | 18-14 | 15 |
| 8. მარიტიმუ | 11 | 3 | 4 | 4 | 9-16 | 13 |
| 9. სეტუბალი | 11 | 2 | 5 | 4 | 11-20 | 11 |
| 10. ნასიონალი | 11 | 3 | 2 | 6 | 15-22 | 11 |
| 11. სპორტინგი | 10 | 2 | 5 | 3 | 9-11 | 11 |
| 12. ოლჰანენსე | 11 | 2 | 4 | 5 | 13-18 | 10 |
| 13. ბეირა მარი | 11 | 2 | 4 | 5 | 15-22 | 10 |
| 14. ჟილ ვისენტე | 11 | 2 | 4 | 5 | 10-16 | 10 |
| 15. აკადემიკა | 10 | 1 | 6 | 3 | 12-14 | 9 |
| 16. მორეირენსე | 11 | 1 | 4 | 6 | 12-17 | 7 |

**ბომბარდირები:** 10 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 9 - ალბერტ მეიონგი (სეტუბალი).

**ესპანიოლი-სევილია 2:2**

**გოლები:** 1:0 ვერდიუ (13-პენ), 1:1 რაკიტიჩი (24-პენ), 2:1 სიმაო (61), 2:2 ნეგრედო (91)

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კ. ალვარესი - ხ. ლოპესი, კოლოტო, მორენო, ვ. ალვარესი - (ვ. სანჩესი, ფორლინი - ვაკასო (82. რ. როდრიგესი), ვერდიუ, რუი ფონტე (58. სიმაო) - სტუანი (67. ლონგო).

**სევილია (4-2-3-1):** დ. ლოპესი - კოკე, ფასიო, სპაჰიჩი (80. დელ მორალი), ფ. ნავარო - რაკიტიჩი, კონდობია - ხესუს ნავასი, პეროტი (70. რობელიო), რეიესი - ბ. დიავარა (64. ნეგრედო).

**გაფრთხილება:** სტუანი, კოლოტო, სანჩესი, ვაკასო, მორენო - რეიესი, პეროტი, ნავარო, ნეგრედო

**გაძევება:** რეიესი (38)

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 23-22; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-6 (3-4); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 23 500

**სოსიედადი-ხეტაფე 1:1**

**გოლები:** 0:1 ლაფიტა (86), 1:1 კ. მარტინესი (91)

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - პარდო, ილარამენდი - გ. კასტრო (70. აგირეჩე), ჩაბი პრიეტო (67. ზურუტუზა), გრიზმანი (82. ხოსე ანხელი) - იფრანი.

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, ლოპო, ალექსისი, მანე - ხ. ტორესი, მიჩელი - პედრო ლეონი, ბარადა (84. გავილანი), ლაფიტა (89. ხ. როდრიგესი) - ა. ვასკესი (74. ალკასერი).

**გაფრთხილება:** პარდო, გონსალესი - ლოპო, ბარადა, მანე, ალექსისი, მიჩელი, გავილანი

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 10-15 (3-2); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 25 000

**მალაგა-გრანადა 4:0**

**გოლები:** 1:0 ხოაკინი (27), 2:0 სავიოლა (33), 3:0 ნაჩო კამაჩო (75), 4:0 სანტა კრუსი (86)

**მალაგა (4-1-4-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი (46. იტურა) - ნაჩო კამაჩო - ხოაკინი, ისკო (72. ბუონანოტე), პორტილიო, ელიზეუ - სავიოლა (61. სანტა კრუსი).

**გრანადა (4-2-3-1):** ტონიო - ორტისი, დიახატე, მაინსი, სიკეირა - ირინეი, მ. რიკო - ტორჟე, ბრაიმი (65. ელ-არაბი), ბენიტესი (46. რომერო) - იგჰალო (80. ორელიანა).

**გაფრთხილება:** ისკო, გამესი, მონრეალი

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 17-8; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 20-22 (9-8); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 24 500

**ვალიადოლიდი-რეალი 2:3**

**გოლები:** 1:0 მანუჩო (6), 1:1 ბენზემა (12), 2:1 მანუჩო (21), 2:2 იოზილი (44), 2:3 იოზილი (71)

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დ. ერნანდესი - რუკავინა, სერენო, ვალიენტე, ბალენსიაგა - ვ. პერესი, რუბიო - ებერტი (29. ბუენო), ოსკარი, ომარი - მანუჩო (77. გერა).

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა (61. მოდრიჩი), პეპე, სერხიო რამოსი, ნაჩო (46. დი მარია) - ხედირა, ჩაბი ალონსო - კალეხონი, იოზილი, რონალდო - ბენზემა (73. ვარანი).

**გაფრთხილება:** მანუჩო, ომარი, ოსკარი - რონალდო, იოზილი, დი მარია

**კუთხური:** 6-11; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 10-20 (4-13); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 26 000

**ოსასუნა-ვალენსია 0:1**

**გოლი:** 0:1 სოლდადო (55)

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ეჩაიდე ზ(59. სეხუდო), არიბასი, ფლანიო (46. ლოლო), დამია - პუნიალი, ოიერი - ლამა, ლო, არმენტეროსი - ხ. ლორენტე (67. ომვუ).

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რამი, რ. კოშტა, გუარდადო - ალბელდა, ტინო კოსტა - ფეგული, ბანეგა (76. გაგო (84. პარეხო)), პიატი (58. ვიერა) - სოლდადო.

**გაფრთხილება:** ლოლო, დამია - კოშტა, ალბელდა

**კუთხური:** 6-5; **ჯარიმა:** 18-12; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 11-10 (4-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 15 000

**ლევანტე-მალიორკა 4:0**

**გოლები:** 1:0 მარტინსი (43), 2:0 დ. ნავარო (49), 3:0 რ. გარსია (55), 4:0 იბორა (58)

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ლელი, ბალესტეროსი, დ. ნავარო (78. როდასი), ხუანფრანი - მიჩელი (75. პალიარდო), იბორა - ელ-ზჰარი (69. როხერი), ბარკერო, რ. გარსია - მარტინსი.

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - ჩ. ნავარო (46. არისმენდი), ნუნიეში, ჟერომელი, ბიგასი - პინა (60. მარტი), მარკესი - ნსუე, ვიქტორი (61. ალფარო), ჯოვანი დოს სანტოსი - ჰემედი.

**გაფრთხილება:** ნუნიეში

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 10-13; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 14-15 (9-2); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 19 500

**ბილბაო-სელტა 1:0**

**გოლი:** 1:0 ადურისი (33)

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - რამალიო, ეკიზა, ამორებიეტა, აურტენეჩე - დე მარკოსი, სან ხოსე, ანდერი (89. ლაპორტე) - სუსაეტა (88. ტოკერო), ადურისი, ი. გომესი (75. მუნიაინი).

**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - მალიო, ვილა, ტუნიესი, ლაგო - ოუბინია, ინსა (60. დე ლუკასი) - ა. ფერნანდესი, ბერმეხო (74. ტონი), კრონ-დელი - ასპასი.

**გაფრთხილება:** ამორებიეტა, სან ხოსე, დე მარკოსი - ინსა, ფერნანდესი, ოუბინია

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 16-20; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 10-11 (2-1); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 35 000

**ატლეტიკო-დეპორტივო 6:0**

**გოლები:** 1:0 დ. კოშტა (23-პენ), 2:0 ფალკაო (28), 3:0 ფალკაო (42), 4:0 ფალკაო (64-პენ), 5:0 ფალკაო (67), 6:0 ფალკაო (71)

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, კატა დიასი, გოდინი, ფილიპე ლუიში (73. მანკილიო) - კოკე, მ. სუარესი, გაბი, არდა თურანი (69. არდა თურანი) - ფალკაო, დ. კოშტა (58. ადრიან ლოპესი).

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაურე, როდერიკი, ინსუა, აიოსე - აგილარი, ბერგანტინიოსი - გამა, ვალერონი (71. ანდრე სანტოსი), კამუნიასი (65. სალომაო) - რიკი (77. ბოდიპო).

**გაფრთხილება:** კამუნიასი, ბერგანტინიოსი

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 8-10; **თამაშგარე:** 7-1; **კარში დარტყმა:** 14-9 (9-1); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 30 000

**ბეტისი-ბარსელონა 1:2**

**გოლები:** 0:1 მესი (15), 0:2 მესი (25), 1:2 რ. კასტრო (39)

**ბეტისი (4-2-3-1):** ადრიანი - ჩიკა, ამაია, დორადო, ნაჩო - კანიასი, ბენიტი - კემპბელი (46. მოლინა), პერეირა (73. პაბლო), ხუან კარლოსი (29. ვადილიო) - რ. კასტრო.

**ბარსელონა (4-3-3):** ალვესი, ადრიანო, პიკე, პუიოლი (46. მასკერანო), ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ფაბრეგასი (9. სანჩესი) - პედრო (81. ტ. ალკანტარა), მესი, ინიესტა.

**გაფრთხილება:** კემპბელი, ვადილიო, ნაჩო - ალბა, პედრო

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 17-11; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 9-13 (3-8); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 52 000

ვალეკანო-სარაგოსა დღეს. 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 15 | 14 | 1 | 0 | 50-17 | 43 |
| 2. ატლეტიკო | 15 | 12 | 1 | 2 | 35-13 | 37 |
| 3. რეალი | 15 | 10 | 2 | 3 | 37-12 | 32 |
| 4. მალაგა | 15 | 7 | 4 | 4 | 23-10 | 25 |
| 5. ბეტისი | 15 | 8 | 1 | 6 | 24-26 | 25 |
| 6. ლევანტე | 15 | 7 | 3 | 5 | 20-21 | 24 |
| 7. ხეტაფე | 15 | 7 | 2 | 6 | 18-20 | 23 |
| 8. ვალიადოლიდი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-18 | 21 |
| 9. სოსიედადი | 15 | 6 | 3 | 6 | 22-19 | 21 |
| 10. ვალენსია | 15 | 6 | 3 | 6 | 19-23 | 21 |
| 11. სევილია | 15 | 5 | 4 | 6 | 21-22 | 19 |
| 12. ვალეკანო | 14 | 6 | 1 | 7 | 18-30 | 19 |
| 13. ბილბაო | 15 | 5 | 3 | 7 | 20-32 | 18 |
| 14. სარაგოსა | 14 | 5 | 1 | 8 | 16-23 | 16 |
| 15. სელტა | 15 | 4 | 3 | 8 | 16-20 | 15 |
| 16. ოსასუნა | 15 | 3 | 4 | 8 | 12-16 | 13 |
| 17. მალიორკა | 15 | 3 | 4 | 8 | 14-27 | 13 |
| 18. გრანადა | 15 | 3 | 3 | 9 | 11-24 | 12 |
| 19. ესპანიოლი | 15 | 2 | 5 | 8 | 15-24 | 11 |
| 20. დეპორტივო | 15 | 2 | 5 | 8 | 21-37 | 11 |

**ბომბარდირები:** 23 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 16 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 13 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 9 - არიც ადურისი (ბილბაო), რუბენ კასტრო (ბეტისი); 8 - ალვარო ნეგრედო (სევილია), რობერტო სოლდადო (ვალენსია).

#### სეგუნდა დივიზიონი.

#### XVII ტური

**ბარსელონა II-ელჩე 1:1**

**გოლები:** 1:0 დეულოფეუ (23-პენ), 1:1 ფიდელი (67)

**ლას პალმასი-უესკა 4:0**

**გოლები:** 1:0 მომო (28-პენ), 2:0 ალემანი (53), 3:0 ქრისანტუსი (73). 4:0 მომო (74)

**გვადალახარა-ნუმანსია 5:1**

**გოლები:** 1:0 ალვარო (14), 2:0 ასკორა (16), 3:0 ასკორა (57), 3:1 სედრიკი (64-პენ), 4:1 ალვარო (72), 5:1 ვისენტე (85)

**ალმერია-ლუგო 0:1**

**გოლი:** 0:1 ო. დიასი (64)

**საბადელი-მურსია 2:2**

**გოლები:** 1:0 ლანსაროტე (2), 1:1 კიკე (67), 1:2 მატილია (71-პენ), 2:2 ლანსაროტე (90-პენ)

**გაძევება:** მ. დოს სანტოსი (27. მურსია), მოლინერო (90. მურსია)

**კორდობა-სპორტინგი 1:1**

**გოლები:** 1:0 პედრო (34), 1:1 კანელია (83)

**გაძევება:** რენელია (25. კორდობა), ბარერა (58. სპორტინგი)

**ერკულესი-უელვა 1:1**

**გოლები:** 1:0 სარდინერო (69), 1:1 ბეროკალი (72)

**გაძევება:** ხუანრა (55)

**პონფერადინა-მირანდესი 3:1**

**გოლები:** 0:1 კანიედა (2), 1:1 ბარო (27), 2:1 იური (69), 3:1 იური (84)

**ვილიარეალი-ალკორკონი 4:0**

**გოლები:** 1:0 ბრუნო (49), 2:0 უჩე (75), 3:0 ე. პერესი (85), 4:0 კავენაგი (89)

**გაძევება:** მორა (63. ალკორკონი)

**ხერესი-ხირონა 0:2**

**გოლები:** 0:1 ხოფრე (7), 0:2 ბენხა (62)

**რეალი II-რასინგი 4:0**

**გოლები:** 1:0 ხ. როდრიგესი (17), 2:0 ხ. როდრიგესი (43-პენ), 3:0 ჩერიშევი (52), 4:0 ჩერიშევი (55)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 17 | 12 | 3 | 2 | 26-9 | 39 |
| 2. ალმერია | 17 | 10 | 4 | 3 | 30-19 | 34 |
| 3. ხირონა | 17 | 10 | 3 | 4 | 31-16 | 33 |
| 4. ალკორკონი | 17 | 10 | 1 | 6 | 28-22 | 31 |
| 5. ვილიარეალი | 17 | 8 | 6 | 3 | 23-13 | 30 |
| 6. ბარსელონა II | 17 | 8 | 3 | 6 | 35-26 | 27 |
| 7. ლას პალმასი | 17 | 7 | 5 | 5 | 26-24 | 26 |
| 8. პონფერადინა | 17 | 8 | 1 | 8 | 26-25 | 25 |
| 9. საბადელი | 17 | 6 | 6 | 5 | 24-19 | 24 |
| 10. მურსია | 17 | 6 | 5 | 6 | 21-19 | 23 |
| 11. კორდობა | 17 | 6 | 5 | 6 | 18-20 | 23 |
| 12. უელვა | 17 | 7 | 2 | 8 | 22-30 | 23 |
| 13. ნუმანსია | 17 | 5 | 7 | 5 | 20-24 | 22 |
| 14. რეალი II | 17 | 6 | 3 | 8 | 31-31 | 21 |
| 15. ხერესი | 17 | 5 | 5 | 7 | 19-25 | 20 |
| 16. ლუგო | 17 | 5 | 5 | 7 | 16-22 | 20 |
| 17. სპორტინგი | 17 | 4 | 6 | 7 | 21-26 | 18 |
| 18. გვადალახარა | 17 | 4 | 4 | 9 | 21-28 | 16 |
| 19. უესკა | 17 | 3 | 7 | 7 | 16-24 | 16 |
| 20. რასინგი | 17 | 3 | 5 | 9 | 13-25 | 14 |
| 21. ერკულესი | 17 | 3 | 5 | 9 | 13-26 | 14 |
| 22. მირანდესი | 17 | 2 | 7 | 8 | 13-20 | 13 |

**ბომბარდირები:** 11 - იური (პონფერადინა); 9 - ჟერარდ დეულოფეუ (ბარსელონა II), შარლესი (ალმერია), ორიოლ რიერა (ალკორკონი), ხესე როდრიგესი (რეალი II).

ინგლისი. პრემიერლიგა. XVI ტური

# სუპერდერბი

## მანჩესტერში ფერგის საყვარელი სცენარი გათამაშდა

### ესპანელების ენა

XVI ტურის მიმოხილვა "ჩელსის" მატჩით დავიწყოთ. ლონდონელებმა **რაფა ბენიტესის** ხელში, როგორც იქნა, ენა ამოიდგეს და ჩემპიონთა ლიგაში "ნორდშელანთან" ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ "სანდერლენდთანაც" გაილაღეს. "ლურჯების" შემადგენლობაში ისევ საუკეთესო იყო **ფერნანდო ტორესი**. იქამდე, ვიდრე ანგარიში გაიხსნებოდა, სტუმრებმა 3-4 კარგი მომენტი გაუშვეს ხელიდან. ერთხელ **ედენ აზარმა** აშკარად პენალტზე თამაში გადაწყვიტა, რასაც არბიტრი **მარკ ჰალსი** იოლად მიუხვდა და თამაშის გაგრძელება ბრძანა. ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი გატანა სწორედ "ელ ნინიოს" მართებდა. პირველმა გოლმა დიდხანს მაინც არ გვაცდევინა. **ვიქტორ მოზესი**-აზარის კომბინაციას ტორესმა ეფექტური დარტყმით დაუსვა წერტილი. მასპინძლებს გათანაბრება მალევე მართებდათ, თუმცა **ადამ ჯონსონის** შესანიშნავი პასი **სტეფან სესინიონმა** ქარს გაატანა. ტაიმის მიწურულს საჯარიმოში **სებასტიან ლარსონმა რამირესის** წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვია. პენალტი ტორესმა მშვიდად გამოიყენა. მეორე ტაიმის დაწყებიდან სამ წუთში იმავე ტორესს ჰეთთრიკის შესრულებაც შეეძლო. მას **ფილ ბერდსლი** უყურადღებობისთვის უნდა დაესაჯა, მაგრამ ბურთი "ცხრიანს" მოარტყა. დამატებაზე ყველას **ხუან მატამ** აჯობა - ესპანელმა და ბურთი ბადეში მესამედ გაახვია. მასპინძლებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. ჯონსონმა **პეტრ ჩეხი** მოულოდნელი დარტყმით დააშამათა. ერთი და იმავე წერტილიდან საჯარიმოს გატანა "კატებს" ორჯერ შეეძლოთ. ჯონსონს ჩეხმა აუღო, **კრეიგ გარდნერმა** კი ხარიხას გაარტყა.

### აქაც იბერიული კვალი

"არსენალმა" "ვესტ ბრომვიჩი" ორი პენალტით დაამარცხა. თერთმეტმეტრიანებიდან დუბლი **მიკელ არტეტამ** შეასრულა. თავისი შეცდომებით მატჩის საბოლოო შედეგზე სერიოზული გავლენა იქონია არბიტრმა **მაიკ ჯონსმა**. 26-ე წუთზე მას **სტივენ რიდსა** და **სანტი კასორლას** შორის "ორთაბრძოლაში" წესების დარღვევა მოელანდა. არადა, ირლანდიელი ესპანელს არც კი შეხებია. პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია. არტეტამ **ბოაზ მაიჰილს** პირდაპირ ცენტრში დაურტყა. სამაგიეროდ, რამდენიმე წუთში ჯონსმა **პერ მერტეზაკერის** მიერ აშკარად ხელით თამაში არ დააფიქსირა. 38-ე წუთზე **ჯეკ უილშირს** პრემიერლიგაში მიმდინარე სეზონში პირველი გოლის გატანა მართებდა, თუმცა **ჟერვინიოს** პასს ფეხი დასარტყმელად ველარ შეაგება. 64-ე წუთზე **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენს კრის ბრანტმა** საჯარიმოში ფეხი გამოუსვა. არბიტრმა ამჯერად სწორად განსაჯა და არტეტას მეორე გოლის გატანის საშუალება მისცა. ესპანელმა ილეთი გაიმეორა, მაიჰილი ამჯერადაც გადახტა და ბურთი ისევ ცენტრში გაუშვა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე არტეტამ და **არსენ ვენგერმა** სცადეს პირველი პენალტის ეპიზოდში კასორლას ტყუილის გამართლება, მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ. სოციალურ ქსელებში "მეთოფეთა" ფანები თავად აღიარებდნენ, რომ მსაჯმა მათ სერიოზული სამსახური გაუწია.



დერბის გმირები: დუბლის ავტორი უეინ რუნი და გამარჯვების გოლი გამტანი რობინ ვან პერსი (№20)

### ანტირეკორდსმენი

"ქუინზ პარკმა" ზედიზედ მე-16 მატჩი ვერ მოიგო, რაც პრემიერლიგის ანტირეკორდია. აქამდე ყველაზე ცუდ შედეგი 1993/94 წლების სეზონში "სუინდონის" 15-მატჩიანი მოუგებელი სერია იყო. "რეინჯერები" ბევრს ეცადნენ, ერთი პერიოდი ანგარიშში წინაც კი იყვნენ, მაგრამ **რობერტო მარტინესის** "უიგანმა" მეტოქის გაჭირვება არად ჩააგდო და ქულები მაინც დააკარგვინა. ის კი არა, შეხვედრას თუ უყურეთ, დაგვეთანხმებით, რომ მასპინძელს 5-6 ბურთის გატანა მართებდა. **ხორდი გომესს, ფრანკო დი სანტოსა** და **არუნა კონეს** საქმე მატჩის გადარჩენამდე არც უნდა მიეყვანათ, მაგრამ...

### წმინდანები და სანახაობა უელსში

"საუთჰემპტონს" "რედინგის" დამარცხება ძვირი დაუჯდა. "წმინდანებმა" წამყვანი ნახევარმცველი **ადამ ლალანა** მუხლის ტრავმის გამო გაურკვეველი დროით მოისაკლისეს. აღსანიშნავია კიდევ ის, რომ არბიტრმა **ჯონ მოსმა ჯეისონ პანჩეონს** ერთი გოლი არ ჩაუთვალა. თუმცა ნახევარმცველმა დანაკარგი მეორეში აინაზღაურა.

სუონსის "ლიბერთი სთედიუმზე" ლაღ და გახსნილ ფეხბურთს ექსპერტები თამაშის დაწყებამდე წინასწარმეტყველებდნენ. "გედებისგან" ეს ისედაც არავის უკვირს, "ნორვიჩი" კი უბრალოდ ბრწყინვალე ფორმაშია. **კრის ჰიუტონის** გუნდს უკვე 10 თამაშია არ წაუგია. სტუმრებმა სამბურთიანი უპირატესობა მოიპოვეს, რომლის აღმოფხვრა **მიგელ მიჩუმ** და კომპანიამ ვერ მოახერხეს.

### მეფე რუნი და ჰოლანდიელი კარდინალი

"ეტიჰადზე" მაყურებელმა ფანტასტიკური სანახაობა იხილა. მანჩესტერულ დერბიში გუნდები ერთმანეთს ექვსი ქულისთვის დაეჭიდნენ და საბოლოოდ გამარჯვებული ასეთ ბრძოლებში შედარებით უფრო გამოცდილი "იუნაიტედი" დარჩა. **რობერტო მანჩინი** შეცდა, როცა "ოლდ ტრეფორდზე" შარშანდელი დერბის ხათრით ძირითადში **მარიო ბალოტელი** დააყენა (მაშინ მან დუბლი შეასრულა). იტალიელმა თამაში პირწმინდად ჩააგდო, რის გამოც მალე მის ნაცვლად **კარლოს ტევესი** გამოვიდა. არგენტინელი "ქალაქელთა" შემადგენლობაში გუშინ საუკეთესო იყო.

"ეშმაკებმა" სასტარტო შტურმის შემდეგ მატჩის სადავეები იგდეს ხელთ და 13 წუთის ინტერვალით ორჯერ გაიტანეს. ეს ორჯერვე **უეინ რუნიმ** გააკეთა. მეორე ტაიმში მანჩინიმ შეცვლები თითქოს გამოიცნო. მისმა გუნდმა მეტოქე სერიოზულ წნეხში მოაქცია. მასპინძლებმა ორბურთიანი ფორა აღმოფხვრეს, მაგრამ "იუნაიტედს" **რობინ ვან პერსის** საჯარიმომ უშველა. არადა, ჰოლანდიელი მთელი მატჩი ჩრდილში იდგა. მან გარკვეულწილად რუხი კარდინალის როლი ითამაშა.

### იშვიათი ხილი

"ევერტონმა" იშვიათი ფინალი შემოგვთავაზა. მართალია, უკანასკნელ წუთზე ვან პერსიმაც გაიტანა, მაგრამ მერსისაიდელებმა მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში ორჯერ მოახერხეს ამის გაკეთება და მეტოქეს 3 ქულა ხელიდან გამოგლიჯეს. გოლებს შორის პაუზა ერთი წუთიც კი არ ყოფილა. განსაკუთრებით ეფექტური მეორე კომბინაცია გახლდათ.

გუშინდლამდე "ლივერპულს" ზედიზედ ორი მოგება 2011 წლის სექტემბეროქტომბრის შემდეგ არ ჰქონდა. "წითლებმა" "ვესტ ჰემის" "აპტონ პარკზე" მოულოდნელად იმარჯვეს. თანაც **ლუის სუარესის** გარეშე. ასე რომ, **ბრენდან როჯერსის** დანაქადნები, თამაში ურუგვაელის გარეშეც შეგვიძლიაო, თურმე რეალური ყოფილა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

#### მომდევნო ტური

**15 დეკემბერი:** ჩელსი-საუთჰემპტონი გადადებულია, ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი, ლივერპული-ასტონ ვილა, მანჩესტერ იუნაიტედი-სანდერლენდი, ნორვიჩი-უიგანი, ქუინზ პარკი-ფულჰემი, სტოკ სიტი-ევერტონი
**16 დეკემბერი:** ტოტენჰემი-სუონსი, ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი
**17 დეკემბერი:** რედინგი-არსენალი

#### შოტლანდია

##### პრემიერლიგა. XVII ტური

| | |
|---|---|
| კილმარნოკი-სელტიკი | 1:3 |
| ჰარტსი-აბერდინი | 2:0 |
| ინვერნესი-ჰიბერნიანი | 3:0 |
| მოზერველი-როს ძაუნთი | 3:2 |
| სტ. მირენი-სტ. ჯონსტონი | 1:1 |
| დანდი-დანდი იუნ | 0:3 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 16 | 9 | 4 | 3 | 31-14 | 31 |
| 2. ინვერნესი | 17 | 7 | 7 | 3 | 34-28 | 28 |
| 3. მოზერველი | 17 | 7 | 6 | 4 | 27-22 | 27 |
| 4. ჰიბერნიანი | 17 | 8 | 3 | 6 | 27-24 | 27 |
| 5. აბერდინი | 17 | 6 | 6 | 5 | 22-19 | 24 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 17 | 6 | 6 | 5 | 20-21 | 24 |
| 7. დანდი იუნ. | 16 | 6 | 5 | 5 | 22-21 | 23 |
| 8. ჰარტსი | 17 | 5 | 6 | 6 | 16-18 | 21 |
| 9. კილმარნოკი | 16 | 5 | 4 | 7 | 25-23 | 19 |
| 10. როს ძაუნთი | 17 | 3 | 8 | 6 | 19-25 | 17 |
| 11. სტ. მირენი | 17 | 4 | 5 | 8 | 21-29 | 17 |
| 12. დანდი | 16 | 3 | 2 | 11 | 10-30 | 11 |

**არსენალი-ვესტ ბრომვიჩი 2:0**

**გოლები:** 1:0 არტეტა (26-პენ), 1:0 არტეტა (64-პენ)

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი – გიბსი, ვერმაელენი, მერტეზაკერი, სანია – უილშირი, არტეტა – ჟერვინიო (81. როსიცკი), კასორლა (87. პოდოლსკი), ოქსლეიდ-ჩემბერლენი (77. კოკლენი) - ჟირუ

**ვესტ ბრომვიჩი** (4-2-3-1): მაიჰილი – რიდი, მაკოლი, ოლსონი, რიჯუელი (7. პოპოვი) – მორისონი, მულუმბუ – ოდემვინგე (77. ლუკაკუ), გერა (75. როსენბერგი), ბრანტი - ლონგი

**გაფრთხილება:** ჟირუ, მერტეზაკერი – ოლსონი, ბრანტი, რიდი

**კარში დარტყმა:** 13-7 (4-2) **კუთხური:** 7-4 **თამაშგარე:** 5-3 **ჯარიმა:** 15-9 **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 60 083

**ასტონ ვილა-სტოკ სიტი 0:0**

**ასტონ ვილა** (4-4-2): გუზანი – ლიშაი, კლარკი, ბეიკერი, ლოუტონი – ბენანი (78. დელფი), ვესტვუდი, ჰოლმენი (70. აირლანდი), ჰერდი – აგბონლაჰორი (66. ბენტი), ბენტეკე

**სტოკ სიტი** (4-5-1): ბეგოვიჩი – შოტონი, ჰუთი, შოუკროსი, კემერონი – უოლტერსი, უაიტჰედი, ნზონზი, უელანი, ეთერინგტონი (68. ჯერომი) - ჯონსი (75. კრაუჩი)

**გაფრთხილება:** - შოტონი

**გაძევება:** - შოტონი (90)

**კარში დარტყმა:** 5-1 (2-0) **კუთხური:** 3-2 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 10-17 **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 30 110

**საუთჰემპტონი-რედინგი 1:0**

**გოლი:** 1:0 პანჩეონი (61)

**საუთჰემპტონი** (4-4-2): დევისი- შოუ, იოშიდა, ფონტე, კლაინი – ლალანა (40. რამირესი), შნაიდერლინი, კორკი, პანჩეონი – ლამბერტი, როდრიგესი (78. დო პრადო)

**რედინგი** (4-4-2): ფედერიჩი – კამინგსი, მარიაპა, მორისონი (65. პირსი), შორი – რობსონ-კანუ (77. მაკლირი), ლიგერტვუდი, ტაბი (69. ჰანტი), მაკანუფი – რობერტსი, ლე ფონდრე

**გაფრთხილება:** არ ყოფილა

**კარში დარტყმა:** 17-6 (7-3) **კუთხური:** 7-4 **თამაშგარე:** 2-4 **ჯარიმა:** 11-11 **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 29 331

**სანდერლენდი-ჩელსი 1:3**

**გოლები:** 0:1 ტორესი (11), 0:2 ტორესი (45-პენ), 0:3 მატა (48), 1:3 ე. ჯონსონი (66)

**სანდერლენდი** (4-4-1-1): მინიოლე – როუზი, ოში, კუელიარი, ბერდსლი (66. კოლბეკი) – მაკლინი, ლარსონი (81. საა), გარდნერი, ე. ჯონსონი - სესინიონი - უიკჰემი

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ივანოვიჩი, კეჰილი, ლუისი, კოული – რამირესი, რომეუ (20. ოსკარი) – მოზესი (61. ბერტრანი), მატა, აზარი (79. ლემპარდი) - ტორესი

**გაფრთხილება:** გარდნერი – ივანოვიჩი, რამირესი, მატა

**კარში დარტყმა:** 8-10 (5-5) **კუთხური:** 11-1 **თამაშგარე:** 0-2 **ჯარიმა:** 9-16 **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 39 273

**სუონსი-ნორვიჩი 3:4**

**გოლები:** 0:1 უიტეკერი (16), 0:2 ბასონგი (40), 0:3 ჰოლტი (44), 1:3 მიჩუ (51), 2:3 დე გუზმანი (59), 2:4 სნოდგრასი (77), 3:4 მიჩუ (90)

**სუონსი** (4-2-3-1): ტრემელი – დევისი, უილიამსი, ჩიკო, რანხელი – კი, დე გუზმანი – რუტლეჯი, მიჩუ, დაიერი – გრემი (68. შეხტერი)

**ნორვიჩი** (4-4-1-1): ბენი – უიტეკერი (90+1. ბარნეტი), მარტინი, ბასონგი, გარიდო – სნოდგრასი, ჰოუსონი, ჯონსონი, პიკლინგტონი – ჰულაჰანი – ჰოლტი (83. მორისონი)

**გაფრთხილება:** უილიამსი, რანხელი - მარტინი

**კარში დარტყმა:** 15-12 (7-12) **კუთხური:** 6-2 **თამაშგარე:** 1-2 **ჯარიმა:** 12-9 **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 20 294

უიგანი-ქუინზ პარკი 2:2

**გოლები:** 1:0 მაკარტი (18), 1:1 ნელსენი (25), 1:2 სისე (71), 2:2 მაკარტი (74)

**უიგანი** (3-4-3): ალ ჰაბსი – ჯონსი (77. მელონი), პისკუ, ბოისი – ბოსეჟური, მაკარტური, მაკარტი, სტამი – კონე, დი სანტო (85. ბოსელი), გომესი

**ქუინზ პარკი** (4-4-2): გრინი – ბოსინგვა (85. ფაბიო), ნელსენი, ჰილი, ტრაორე - დიაკიტე (77. გრანერო), დერი, მბია, რაიტ-ფილიპსი – მაკი, ტაარაბტი (58. ჯ. სისე)

**გაფრთხილება:** - ტაარაბტი

**კარში დარტყმა:** 13-9 (9-5) **კუთხური:** 11-4 **თამაშგარე:** 5-2 **ჯარიმა:** 9-12 **ბურთის ფლობა:** 56%-44%

**მაყურებელი:** 17 163

**სიტი-იუნაიტედი 2:3**

**გოლები:** 0:1 რუნი (16), 0:2 რუნი (29), 1:2 ი. ტურე (60), 2:2 საბალეტა (86), 2:3 ვან პერსი (90)

**სიტი** (4-4-1-1): ჰარტი – საბალეტა, კომპანი (21. კ. ტურე), ნასტასიჩი, კლიში – ნასრი, ი. ტურე (84. ჯეკო), დ. სილვა, ბერი – აგუერო – ბალოტელი (52. ტევესი)

**იუნაიტედი** (4-2-3-1): დე ხეა – რაფაელი, ფერდინანდი, ევანსი (49. სმოლინგი), ევრა – კერიკი, კლევერლი (88. უელბეკი) – ვალენსია (85. ფ. ჯონსი), იანგი, რუნი – ვან პერსი

**გაფრთხილება:** ნასრი, ი. ტურე, ტევესი, ბერი – ფერდინანდი, რუნი

**კარში დარტყმა:** 14-7 (9-3) **კუთხური:** 8-2 **თამაშგარე:** 4-4 **ჯარიმა:** 12-9 **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 47 000

**ევერტონი-ტოტენჰემი 2:1**

**გოლები:** 0:1 დემპსი (76), 1:1 პიენაარი (90+1), 2:1 იელავიჩი (90+2)

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – ბეინსი, დისტენი, იაგიელკა, კოულმენი – პენაარი, გიბსონი, ოსმანი (81. ველიოსი), მირალიაში (46. ნეისმიტი) – იალევიჩი (90+3. ჰეიტინგა), ფელაინი

**ტოტენჰემი** (4-4-2): ლორისი – უოლკერი, კოლკერი, გალასი, ვერტონგენი – სანდრო, დემბელე (77. სიგურდსონი), დემპსი, ლენონი (72. ჰადლსტოუნი) – ადებაიორი, დეფო (85. ფ. სილვა)

**გაფრთხილება:** ბეინსი, ოსმანი, იელავიჩი – დეფო, ვერტონგენი

**კარში დარტყმა:** 10-6 (5-6) **კუთხური:** 4-5 **თამაშგარე:** 3-0 **ჯარიმა:** 11-11 **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 36 494

**ვესტ ჰემი-ლივერპული 2:3**

**გოლები:** 0:1 გ. ჯონსონი (11), 1:1 ნოუბლი (36-პენ), 2:1 ჯერარდი (48-ს.კ-ში), 2:2 ჯ. კოული (76), 2:3 კოლინსი (79-ს.კ-ში)

**ვესტ ჰემი** (4-4-1-1): იასკელაინენი – ობრაიენი, რიდი, კოლინსი, დემელი (46. მაკარტნი) – ჯარვისი, დიამე (73. ტომკინსი), ნოუბლი, მ. ტეილორი (86. მაიტა) – ნოლანი – კ. კოული

**ლივერპული** (4-2-3-1): რეინა – გ. ჯონსონი, შკრტელი, აგერი, ხ. ენრიკე (27. ჯ. კოული) – ალენი (86. კოატესი), ლუკასი (71. ჰენდერსონი) – დაუნინგი, ჯერარდი, სტერლინგი - შელვი

**გაფრთხილება:** მ. ტეილორი – შელვი, ჯერარდი

**კარში დარტყმა:** 7-13 (4-4) **კუთხური:** 2-5 **თამაშგარე:** 5-0 **ჯარიმა:** 12-11 **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 35 005

**დღეს:** ფულჰემი-ნიუკასლი 00:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 16 | 13 | 0 | 3 | 40-23 | 39 |
| 2. სიტი | 16 | 9 | 6 | 1 | 30-14 | 33 |
| 3. ჩელსი | 16 | 8 | 5 | 3 | 28-17 | 29 |
| 4. ევერტონი | 16 | 6 | 8 | 2 | 27-20 | 26 |
| 5. ტოტენჰემი | 16 | 8 | 2 | 6 | 29-25 | 26 |
| 6. ვესტ ბრომვიჩი | 16 | 8 | 2 | 6 | 24-21 | 26 |
| 7. არსენალი | 16 | 6 | 6 | 4 | 26-16 | 24 |
| 8. სუონსი | 16 | 6 | 5 | 5 | 26-21 | 23 |
| 9. სტოკ სიტი | 16 | 5 | 8 | 3 | 14-12 | 23 |
| 10. ლივერპული | 16 | 5 | 7 | 4 | 22-20 | 22 |
| 11. ვესტ ჰემი | 16 | 6 | 4 | 6 | 21-20 | 22 |
| 12. ნორვიჩი | 16 | 5 | 7 | 4 | 17-24 | 22 |
| 13. ფულჰემი | 15 | 4 | 5 | 6 | 25-26 | 17 |
| 14. ნიუკასლი | 15 | 4 | 5 | 6 | 17-21 | 17 |
| 15. საუთჰემპტონი | 16 | 4 | 3 | 9 | 22-32 | 15 |
| 16. ასტონ ვილა | 16 | 3 | 6 | 7 | 12-23 | 15 |
| 17. უიგანი | 16 | 4 | 3 | 9 | 17-30 | 15 |
| 18. სანდერლენდი | 15 | 2 | 7 | 6 | 14-21 | 13 |
| 19. რედინგი | 15 | 1 | 6 | 8 | 19-28 | 9 |
| 20. ქუინზ პარკი | 16 | 0 | 7 | 9 | 13-29 | 7 |

**ბომბარდირები:** 12 - მიგელ მიჩუ (სუონსი), 11 - რობინ ვან პერსი (მანჩესტერ იუნაიტედი), 10 - ლუის სუარესი (ლივერპული), დემბა ბა (ნიუკასლი)

#### ჩემპიონშიპი. XXI ტური

**ბლექბერნი-კარდიფი 1:4**
გოლები: 0:1 ჰადსონი (30), 1:1 კინგი (51), 1:2 ბელამი (56), 1:3 მეისონი (84), 1:4 კიმი (85)

**დერბი-ლიდსი 3:1**
გოლები: 1:0 სემონი (15), 1:1 გრინი (45), 2:1 ბაქსტონი (66), 3:1 ბ. დევისი (90)

**ჩარლტონი-ბრაიტონი 2:2**
გოლები: 1:0 უილსონი (9), 1:1 მაკეილ-სმიტი (28), 2:1 პრიტჩარდი (70), 2:2 ლუალუა (75)

**კრისტ. პალასი-ბლექპული 2:2**
გოლები: 0:1 დელფუნესო (37), 1:1 გარვანი (52), 2:1 მარი (64), 2:2 დიკო (89)

**ჰადერსფილდი-ბოლტონი 2:2**
გოლები: 1:0 ნაიტი (9-ს.კ-ში), 1:1 მ. დევისი (70), 1:2 იგლზი (80), 2:2 ჯ. ვონი (87)

**იპსვიჩი-მილუოლი 3:0**
გოლები: 1:0 კემპბელი (37), 2:0 მერფი (50), 3:0 კემპბელი (64-პენ)

**ლესტერი-ბარნსლი 2:2**
გოლები: 1:0 ნოკერტი (9), 1:1 დოუსონი (27), 1:2 ნოუბლ-ლაზარუსი (39), 2:2 ვარდი (90)

**ნოტინგემი-ბარნლი 2:0**
გოლები: 1:0 ბლეკსტოკი (59), 2:0 შარპი (76)

**პიტერბორო-მიდლსბრო 2:3**
გოლები: 0:1 არუნი (9), 0:2 არუნი (20), 1:2 გეილი (37), 2:2 გეილი (52), 2:2 მილერი (76)

**შეფილდ უენ-ბრისტოლი 2:3**
გოლები: 1:0 ლიერა (3), 1:1 ბელდოკი (18-პენ), 2:1 მედინი (79), 2:2 ბელდოკი (86-პენ), 2:3 ადომა (88)

**უოტფორდი-ჰალ სიტი 1:2**
გოლები: 0:1 მეილერი (41), 0:2 ბრეიდი (73), 1:2 დინი (90)

**ვულვზი-ბირმინგემი 1:0**
გოლები: 1:0 მ. კინგი (33-ს.კ-ში)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 21 | 14 | 2 | 5 | 42-26 | 44 |
| 2. კრისტ. პალ. | 21 | 12 | 5 | 4 | 41-26 | 41 |
| 3. მიდლსბრო | 21 | 12 | 2 | 7 | 37-29 | 38 |
| 4. ჰალ სიტი | 21 | 12 | 2 | 7 | 31-26 | 38 |
| 5. ლესტერი | 21 | 11 | 4 | 6 | 37-20 | 37 |
| 6. უოტფორდი | 21 | 10 | 3 | 8 | 38-30 | 33 |
| 7. მილუოლი | 21 | 9 | 6 | 6 | 33-29 | 33 |
| 8. ბრაიტონი | 21 | 8 | 8 | 5 | 29-21 | 32 |
| 9. ნოტინგემი | 21 | 8 | 8 | 5 | 30-26 | 32 |
| 10. დერბი | 21 | 8 | 6 | 7 | 33-32 | 30 |
| 11. ბლექპული | 21 | 7 | 8 | 6 | 37-31 | 29 |
| 12. ჩარლტონი | 21 | 7 | 8 | 6 | 28-26 | 29 |
| 13. ბლექბერნი | 21 | 7 | 8 | 6 | 29-29 | 29 |
| 14. ლიდსი | 21 | 8 | 5 | 8 | 31-35 | 29 |
| 15. ჰადერსფილდი | 21 | 8 | 5 | 8 | 28-33 | 29 |
| 16. ვულვზი | 21 | 8 | 4 | 9 | 29-27 | 28 |
| 17. ბარნლი | 21 | 8 | 4 | 9 | 33-36 | 28 |
| 18. ბოლტონი | 21 | 6 | 8 | 7 | 30-32 | 26 |
| 19. ბირმინგემი | 21 | 6 | 6 | 9 | 26-33 | 24 |
| 20. იპსვიჩი | 21 | 6 | 5 | 10 | 22-41 | 23 |
| 21. ბრისტოლ ს. | 21 | 5 | 3 | 13 | 32-43 | 18 |
| 22. ბარნსლი | 21 | 4 | 6 | 11 | 21-34 | 18 |
| 23. შეფილდ უენს. | 21 | 4 | 3 | 14 | 24-40 | 15 |
| 24. პიტერბორო | 21 | 4 | 1 | 16 | 23-39 | 13 |

**ბომბარდირები:** 18 - ჩარლი ოსტინი (ბარნლი), გლენ მარი (კრისტალ პალასი), 13 – ტომ ინსი (ბლექპული), ჯორდან როუდსი (ბლექბერნი)

#### ლიგა ერთი. XXI ტური

ბრენტფორდი-მილტონი 3:2, ბერი-ლეიტონი 0:2, კარლაისლი-შეფილდ იუნ 1:3, კოლჩესტერი-ოლდჰემი 0:2, ქოვენთრი-უოლსოლი 5:1, ქროული-შრიუსბერი 2:2, ჰარტლპული-სტივენეიჯი 0:2, პრესტონი-ქრიუ 1:3, სკანტორპი-ბორნმუთი 1:2, სუინდონი-დონკასტერი 1:1, ტრანმერი-პორტსმუთი 2:2, იოვილი-ნოთს ქაუნთი 0:0

#### ლიგა ორი. XXI ტური

ბარნეტი-უიმბლდონი 1:1, ბრედფორდი-ტორკი 1:0, ბრისტოლი-დაგენჰემი 0:1, ფლიტვუდი-საუთენდი 0:0, ნორთჰემპტონი-ჩელტენჰემი 2:3, ოქსფორდი-ალდერშოტი 1:1, პლიმუთი-იორკი 2:0, პორტ ვეილი-ჩესტერფილდი 0:2, როჩდეილი-ექსეტერი 2:3, როტერჰემი-ჯილინგემი 1:2, უიკომბი-მორკემბი 2:2, ბარტონი-აკრინგტონი 1:0

ჩემპიონთა ლიგა. სტატისტიკა

# ჩემპიონთა ლიგა ციფრებში

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ, უეფას ოფიციალურმა საიტმა განვლილი 96 თამაში შეაჯამა და საკმაოდ საინტერესო სტატისტიკური მონაცემებიც გამოაქვეყნა.**

**1** – ლონდონის "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგის პირველი გამარჯვებულია, რომელიც მომდევნო წელს ჯგუფში ჩარჩა. აღსანიშნავია, რომ "ჩელსი" ჩემპიონთა ლიგაში მეთერთმეტედ თამაშობდა და ჯგუფური ეტაპი პირველად ვერ დაძლია. მიუხედავად ჯგუფში დაკავებული მესამე ადგილისა, "ჩელსი" 16 გოლით ჯგუფური ეტაპის ყველაზე შედეგიანი გუნდი გახდა.

**10** – "ჩელსიმ" და "კლუჟმა" 10-10 ქულა დააგროვეს, მაგრამ 1/8 ფინალში მაინც ვერ გავიდნენ. წლევანდელ სეზონამდე ასეთი გუნდი სულ რამდენიმე იყო: კიევის "დინამო" (1999/2000 სეზონის მეორე ჯგუფური ეტაპი და 2004/05), დორტმუნდის "ბორუსია" (2002/03), "პსვ ეინდჰოვენი" (2003/04), "ოლიმპიაკოსი" (2004/05), "ვერდერი" (2006/07), "მანჩესტერ სიტი" (2011/12) – ყველა ამ გუნდმა ჯგუფში ასპარეზობა 10 ქულით დაასრულა, მაგრამ მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდა.

**1** – "მანჩესტერ სიტი" გახდა პირველი ინგლისური გუნდი, რომელმაც ჯგუფში ერთი მატჩიც ვერ მოიგო. "ქალაქელები" საბოლოოდ ბოლო ადგილზე გავიდნენ და გახდნენ მესამე პრემიერლიგური გუნდი "ბლექბერნის" (1995/96) და "მანჩესტერ იუნაიტედის" (2005/06) შემდეგ, რომელმაც ჯგუფური ეტაპი ბოლო პოზიციაზე დაასრულა.

**100 და 150** – მეხუთე ტურში, **ჟოზე მოურინიო** გახდა მხოლოდ მეოთხე მწვრთნელი, რომელმაც საკუთარ გუნდს ჩემპიონთა ლიგაში მეასედ უხელმძღვანელა. ორი კვირის შემდეგ, სხვა სამი მწვრთნელიდან ერთ-ერთმა, **არსენ ვენგერმა** ჩემპიონთა ლიგაში 150-ე მატჩი "ჩაატარა". ასეულის წევრი ორი სხვა მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** (113 თამაში) და, რა თქმა უნდა, **სერ ალექს ფერგიუსონი** (188 თამაში) არიან.



**6** – **ბურაკ ილმაზმა** ჯგუფურ ეტაპზე 6 გოლი გაიტანა და ერთ სეზონში ყველაზე მეტი გოლის გამტანი თურქი ფეხბურთელი გახდა. საინტერესოა, რომ ამ სეზონამდე, ბურაკს ლიგაში 16 მატჩი ჰქონდა ჩატარებული (საკვალიფიკაციო ეტაპების ჩათვლით), მაგრამ თავისი პირველი გოლი მხოლოდ წლევანდელ გათამაშებაში გაიტანა.

**17** – მადრიდის "რეალმა" ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ფლეი ოფის ეტაპზე სულ მეჩვიდმეტედ, ზედიზედ კი მეთექვსმეტედ გავიდა.

**14** – "ბარსელონამ" ჯგუფში პირველი ადგილი მეთოთხმეტედ დაიკავა. ამ მხრივ, მეორე ადგილზე "მანჩესტერ იუნაიტედია", რომელიც კატალონიურ კლუბს ერთით ჩამორჩება. "ბარსამ" ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება ზედიზედ მეექვსე სეზონში შეძლო.

**9** – პირველ სამ ტურში ფრედ დასრულებული მატჩების შემდეგ, ტურინის "იუვენტუსს" ევროთასებზე ზედიზედ 9 ფრე დაუგროვდა, რაც სარეკორდო მაჩვენებლი აღმოჩნდა. ტურინელებმა მოუგებელი სერია "ნორდსიელანდთან" შეწყვიტეს, რასაც "ჩელსის" და "შახტარის" დამარცხება მიაყოლეს. დონეცკში მოპოვებული გამარჯვებით, "ბებერმა ქალბატონმა" სტუმრად 5-მატჩიანი მშვიდობიანი სერია შეწყვიტა და ჯგუფში პირველი ადგილიც დაიკავა.

**567** – 2011/12 წლების სეზონში ექვსივე თამაშის წაგების შემდეგ, ზაგრების "დინამომ" წლევანდელ გათამაშებაში პირველი ხუთი შეხვედრაც დათმო და ბოლო ტურში კიევის დინამოელი **ანდრეი იარმოლენკოს** გოლის შემდეგ, ზედიზედ მეთორმეტე მარცხის საშიშროების წინაშე დადგა, რითაც "ანდერლეხტის" ყველა დროის ანტირეკორდს გაიმეორებდა. გარდა ამისა, ხორვატებს მიმდინარე გათამაშებაში გოლი არ ჰქონდათ გატანილი და "დეპორტივოს" (2004/05) და ჰაიფას "მაქაბის" (2009/10) "მიღწევის" გამეორების შანსიც ჰქონდათ, მაგრამ არბიტრის მიერ დამატებულ წუთებზე, ცვლილებაზე გამოსულმა **ივან კრსტანოვიჩმა** პენალტი მოიპოვა, რომელიც გოლად თავადვე აქცია და ზაგრებელთა 567 წუთიანი (დამატებული დროის ჩათლით) უგოლო სერია დაასრულა.

**560** – "მალაგამ" საბოლოოდ ხუთი გოლი კი გაუშვა, მაგრამ ანდალუსიელებმა საკუთარ კარში პირველი ბურთი მეოთხე ტურის შეხვედრაში მიიღეს – **ალეშანდრე პატომ** ესპანელთა 560-წუთიანი მშრალი სერია შეწყვიტა. "სან სიროზე" გამართულ მატჩამდე (1:1), "მალაგას" წინა ცხრა საევროთასო მატჩიდან, რვაში გოლი არ ჰქონდა გაშვებული.

**7** – H ჯგუფის 12 შეხვედრაში 7-ჯერ გამარჯვება სტუმრებს დარჩათ, ხოლო მასპინძლებმა მხოლოდ 4 მატჩი მოიგეს.

**126** – მეოთხე ტურის შეხვედრა **იკერ კასილიასისთვის** 126-ე იყო ჩემპიონთა ლიგაში და ამ მაჩვენებლით ის **რაულის** (142 თამაში) და **რაიან გიგზის** (132 თამაში) შემდეგ მესამე ადგილზე აღმოჩნდა. ახლა ესპანელი გოლკიპერის ანგარიშზე 127 მატჩია.

**56** – **მესის** ჩემპიონთა ლიგაში 56 გოლი აქვს გატანილი და ყველა დროის სიაში, **რუუდ ვან ნისტელროისთან** ერთად, მეორე ადგილს იყოფს, პირველზე კი 71 გოლით რაულია.

**4** – ზაგრების "დინამოსთან" (4:0) მატჩში, **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** 4 საგოლე პასი გააკეთა. ბოლოს ასეთი შემთხვევა 2010/11 წლების სეზონში დაფიქსირდა, როდესაც **კარლუშ მარტინშმა** "ბენფიკას" "ლიონთან" მოაგებინა (4:3). იბრაჰიმოვიჩს სულ 5 საგოლე პასი აქვს და ამ კატეგორიის ლიდერია.

**6** – კიევის "დინამოსთან" პირველი ტურის შეხვედრაში გატანილი ბურთის შემდეგ, ზლატანი გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში გოლი 6 კლუბის მაისურით გაიტანა ("აიაქსი", "იუვენტუსი", "ინტერი", "მილანი", "ბარსელონა" და პსჟ).

ტატო ბაციკაძე


ჩვენ გჩუქნით წიგნებს!

ელვა.ჯი
პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო
www.elva.ge

ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს
იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და „პალიტრა მედიის" კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

## უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა. XVI ტური

# დორტმუნდის სკანდალური მარცხი

## შტარკმა ბორუსიას ბოდიში მოუხადა

მე-16 ტურში „ბაიერნის“ სამივე მეტ-ნაკლებად სერიოზული კონკურენტი დამარცხდა: „დორტმუნდმა“ „ვოლფსბურგთან“ წააგო, „შალკემ“ - შტუტგარტში, „ლევერკუზენმა“ – ჰანოვერში. თავათ რეკორდმაისტერმა კი მორიგი გამარჯვება მოიპოვა და შეიძლება, რომ ამ სეზონში მიუნხენელთა ჩემპიონობა გარდაუვალია.

„ვოლფსბურგი“ კარგი გუნდია, რაც არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ „მგლებს“ დორტმუნდში გამარჯვებას არავინ უწინასწარმეტყველებდა. და რაკი ასე მოხდა, დიდი მარჩიელობა არ სჭირდება იმას, რომ ამ თამაშში რაღაც ვერ იქნებოდა წესრიგში. ფაქტია, რომ დორტმუნდელებმა ჩემპიონობის შენარჩუნებაზე ხელი უნდა ჩაიქნიონ და ფაქტია ისიც, რომ საფეხბურთო გერმანიაში ამ თამაშზე კიდევ დიდ ხანს ილაპარაკებენ, რადგან მსაჯმა **ვოლფგანგ შტარკმა** 5-დან 4 არჩასათვლელი გოლი ჩათვალა.

მივყვეთ თანმიმდევრობით: „ბორუსია“, რა თქმა უნდა, თავიდანვე დომინირებდა, ვოლფსბურგელები კი თავს იცავდნენ. შესაბამისად, ლოგიკური გახლდათ ის, რომ ჩემპიონებმა ანგარიში გახსნეს - თუმცა **მარკო როისის** გოლის მომენტში **რობერტ ლევანდოვსკი** აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, შტარკმა კი გოლი ჩათვალა. თუმცა ამაზე დიდი და უპატიებელი შეცდომა არბიტრმა მერე დაუშვა: **დიეგომ ვიეირინიას** კარგი პასი მისცა, მაგრამ ეს უკანასკნელი თამაშგარეში იყო, რაც მსაჯთა ბრიგადამ ვერ შენიშნა, ბურთი კი **ბას დოსტს** მიუვიდა, რომლის დარტყმის შემდეგ **მარსელ შმელცერს** მუხლზე მოხვდა - შტარკს კი მოეჩვენა, რომ დორტმუნდელთა მარცხენა მცველმა ხელით ითამაშა, რის გამოც, „ბორუსიას“ კარში პენალტი დანიშნა, შმელცერი კი მოედნიდან გააძევა! უსამართლოდ მიღებული თერთმეტმეტრიანი დიეგომ, რა თქმა უნდა, სინდისის ქენჯნის გარეშე შეასრულა და ანგარიში გაათანაბრა.

„შტარკმა ათ წამში ორი უპატიებელი შეცდომა დაუშვა. იმედია, ეყოფა კაცობა და შეცდომებს აღიარებს,“ - თქვა მატჩის შემდეგ „ბორუსიას“ **ბოსმა ჰანს-იოახიმ ვატცკემ** და მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ შტარკმა, რომელიც წარმოშობით ბავარიელია, „დორტმუნდს“ ოფიციალურად მოუბოდიშა: *„ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. მომენტის განმეორებით ნახვის შემდეგ ვაღიარებ: არც პენალტი უნდა დამენიშნა და შმელცერიც არ უნდა გამეძევებინა. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე,“* - განაცხადა შტარკმა და შეგახსენებთ, რომ **ლევან კობიაშვილი** დისკვალიფიკაციას სწორედ მის გამო იხდის.

### კლოპი: პირველ ტაიმში ორი უსამართლო გოლის მიღება ნამეტანია!

*„ორი აზრი არ არსებობს: ეს ისეთი სცენა იყო, რომელმაც მატჩის ბედი გადაწყვიტა. სათადარიგოთა სკამიდანაც კი დავინახე, რომ შმელცერს ბურთი ხელზე არ მოხვედრია. მარსელის ადგილზე მე ალბათ გავგიჟდებოდი და მოთმინებას დავკარგავდი, მას კი ნობელის პრემია ეკუთვნის იმის გამო, რომ ნერვები მოთოკა და მსაჯის აბსოლუტურად მიუღებელი გადაწყვეტილება მხოლოდ მსუბუქად გააპროტესტა,“* - ეს დორტმუნდელთა თავკაც **იურგენ კლოპის** სიტყვებია.

შტარკის შეცდომები კი ამით არ დამთავრებულა. ვოლფსბურგელები წინ 41-ე წუთზე, **ნალდოს** გოლით გავიდნენ - დარტყმის მომენტში **სიმონ კიაერი** ოფსაიდში იყო და თან, „ბორუსიას“ მეკარე **რომან ვაიდენფელერს** ხელს უშლიდა. კლოპი: *„პირველ ტაიმში ორი უსამართლო გოლის მიღება ნამეტანია. შესვენებაზე ყველამ გაიგო, რომ მარსელს ხელით არ უთამაშია. „ვოლფსბურგის“ ფეხბურთელებიც კი ამას ამბობდნენ.“*

მიუხედავად იმისა, რომ დორტმუნდელები ათნი იყვნენ, ბურთს მაინც უფრო ხშირად ფლობდნენ და უტევდნენ. შტარკმა კი ამჯერად „ბორუსიას“ სასარგებლოდ დაუშვა შეცდომა: კიაერისა და **ბლაშჩიკოვსკის** მსუბუქი ორთაბრძოლის შემდეგ უკვე ვოლფსბურგელთა კარში დანიშნა პენალტი, რომელიც „კუბამ“ გაიტანა. კიდევ კარგი, რომ დოსტის გოლი მაინც გავიდა წესების სრული დაცვით და „მგლებმა“ სწორედ ამ გოლით მოიგეს.

საფინალო სასტვენის შემდეგ კლოპმა და ვაიდენფელერმა ვოლფსბურგელთა სათადარიგოთა სკამს შეუტიეს - მიზეზი ის გახლდათ, რომ დამატებულ დროში იქიდან მოედანზე ბურთი რამდენჯერმე შევარდა, რათა დრო გაწელილიყო. კლოპს „მგლების“ მწვრთნელმა **ლორენც-გიუნტერ კიოსტნერმა** უპასუხა. მათი კამათი გასახდელისკენ მიმავალ გზაზეც გაგრძელდა. „დორტმუნდის“ მენეჯერი **მიხაელ ცორკი** შტარკს ეჩხუბებოდა, მერე კი პირდაპირ ეთერში მოკლედ მოჭრა, ასეთმა გამოცდილმა არბიტრმა ასე ცუდად იმსაჯოს, ასეთი რამ ცხოვრებაში პირველად ვნახეო. მატჩის დამთავრებიდან ორი საათის შემდეგ სკანდალურ მატჩზე გერმანიის საფეხბურთო კავშირმაც გააკეთა ოფიციალური განცხადება - ვოლფგანგ შტარკმა შეცდომა აღიარაო, რაც იმას ნიშნავს, რომ შმელცერს დისკვალიფიკაციას ალბათ არ მიუსჯიან - ესეც შეღავათია...

### თომას მიულერი: დორტმუნდელები ჩემპიონობაზე ნულარ ილაპარაკებენ!

„ბაიერნმა“ აუგსბურგში, რა თქმა უნდა, უპრობლემოდ გაიმარჯვა და ბავარიელები საფინალო სასტვენის შემდეგ დორტმუნდელებს უთვლიდნენ, ჩემპიონობაზე ნულარ ილაპარაკებთო. რეკორდმაისტერი აუტსაიდერთან დიდად არ დახარჯულა - „აუგბურგს“ მხოლოდ ორი გოლი გაუტანა, საინტერესო კი ისაა, რომ მეორე გოლი **მარიო გომესის** ანგარიშზეა. **იუპ ჰაინკესმა** ძირითად შემადგენლობაში მოლოდინისამებრ **მარიო მანჯუკიჩი** გაამწესა, გომესი კი მოედანზე მეორე ტაიმში შეუშვა და მან შესვლიდან 110 წამში იხეირა.

*„ეს გოლიც უმნიშვნელოვანესი იყო. მიხარია, რომ მწვრთნელი უფრო და უფრო მეტად მენდობა. იმედია, ასე გავაგრძელებ,“* - თქვა მატჩის შემდეგ გომესმა, რომელსაც გამოჯანმრთელების შემდეგ მოედანზე 190 წუთი გაატარა (ბუნდესლიგა, ჩემპიონთა ლიგა) და სამი გოლი გაიტანა. სამაგიეროდ, გომესის დაბრუნების შემდეგ მანჯუკიჩი ამოვარდა ფორმიდან - ხორვატს 311-წუთიანი უგოლო სერია აქვს.

*„დორტმუნდს“ უკვე 14 ქულით ვუსწრებთ და მათ ადგილზე მე ჩემპიონობაზე ალარ ვილაპარაკებდი,“* - განაცხადა მატჩის შემდეგ **თომას მიულერმა**.

### შალკეს კრიზისი: სტევენსის დღეები დათვლილია?

„შალკეს“ კრიზისს „მინი-კრიზისი“ ალარ ჰქვია - გელზენკირხენული კლუბი შტუტგარტში 1:3 დამარცხდა, რაც **ჰუუბ სტევენსის** გუნდისთვის ზედიზედ მეოთხე მარცხი გახლდათ გასვლით მატჩებში. ზოგადად, „შალკემ“ ბოლო 7 მატჩში ოდენ 5 ქულას მოუყარა თავი. *„სეზონი ბრწყინვალედ დავიწყეთ, პირველი წრის ბოლოს კი ყველაფერი წყალში ჩავყარეთ. ეს საშინებელებაა,“* - ხასიათწამხდარი იყო მატჩის შემდეგ „შალკეს“ კაპიტანი **ბენედიქტ ჰიოვედესი**.

ამრიგად, „შალკე“ საუკეთესო ოთხეულშიც ალარაა და გერმანიაში უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ სტევენსი შეიძლება ზამთარშივე გაათავისუფლონ. ისე, ჰოლანდიელს გელზენკირხენელებთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. „ბილდის“ ინფორმაციით, „შალკეს“ ხელმძღვანელების ფავორიტი „მაინცის“ მწვრთნელი **თომას ტუხელია**.

ვიფიქრეთ, რომ ფრანკფურტის „აინტრახტსაც“ კრიზისი ეწყებოდა, მაგრამ **არმინ ფეეს** გუნდმა ეს მოსაზრება „ვერდერთან“ ბრწყინვალე თამაშითა და მსუყე გამარჯვებით გააბათილა: ფრანკფურტელებმა ბრემენელები 4:1 გაანადგურეს და საუკეთესო ოთხეულში დაბრუნდნენ. აზრზე მოსული „ფორტუნა“ ნიურნბერგში დამუხრუჭდა (0:2), „ფრაიბურგმა“ „ფიურტს“ მინიმალური სხვაობით მოუგო, ხოლო პარასკევს, **მარკუს ბაბელის** გარეშე დარჩენილი „ჰოფენჰაიმი“ „ჰამბურგში“ 0:2 დამარცხდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

#### მომდევნო ტური

**14 დეკემბერი.** ბაიერნი-ბორუსია (მ).

**15 დეკემბერი.** ლევერკუზენი-ჰამბურგი, ვოლფსბურგი-აინტრახტი, მაინცი-შტუტგარტი, ფიურტი-აუგსბურგი, ფორტუნა-ჰანოვერი, შალკე-ფრაიბურგი.

**16 დეკემბერი.** ჰოფენჰაიმი-ბორუსია (დ), ვერდერი-ნიურნბერგი.



ვოლფგანგ შტარკმა ამის გამო დორტმუნდის კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა, მარსელ შმელცერი კი მოედნიდან გააძევა

#### ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი 2:0

**გოლები:** 1:0 რუდნევსი (27), 2:0 რუდნევსი (74)

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ადლერი - დიკმაიერი, მანსიენი, ვესტერმანი, ლამი (79. ბრუმა) - ბადელი - სკიელბრედი (85. სალა), აოგო - არსლანი - სონი, რუდნევსი (90. ბერგი).

**ჰოფენჰაიმი (4-3-3):** კასტეელსი - ბეკი, დელპიერი, კომპერი, ჯონსონი - ვილიამსი (66. ძრიოკი), რუდი, სალიჰოვიჩი - ვოლანდი (71. შიპლოკი), დერდიოკი, რობერტო ფირმინიო (86. გრიფო).

**გაფრთხილება:** სკიელბრედი - ვოლანდი

**კუთხური:** 1-3; **ჯარიმა:** 16-9; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 10(4)-14(3); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 48 121

#### ბორუსია (დ)-ვოლფსბურგი 2:3

**გოლები:** 1:0 როისი (6), 1:1 დიეგო (36-პენ), 1:2 ნალდო (41), 2:2 ბლაშჩიკოვსკი (61-პენ), 2:3 დოსტი (73)

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, შმელცერი - გიუნდოგანი, ლაიტნერი (46. პერიშიჩი) - ბლაშჩიკოვსკი (81. შიბერი), გიოტცე, როისი - ლევანდოვსკი.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო - ფაგნერი, ნალდო, კიაერი, მ. შეფერი - ჟოსუე (72. კალენბერგი), პოლაკი - ჰასებე, დიეგო, ვიეირინია (86. როდრიგესი) - დოსტი.

**გაფრთხილება:** როისი, გიუნდოგანი, გიოტცე - კიაერი, ჟოსუე, კალენბერგი

**გაძევება:** შმელცერი (35. ბორუსია /დ/)

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 1-7; **კარში დარტყმა:** 20(10)-6(4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 80 000

#### შტუტგარტი-შალკე 3:1

**გოლები:** 1:0 იბიშევიჩი (2), 1:1 მარიკა (12), 2:1 იბიშევიჩი (38-პენ), 3:1 იბიშევიჩი (61)

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი - გ. საკაი, მასა, ნიდერმაიერი, ბოკა - კუზმანოვიჩი, გენტნერი - ჰარნიკი (91. ბენიამინა), ჰოლცჰოიზერი (71. რიუდიგერი), ტრაორე (86. მოლინარო) - იბიშევიჩი.

**შალკე (4-1-3-2):** ჰილდებრანდი - უჩიდა (71. ბარნეტა), ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი - ნოიშტედტერი - ჯონსი, ჰოლტბი (82. პუკი), დრაქსლერი - მარიკა, ჰუნტელაარი.

**გაფრთხილება:** იბიშევიჩი, ბოკა, ტრაორე, ჰარნიკი - მატიპი

**გაძევება:** საკაი (67. შტუტგარტი) - ჯონსი (73. შალკე)

**კუთხური:** 4-8; **ჯარიმა:** 24-17; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 13(7)-13(3); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 55 880

#### ნიურნბერგი-ფორტუნა 2:0

**გოლები:** 1:0 პოლტერი (27), 2:0 ფოილნერი (91)

**ნიურნბერგი (4-1-2-2-1):** რ. შეფერი - ჩენდლერი, ნილსონი, კლოზე, პინოლა - სიმონსი - ფოილნერი, ბალიჩი - ფრანტცი (89. პლატენჰარდტი), გებჰარტი (77. კოენი) - პოლტერი (77. პეკჰარტი).

**ფორტუნა (4-2-3-1):** გიფერი - ბალოგუნი, ბოძეკი, ხუანანი, ვან დერ ბერგი - ო. ფინკი, ლამბერტცი (80. რაფაელი) - რაიზინგერი (46. შაჰინი), ილსიო, ბელინგჰაუზენი (71. დუ-რი ჩა) - კრუსი.

**გაფრთხილება:** ნილსონი - ლამბერტცი, რაიზინგერი, კრუსი, ბოძეკი, ბალოგუნი, გიფერი

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 15-19; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 13(5)-8(1); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 37 041

#### ფრაიბურგი-ფიურტი 1:0

**გოლი:** 1:0 დ. კალიჯური (15)

**ფრაიბურგი (4-2-2-2):** ბაუმანი - მუიჯა (85. იენდრიშეკი), კრმასი, ფლუმი, ჰედენსტადი (77. გიუნტერი) - ზორგი, მაკიადი - შმიდი, დ. კალიჯური - როზენტალი (60. გუედე), მ. კრუსე.

**ფიურტი (4-2-3-1):** ჰესლი - ნერიგი, კლაინე (46. სობიეხი), მავრაი, ბაბა - ფიურშტნერი, ცილნერი (62. კლაუსი) - შტიბერი (77. მიკელსენი), ნიოთე, პრიბი - ასამოა.

**გაფრთხილება:** ზორგი, გიუნტერი - კლაინე, ასამოა, ბაბა, ნერიგი

**კუთხური:** 3-2; **ჯარიმა:** 16-21; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 11(3)-9(1); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 22 600

#### აუგსბურგი-ბაიერნი 0:2

**გოლები:** 0:1 თ. მიულერი (40-პენ), 0:2 გომესი (62)

**აუგსბურგი (4-2-3-1):** ამსიფი - ფოგტი, სანკო (71. ს. ჰაინი), კლავანი, დე იონგი - კალსენ-ბრაკერი, ბაიერი - მუსონა (90. პეტრჟელა), კოო, ვერნერი - მიოლდერსი (66. ბონსე).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, დანტე, ალაბა - შვაინშტაიგერი, ხავი მარტინესი - თ. მიულერი (78. ტიმოშჩუკი), კროოსი (86. რაფინია), რიბერი – მანჯუკიჩი (61. გომესი).

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 11-11; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 14(3)-18(6); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 30 660

#### აინტრახტი-ვერდერი 4:1

**გოლები:** 1:0 ა. მაიერი (47), 1:1 პეტერსენი (54), 2:1 შვეგლერი (54), 3:1 აიგნერი (62), 4:1 ინუი (90)

**აინტრახტი (4-2-3-1):** ტრაპი - ს. იუნგი, სამბრანო, ბუტშერი, ოჩიპკა - შვეგლერი, როდე - აიგნერი (84. ჩელოცი), ა. მაიერი, ინუი (91. ლანიგი) - ოუშენი.

**ვერდერი (4-1-2-2-1):** მილიტცი - გებრე სელასიე, პრიოდლი, სოკრატისი, შმიტცი - იუნუზოვიჩი (67. იგნიოვსკი) - ფრიტცი (80. აკპალა), დე ბრუინი - არნაუტოვიჩი, ელია (69. ფიულკრუგი) - პეტერსენი.

**გაფრთხილება:** აიგნერი, სამბრანო, ინუი, როდე - პრიოდლი, შმიტცი

**კუთხური:** 3-4; **ჯარიმა:** 17-21; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 18(7)-12(6); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 51 500

#### ბორუსია (მ)-მაინცი 2:0

**გოლები:** 1:0 ჰანკე (58), 2:0 არანგო (63)

**ბორუსია /მ/ (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანჩკე, შტრანცლი, ალვარო დომინგესი, ვენდტი – ნორდტვეიტი, მარქსი – როიპი (78. ჩიგრინსკი), არანგო – [illegible] (84. [illegible]), დე იონგი (46. ჰანკე).

**მაინცი (4-1-2-1-2):** [illegible] – [illegible], სვენსონი, ნოვესკი, ზაბავნიკი (69. ჟუნიორ დიასი) – ბაუმგარტლინგერი – პოლანსკი (66. ნ. მიულერი), სოტო – ივანშიტცი – შ. პარკერი (66. რისსე), სალაი.

**გაფრთხილება:** ჰერმანი, ალვარო დომინგესი – სოტო, ნოვესკი

**კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 11-12; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 10(2)-14(4); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 46 622

#### ჰანოვერი-ლევერკუზენი 3:2

**გოლები:** 0:1 კასტრო (2), 1:1 ჰუშტი (20-პენ), 2:1 მ. დიუფი (57), 2:2 კისლინგი (58), 3:2 ჰუშტი (69-პენ)

**ჰანოვერი (4-2-3-1):** ცილერი – ჩერუნდოლო, ეგიმანი, კ. შულცი, რაუში – შმიდებახი, და სილვა პინტუ – ია კონანი (87. ზობიხი), შლაუდრაფი (80. ჩაჰედი), ჰუშტი (93. პანდერი) – მ. დიუფი.

**ლევერკუზენი (4-1-2-2-1):** ლენო – კარვახალი, მ. ფრიდრიხი (65. სემი/82. ჯუნიორ ფერნანდესი), ვოლშაიდი, ჰოსოგაი – რაინარტცი – ლ. ბენდერი, როლფესი (71. ჰეგელერი) – კასტრო, შიურლე – კისლინგი.

**გაფრთხილება:** კასტრო, რაინარტცი, კარვახალი

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 11-15; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8(5)-13(4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 45 800

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 16 | 13 | 2 | 1 | 43-6 | 41 |
| 2. ლევერკუზენი | 16 | 9 | 3 | 4 | 30-22 | 30 |
| 3. ბორუსია (დ) | 16 | 7 | 6 | 3 | 32-19 | 27 |
| 4. აინტრახტი | 16 | 8 | 3 | 5 | 31-27 | 27 |
| 5. შალკე | 16 | 7 | 4 | 5 | 26-22 | 25 |
| 6. შტუტგარტი | 16 | 7 | 4 | 5 | 20-25 | 25 |
| 7. ჰამბურგი | 16 | 7 | 3 | 6 | 18-18 | 24 |
| 8. ბორუსია (მ) | 16 | 6 | 6 | 4 | 24-25 | 24 |
| 9. ფრაიბურგი | 16 | 6 | 5 | 5 | 21-17 | 23 |
| 10. ჰანოვერი | 16 | 7 | 2 | 7 | 31-29 | 23 |
| 11. მაინცი | 16 | 7 | 2 | 7 | 21-20 | 23 |
| 12. ვერდერი | 16 | 6 | 3 | 7 | 27-28 | 21 |
| 13. ნიურნბერგი | 16 | 5 | 4 | 7 | 16-21 | 19 |
| 14. ვოლფსბურგი | 16 | 5 | 4 | 7 | 17-25 | 19 |
| 15. ფორტუნა | 16 | 4 | 6 | 6 | 18-21 | 18 |
| 16. ჰოფენჰაიმი | 16 | 3 | 3 | 10 | 22-38 | 12 |
| 17. აუგსბურგი | 16 | 1 | 5 | 10 | 11-28 | 8 |
| 18. ფიურტი | 16 | 1 | 5 | 10 | 10-27 | 8 |

**ბომბარდირები:** 10 – იბიშევიჩი (შტუტგარტი), კისლინგი (ლევერკუზენი), ა. მაიერი (აინტრახტი); 9 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/), მანჯუკიჩი (ბაიერნი), თ. მიულერი (ბაიერნი), სალაი (მაინცი); 7 – დოსტი (ვოლფსბურგი).

#### II ბუნდესლიგა

XVIII ტური

**უნიონი-კაიზერსლაუტერნი 2:0**
**გოლები:** 1:0 ტეროდე (43), 2:0 ტეროდე (66)

**ფრანკფურტი-ზანდჰაუზენი 3:1**
**გოლები:** 1:0 ვერჰუკი (2), 2:0 იუნი (13), 2:1 ულმი (64), 3:1 კაპლანი (83)

**აალენი-დუისბურგი 0:1**
**გოლი:** 0:1 ვოლცე (84)

**პადერბორნი-ჰერტა 0:1**
**გოლი:** 0:1 რამოსი (65)

**დინამო-ბოხუმი 0:3**
**გოლები:** 0:1 აიდინი (17), 0:2 დაბროვსკი (25), 0:3 კრამერი (88)

**ზანკტ პაული-აუე 0:3**
**გოლები:** 0:1 ჰოხშაიდტი (49), 0:2 სილვესტრი (76), 0:3 ვიგელი (89)

**კოტბუსი-ინგოლშტადტი 1:1**
**გოლები:** 1:0 სანოგო (5), 1:1 მიატოვიჩი (79)

**რეგენსბურგი-მიუნხენ 1860 1:1**
**გოლები:** 1:0 ჰოფმანი (57-პენ), 1:1 შტოპელკამპი (85)

**კიოლნი-ბრაუნშვაიგი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაუნშვაიგი | 17 | 12 | 4 | 1 | 29-10 | 40 |
| 2. ჰერტა | 18 | 11 | 6 | 1 | 34-14 | 39 |
| 3. კაიზერსლაუტ. | 18 | 8 | 8 | 2 | 29-20 | 32 |
| 4. კოტბუსი | 18 | 8 | 5 | 5 | 26-20 | 29 |
| 5. უნიონი | 18 | 7 | 6 | 5 | 27-23 | 27 |
| 6. ფრანკფურტი | 18 | 8 | 3 | 7 | 26-22 | 27 |
| 7. მიუნხენ 1860 | 18 | 6 | 8 | 4 | 20-16 | 26 |
| 8. აალენი | 18 | 7 | 4 | 7 | 19-16 | 25 |
| 9. ინგოლშტადტი | 18 | 6 | 7 | 5 | 22-21 | 25 |
| 10. კიოლნი | 17 | 6 | 6 | 5 | 20-19 | 24 |
| 11. პადერბორნი | 18 | 6 | 5 | 7 | 23-20 | 23 |
| 12. ზანკტ პაული | 18 | 5 | 6 | 7 | 18-22 | 21 |
| 13. აუე | 18 | 5 | 5 | 8 | 24-28 | 20 |
| 14. დუისბურგი | 18 | 5 | 3 | 10 | 16-30 | 18 |
| 15. ბოხუმი | 18 | 4 | 5 | 9 | 20-33 | 17 |
| 16. დინამო | 18 | 3 | 6 | 9 | 18-28 | 15 |
| 17. ზანდჰაუზენი | 18 | 3 | 5 | 10 | 20-39 | 14 |
| 18. რეგენსბურგი | 18 | 3 | 4 | 11 | 20-30 | 13 |

**ბომბარდირები:** 10 - სანოგო (კოტბუსი); 9 - იდრისუ (კაიზერსლაუტერნი); 8 - ბუნიაკუ (კაიზერსლაუტერნი), ჰოხშაიდტი (აუე), კრუპკე (ბრაუნშვაიგი), კუმბელა (ბრაუნშვაიგი), ლაუთი (მიუნხენ 1860), რონი (ჰერტა).

#### III ბუნდესლიგა

**ჰანზა-უნტერჰახინგი 0:1, ჰალეშერი-კარლსრუე 0:2, ოსნაბრიუკი-ზაარბრიუკენი 3:0, არმინია-ბორუსია (დ) II 4:2, ხემნიტცი-პროისენი 2:2.**

*სხვა მატჩები გადაიდო*

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### ნაციონალი

XXII ტური

| | |
|---|---|
| ბაროუ-ჰერეფორდი | 0:2 |
| კემბრიჯი-გეიტშედი | 3:0 |
| დარტფორდი-ლინკოლნი | 2:4 |
| ფორესტ გრინი-მაკლსფილდი | 1:1 |
| გრიმსბი-ტამუორთი | 2:0 |
| ჰაიდი-ტელფორდი | 2:1 |
| კიდერმინსტერი-ნიუპორტი | 3:2 |
| ლუტონი-ალფრეტონი | 3:0 |
| მენსფილდი-ებსფლიტი | 4:1 |
| საუთპორტი-ბრენტრი | 0:2 |
| უოკინგი-სტოკპორტი | 1:0 |
| რექსემი-ნანიტონი | 6:1 |

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XIX ტური

| | |
|---|---|
| ვერდერი II-ჰამბურგი II | 0:1 |
| ვოლფსბურგი II-ნოიმიუნსტერი | 3:0 |

### რეგიონალლიგა (ჩ-ა)

XV ტური

| | |
|---|---|
| კარლ ცაისი-კოტბუსი II | 2:0 |

### რეგიონალლიგა (დას)

XX ტური

| | |
|---|---|
| ლოტე-ვერლი | 2:0 |
| ესენი-ობერჰაუზენი | 2:1 |
| ვიდენბრუკი-ლევერკუზენი II | 2:0 |
| შალკე II-კრაი | 2:0 |

## საფრანგეთი

### ნაციონალი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| ფრეჟუსი-პონ დუ გარი | 0:1 |

## საფრანგეთის თასი

### VIII რაუნდი

| | |
|---|---|
| ლავალი-გინგამი | 1:2 |
| სტ. რენანი-ნანტი | 0:1 |
| სტ. ანი-კაენი | 0:5 |
| სტ. არმანი-ჰავრი | 1:3 |
| აგდი-შორეი | 0:1 |
| დე ლომონე-არლი | 0:1 |
| მონაკო-ბურჟი | 0:0 პენ. 6:7 |
| სავინიო-ვილეფრანში | 2:1 |
| ამიენი-რასინგი | 1:0 |
| ამნევილი-ფლოერი | 2:0 |
| არმენტიერი-ლანსი | 0:6 |
| არასი-ანჟერსი | 1:0 დ.დ. |
| ავენიერი-ლიმოჟი | 4:2 |
| საბლი-პლაბენეკი | 2:2 პენ. 3:5 |
| სტ. პონტივიენი-ლუკონი | 1:4 |
| სტად ბორდელე-ნიორი | 1:0 |
| ტარბი-ნიმი | 0:5 |
| ვიტრი-ვენდე | 1:2 |
| ორილიაკი-ისტრი | 0:1 |
| იზორი-მულენი | 0:1 |
| სტ. ლეონარდი-კარკეფუ | 0:5 |
| ევრო-ლე მანი | 0:1 |
| მონდევილი-შატორუ | 0:1 დ.დ. |
| ვერტუ-სტ. სატურნინი | 3:0 |
| დრუე-ევრი | 2:2 პენ. 4:3 |
| ლა ბრედი-მუტერენი | 0:1 დ.დ. |
| ლე პორტელი-დუნკერკი | 1:1 პენ. 5:3 |
| ლე მურო-მეცი | 0:1 |
| სტ. ჟანი-ვენისიო | 0:0 პენ. 1:3 |
| სტ. მარგერიტი-ბელფორი | 0:1 |
| ბლუა-რუანი | 0:2 დ.დ. |
| მარტიგი-მარსელ კონსოლა | 1:4 |
| მო აკადემი-შამბლი | 1:0 დ.დ. |
| იტრაკი-ლე პუარი | 1:6 |
| პონტივი-სტ. მალო | 0:3 |
| ჰაგენო-ტაონი | 2:3 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XVII ტური

| | |
|---|---|
| მარიტიმუ B-ბრაგა B | 0:1 |
| აზლეტიკო-ბელენენსეში | 2:4 |
| არუკა-ბენფიკა B | 3:1 |
| პორტუ B-სტ. კლარა | 3:2 |
| ფრეამუნდე-ფეირენსე | 3:2 |
| ოლივეირენსე-პორტიმონენსე | 1:0 |
| ტროფენსე-ნავალი | 0:1 |
| პენაფიელი-ლეიქსოეში | 1:1 |
| კოვილია-ტონდელა | 1:0 |
| სპორტინგი B-ავეში | 2:2 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 2:1 |
| რეითი-მორტონი | 3:3 |

### II დივიზიონი

XIV ტური

| | |
|---|---|
| არბროა-სტენჰაუზმური | 2:2 |

### III დივიზიონი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ანენი-ქუინზ პარკი | 2:3 |
| ბერუიკი-პიტერჰედი | 1:1 |
| ელჯინი-კლაიდი | 2:1 |
| რაინჯერსი-სტირლინგი | 2:0 |

## სლოვენია

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| რუდარი-მარიბორი | გადაიდო |

## ავსტრია

XIX ტური

| | |
|---|---|
| შტურმი-ზალცბურგი | 1:1 |
| მატერსბურგი-ვინერი | 1:0 |
| ველსი-აუსტრია | 3:6 |
| ადმირა-რიდი | 0:3 |
| რაპიდი-ტიროლი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აუსტრია | 19 | 14 | 3 | 2 | 45-15 | 45 |
| 2. ზალცბურგი | 19 | 11 | 5 | 3 | 40-20 | 38 |
| 3. რაპიდი | 19 | 12 | 2 | 5 | 32-15 | 38 |
| 4. შტურმი | 19 | 10 | 5 | 4 | 30-22 | 35 |
| 5. რიდი | 19 | 8 | 2 | 9 | 35-31 | 26 |
| 6. ველსი | 19 | 5 | 6 | 8 | 27-32 | 21 |
| 7. მატერსბურგი | 19 | 6 | 3 | 10 | 23-37 | 21 |
| 8. ადმირა | 19 | 4 | 5 | 10 | 30-39 | 17 |
| 9. ვინერი | 19 | 3 | 4 | 12 | 14-39 | 13 |
| 10. ტიროლი | 19 | 4 | 1 | 14 | 13-39 | 13 |

## კვიპროსი

XIII ტური

| | |
|---|---|
| აპოელ-ანორთოსისი | 0:1 |
| აია-აპოლონი | 0:1 |
| ნეა სალამისი-ომონია | 0:1 |
| ეთნიკოსი-ალკი | 0:2 |
| აეკ-დოქსა | 1:2 |
| ოლიმპიაკოსი-აეპ | 3:1 |
| აელ-ენოსისი | დღეს |

## დანია

XX ტური

| | |
|---|---|
| სონდერიისკი-ბრონდბიუ | 2:2 |
| რანდერსი-ესბერგი | 2:1 |
| ჰორსენსი-მიდტიულანდი | 0:2 |
| კოპენჰაგენი-ნორდსილანდი | 4:1 |
| ოლბორგი-ოდენსე | გადაიდო |
| აგფ ორჰუსი-სილკებორგი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 20 | 14 | 5 | 1 | 46-17 | 47 |
| 2. ნორდსილანდი | 20 | 10 | 5 | 5 | 37-21 | 35 |
| 3. ოლბორგი | 19 | 10 | 2 | 7 | 33-24 | 32 |
| 4. ოდენსე | 19 | 9 | 4 | 6 | 33-25 | 31 |
| 5. რანდერსი | 20 | 9 | 4 | 7 | 25-31 | 31 |
| 6. აგფ ორჰუსი | 19 | 8 | 5 | 6 | 32-24 | 29 |
| 7. ჰორსენსი | 20 | 5 | 8 | 7 | 19-29 | 23 |
| 8. მიდტიულანდი | 20 | 5 | 7 | 8 | 27-32 | 22 |
| 9. სონდერიისკი | 20 | 6 | 3 | 11 | 29-41 | 21 |
| 10. ესბერგი | 20 | 4 | 7 | 9 | 18-24 | 19 |
| 11. ბრონდბიუ | 20 | 3 | 8 | 9 | 21-32 | 17 |
| 12. სილკებორგი | 19 | 5 | 2 | 12 | 19-39 | 17 |

## საბერძნეთი

XIV ტური

| | |
|---|---|
| პაოკ-ლევადია | 1:0 |
| კერკირა-იანინა | 0:2 |
| ატრომიტოსი-ოფი | 3:2 |
| პლატანიასი-ვერია | 0:0 |
| ასტერასი-არისი | 1:1 |
| ქსანტი-პანიონიოსი | 4:0 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 2:2 |
| პანთრაკიკოსი-აეკ | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკოსი | 14 | 11 | 3 | 0 | 33-9 | 36 |
| 2. პაოკ | 14 | 8 | 4 | 2 | 18-8 | 28 |
| 3. ასტერასი | 14 | 7 | 4 | 3 | 19-8 | 25 |
| 4. ატრომიტოსი | 14 | 6 | 6 | 2 | 14-11 | 24 |
| 5. პანიონიოსი | 14 | 7 | 0 | 7 | 16-18 | 21 |
| 6. იანინა | 14 | 6 | 3 | 5 | 14-11 | 21 |
| 7. პანათინაიკოს | 14 | 5 | 7 | 2 | 16-12 | 20 |
| 8. ლევადია | 14 | 5 | 3 | 6 | 10-12 | 18 |
| 9. პლატანიასი | 14 | 4 | 4 | 6 | 13-17 | 16 |
| 10. პანთრაკიკოს | 13 | 4 | 2 | 7 | 13-16 | 14 |
| 11. ოფი | 14 | 3 | 5 | 6 | 14-18 | 14 |
| 12. ქსანტი | 14 | 3 | 5 | 6 | 11-16 | 14 |
| 13. არისი | 14 | 2 | 6 | 6 | 12-22 | 12 |
| 14. ვერია | 14 | 2 | 6 | 6 | 7-17 | 12 |
| 14. კერკირა | 14 | 2 | 6 | 6 | 7-17 | 12 |
| 16. აეკ | 13 | 3 | 2 | 8 | 10-15 | 11 |

### II დივიზიონი

XIII ტური

ლარისა-აპოლონი 2:1; დოქსა-ეთნიკოსი 2:0; ფოკიკოსი-პიერიკოსი 1:0; კალითეა-ირაკლისი (პ) 1:1; კავალა-კალონი 1:0; ნიკი ვოლუ-ანაგენისი (ი) 1:0; პანახაიკი-პანაიტოლიკოსი 1:0; ტრასივულოსი-ოლიმპიაკოსი (ვ) 1:1; ვიცასი-ირაკლისი (ს) 0:2; პანსერაიკოსი-ერგოტელისი დღეს.

## ჩრ. ირლანდია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბალინამალარდი-ლინფილდი | 1:3 |
| ბალიმენა-პორტდაუნი | 1:2 |
| კლიფტონვილი-კოლრეინი | 3:1 |
| დუნგანონი-დონეგალი | 3:0 |
| გლენავონი-ლისბურნი | 4:1 |
| გლენტორანი-კრუზეიდერსი | 1:1 |

## თურქეთი

### II დივიზიონი

XV ტური

| | |
|---|---|
| 1461 ტრაბზონი-სამსუნი | 2:1 |
| ანკარაგუჯუ-რიზე | 2:1 |
| ადანა-ქართალი | 2:1 |
| მანისა-კონია | 1:2 |
| ბბ გაზიანთეფი-გიოზთეფე | 0:2 |
| შანლიურფა-დენიზლი | 1:1 |
| თავშანლი-ადანა დემირი | 1:0 |
| ქარსიაკა-ერჩიესი | გადაიდო |
| ბუკა-ბოლუ | დღეს |

## მსოფლიო ჩემპიონატი

### კლუბები

1/4 ფინალი

| | |
|---|---|
| ულსანი-მონტერეი | 1:3 |
| ჰიროშიმა-ალ აჰლი | 1:2 |

## შვეიცარიის თასი

### 1/8 ფინალი

| | |
|---|---|
| ბრიული-ლოზანა | 1:3 |
| ვოლენი-თუნი | გადაიდო |
| შაფჰაუზენი-გრასჰოპერსი | 1:1 პენ. 2:3 |
| კონიცი-ციურიხი | 1:5 |
| ლოკარნო-ბაზელი | 2:3 დ.დ. |
| ვილი-იანგ ბოიზი | 4:3 დ.დ. |
| კრინსი-სიონი | გადაიდო |
| არაუ-სტ. გალენი | გადაიდო |

## ბულგარეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ეტარი-ბოტევი | 1:2 |
| ლიტექსი-ჩერნომორეცი | 1:0 |
| სლავია-ლევსკი | 1:3 |
| ლუდოგორეცი-მონტანა | 3:0 |
| ცსკა-ლოკომოტივი (ს) | 1:1 |
| ბოტევი-ჩერნო მორე | 1:0 |
| ლოკომოტივი (პ)-პირინი | 1:0 |
| მინიორი-ბეროე | 3:0 |

## ხორვატია

XIX ტური

| | |
|---|---|
| ჰაიდუკი-ინტერი | 1:0 |
| რიეკა-სლავენი | 0:0 |
| ლოკომოტივა-სიბალია | 1:0 |
| ზაგრები-ისტრა | 2:1 |
| ზადარი-სპლიტი | 1:0 |

## ისრაელი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (რ-გ)-ჰაპოელი (პ) | 1:1 |
| ირონი (რ-ა)-ჰაპოელი (ბ-შ) | 0:1 |
| ბნეი იეჰუდა-აშდოდი | 2:0 |
| მაკაბი (პ)-მაკაბი (ნ) | 1:0 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (ა) | 0:0 |
| ბნეი საქნინი-ირონი (ქ-შ) | დღეს |
| ბეითარი-მაკაბი (თ-ა) | დღეს |

## პოლონეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| რუხი-იაგელონია | 1:1 |
| შლიონსკი-ლეგია | 1:0 |
| ბელხატოვი-პიასტი | 1:3 |
| ზაგლებე-ვისლა | 4:1 |
| გურნიკი-ლეხია | 2:0 |
| პოდბესკიდე-ვიძევი | 2:2 |
| კორონა-ლეხი | 0:1 |
| პოლონია-პოგონი | დღეს |

## რუმინეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| გლორია-უნივერსიტატეა | 0:0 |
| პანდური-გაზ მეთანი | 1:1 |
| პეტროლული-ვასლუი | 0:0 |
| რაპიდი-ოცელული | 2:3 |
| კლუჟი-ჩახლაული | 3:2 |
| იაში-დინამო | 1:1 |
| კონსტანტა-კონკორდია | დღეს |
| ტურნუ-ბრაშოვი | დღეს |
| სტიაუა-ასტრა | დღეს |

## რუსეთი

XIX ტური

| | |
|---|---|
| როსტოვი-კრასნოდარი | 2:3 |
| ამკარი-კრ. სოვეტოვი | 0:2 |
| ყუბანი-ალანია | 0:0 |
| ლოკომოტივი-ვოლგა | 0:1 |
| ტერეკი-დინამო | 1:2 |
| ცსკა-მორდოვია | 2:1 |
| რუბინი-სპარტაკი | დღეს |
| ზენიტი-ანჟი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 19 | 14 | 1 | 4 | 33-17 | 43 |
| 2. ანჟი | 18 | 12 | 4 | 2 | 33-17 | 40 |
| 3. ზენიტი | 18 | 11 | 4 | 3 | 35-17 | 37 |
| 4. ყუბანი | 19 | 10 | 2 | 7 | 32-21 | 32 |
| 5. ტერეკი | 19 | 10 | 2 | 7 | 23-27 | 32 |
| 6. რუბინი | 18 | 10 | 1 | 7 | 26-18 | 31 |
| 7. ლოკომოტივ | 19 | 9 | 4 | 6 | 27-21 | 31 |
| 8. დინამო | 19 | 10 | 0 | 9 | 26-25 | 30 |
| 9. სპარტაკი | 18 | 9 | 2 | 7 | 34-30 | 29 |
| 10. კრასნოდარი | 19 | 8 | 4 | 7 | 33-27 | 28 |
| 11. როსტოვი | 19 | 5 | 5 | 9 | 20-25 | 20 |
| 12. ამკარი | 19 | 5 | 4 | 10 | 19-31 | 19 |
| 13. ვოლგა | 19 | 4 | 5 | 10 | 19-30 | 17 |
| 14. კრილია | 19 | 4 | 4 | 11 | 18-36 | 16 |
| 15. ალანია | 19 | 2 | 5 | 12 | 18-31 | 11 |
| 16. მორდოვია | 19 | 2 | 3 | 14 | 18-41 | 9 |

## არგენტინა

XIX ტური

| | |
|---|---|
| ოლ ბოისი-არსენალი | 0:1 |
| სანტა ფე-რასინგი | 1:1 |
| არგ. ხუნიორსი-ნიუელსი | 1:3 |
| ბოკა ხუნიორსი-გოდოი | 2:1 |
| ატ. რაფაელა-ველესი | 0:3 |
| ბელგრანო-ესტუდიანტესი | 1:0 |
| ლანუსი-სან ლორენსო | 0:0 |
| ინდეპენდიენტე-კოლონი | 2:2 |
| სან მარტინი-რივერ პლეიტი | 0:2 |
| კილმესი-ტიგრე | გადაიდო |

## ეკვადორი

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ლდუ კიტო-ემელეკი | 1:2 |

## აზერბაიჯანი

XVI ტური

| | |
|---|---|
| სუმგაიტი-ქაბალა | 0:1 |
| ინტერი-აზალ | 0:0 |

# ქართული სპორტი

## ● ყრილობა



# ქართულ კრივს ევროპის ჩემპიონი უთავკაცებს

საქართველოს კრივის ფედერაციას ბოლო ექვსი წლის განმავლობაში **პეტრე ცისკარიშვილი** ხელმძღვანელობდა. ოქტომბერში იგი თანამდებობიდან გადადგა. დაინიშნა ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელიც შაბათს სპორტის სამინისტროს სააქტო დარბაზში გაიმართა.

პრეზიდენტობაზე კენჭი უნდა ეყარა სამ კანდიდატს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონმა **გიორგი კანდელაკმა** არჩევნებში მონაწილეობაზე ადრევე თქვა უარი, **ვლადიმერ ახალკაცმა** კი ყრილობის დაწყების წინ მოხსნა თავისი კანდიდატურა. 67-მა დელეგატმა ღია კენჭისყრით ფედერაციის ახალ პრეზიდენტად ევროპის (1977) და საბჭოთა კავშირის სამგზის (1976, 1977, 1980 წ.წ.) ჩემპიონი, 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე **დავით კვაჭაძე** აირჩია, ვიცე-პრეზიდენტად **შუქრი ბურჭულაძის,** გენერალურ მდივნად კი ვლადიმერ ახალკაცის კანდიდატურას დაუჭირეს მხარი.

„მადლობა ყველას, ვინც ნდობა გამომიცხადა. მესმის, რომ ეს უდიდესი პასუხისმგებლობაცაა, ამიტომაც ფედერაციასთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ ქართული კრივის პოპულარიზაცია-განვითარებისთვის. უპირველესად ბაზებია მისახედი. ამჟამად ძირითადად კრივის ოთხი კერა გვაქვს - თბილისში, ქუთაისში, გორსა და ფოთში. ჩვენს რუკაზე გამოჩნდა ახალი წერტილი - ახალქალაქი. ჯგუფები მუშაობს საჩხერეში, სენაკსა და სხვა ქალაქებშიც. ჩემი მიზანია, ყველა რეგიონი მოვიცვათ, რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩავაბათ კრივში. შესაძლოა, ყველა მათგანი დიდი სპორტსმენი არ გამოვიდეს, მაგრამ ქუჩას მოვწყვეტთ და ჯანსაღ თაობას გავზრდით", - გვითხრა დავით კვაჭაძემ.

**ვლადიმერ ახალკაცი:** „სწორი გადაწყვეტილება მივიღე, ყრილობის დაწყებამდე კანდიდატურა რომ მოვხსენი. დავით კვაჭაძე ის პიროვნებაა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ კრივში. პატიოსანი კაცია, უდიდესი სპორტსმენი, მწვრთნელი და ფოტოხელოვანი. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენთან „ოქროს თაობა" რომ წამოვიდა, დავით კვაჭაძის დამსახურება იყო. მჯერა, რომ მისი ხელმძღვანელობით კარგი გუნდი შეიკვრება, მით უმეტეს, რომ ცარიელ ადგილზე არ მოდის - საერთაშორისო სარბიელზე ანგარიშგასაწევი სპორტსმენები გვყავს. შარშან სამმა ჩვენმა მოკრივემ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, ორიოდე დღის წინათ ერევანში ახალგაზრდების მსოფლიოს პირველობაზე ალექსანდრე დოკვაძე, ასევე, მესამე ადგილზე გავიდა, სხვებიც გვყავან ისეთები, რომლებმაც თანატოლებში არაერთხელ ისახელეს თავი. მართალი არ ვიქნები, მადლიერებით თუ არ მოვიხსენიებ ჩვენი ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილს. მისი დამსახურებაა, რომ საქართველოში 16 ოლიმპიური რინგი გვაქვს და სხვადასხვა ასაკში მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებების გამარჯვებულები და პრიზიორები გვყავს.

ფაქტობრივად, დღეიდან ვიწყებთ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადისთვის მზადებას. ცხრა ახალგაზრდა სპორტსმენი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის - კუკური შავგულიძის ხელმძღვანელობით 10 დეკემბრიდან კალინინგრადში 20-22 წლის მოკრივეთა ევროპის პირველობაში მოსინჯავს ძალებს. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, იგი იანვარში საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ დაკომპლექტდება და მწვრთნელთა უწინდელი შემადგენლობა გაუძღვება რამაზ ფალიანის ხელმძღვანელობით. ფალიანი ტიტულოვანი სპორტსმენია, მშრომელი კაცი. შარშან ევროპაზე სამი ბრინჯაოს მოპოვებაში დიდი წვლილი მიუძღვის. მჯერა, რომ ჩვენი მწვრთნელები ახალი შემართებით შეუდგებიან საქმეს და გამარჯვებებიც მოვა".

ვაჟა დანელია

## ● ძალოსნობა

# ბრინჯაოს ფინიში

ეილათში (ისრაელი) დამთავრდა ახალგაზრდა ძალოსანთა ევროპის პირველობა, რომელშიც საქართველოს ხუთი წარმომადგენელი მონაწილეობდა. ასპარეზობის ბოლო დღეს ცნობილი ქართველი ძალოსნის — **კობა ტალახაძის** ვაჟმა **ლაშა ტალახაძემ** მძიმე წონაში სამი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა: საჩხერელმა ათლეტმა ატაცში სამივე ცდა გამოიყენა და 190 კილოგრამით მესამე ადგილი დაიკავა. აქ მას რუსმა მაგომედ აბუევმა (192) და სომეხმა გორ მინასიანმა (191) აჯობეს. აკვრაშიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა საპრიზო ადგილები: ტალახაძემ მეორე ცდაზე 222 კილოგრამი აკრა, შემდეგ კი 232 კილოგრამის დაფიქსირება ვერ შეძლო, ამიტომ აქაც ბრინჯაო ერგო. 230 კილოგრამით მეორე იყო მინასიანი, რომელსაც ორი კილოთი აბუევმა გაუსწრო. ორჭიდის შედეგებით კვარცხლბეკზე ავიდნენ: 1. მაგომედ აბუევი (424=192+232), 2. გორ მინასიანი (421=191+230), 3. ლაშა ტალახაძე (412=190+222). ჩვენებურმა მე-4 ადგილზე გასულ ბრიტანელს — დარიუს იოკარზადენს ორჭიდში 51 კილოთი აჯობა. ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რამაზ გურგენიძემ** გვითხრა, რომ ლაშა ტალახაძეს ტრავმის გამო მაისის შემდეგ სრული დატვირთვით არ უვარჯიშია, თორემ ეილათში შეუდარებელი იქნებოდაო.

ოცწლიანებში მედლების ხარისხითა და ოდენობით საქართველოს ნაკრებს ერთი ვერცხლითა და ორი ბრინჯაოთი მე-9 ადგილი ხვდა.

ვაჟა დანელია



## ● ჩოგბურთი

# ბასილაშვილი ფინალშია

ანტალიაში ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) შესანიშნავად თამაშობს ასპარეზობის თბილისელი რეიტინგფავორიტი **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - ჩვენებური ზედიზედ ოთხი გამარჯვების შემდეგ ფინალში გავიდა. ნახევარფინალში მან მე-4 ნომრად განთესილი ხორვატი დინო მარჩანი დაამარცხა იოლად - 6:1, 6:2. გადამწყვეტ პაექრობაში უკრაინელ ვლადიმირ უჟილოვსკის დაუპირისპირდება.

ანტალიაში დღესვე დაიწყება ახალი 10.000-დოლარიანი ვაჟთა ტურნირი, რომლის ძირითად ბადეში ისევ პირველ ნომრადაა განთესილი ნიკოლოზ ბასილაშვილი. იქვე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების საკვალიფიკაციო ეტაპში ორი ქართველი ჩაება. **მარიამ ბოლქვაძემ** სტარტზე რუსი მარია კიპარენკო დაამარცხა 6:0, 7:5 და მეორე წრეში შვეიცარიელ სამირა გიგერს შეხვდება. **თამარ ჭალაგანიძემ** პირველსავე წრეში ალესია პირანისთან (იტალია) წააგო - 2:6, 1:6.

ვაჟა დანელია

## ● ჭადრაკი

# ხუთი საგზურისთვის

საქართველოს სხვადასხვა კუთხის 30 წარმომადგენელი მონაწილეობს მოჭადრაკე ქალთა 70-ე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ლიგაში. მოასპარეზეებმა გუშინ მე-8 ტური მოილიეს. კვლავ წარმატებით ითამაშა დიდოსტატმა სოფიო გვეტაძემ - ალექსანდრა ვახანია დაამარცხა და 7 ქულით პირველი ადგილი შეინარჩუნა. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება დიდოსტატი მაკა ფურცელაძე, რომელმაც ნინო ხომერიკს აჯობა. 7 ტურის შემდეგ 5-5 ქულა ჰქონდათ ინგა ხურცილავას და ანა შამათავას. ორივე შავი ფიგურებით თამაშობდა. ინგა მადონა ბოკუჩავას დაუზავდა, ანამ კი ლიკა კობეშავიძესთან წააგო. ანა გავაშელმა სოფიო ტერელაძეს სძლია.

ბოლო ტურის წინ ასეთი მდგომარეობაა: გვეტაძე - 7, ფურცელაძე - 6,5, ხურცილავა, კუჭავა, კობეშავიძე - 5,5-5,5, შამათავა, ბოკუჩავა, გავაშელი - 5-5, 5 მონაწილეს კი 4,5-4,5 ქულა აქვს.

დღეს მე-9 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: კობეშავიძე - გვეტაძე, ფურცელაძე - კუჭავა, ხურცილავა - გავაშელი, ხომერიკი - ბოკუჩავა, ვახანია - შამათავა, მუმლაძე - ჭოლაძე, ტერელაძე - ჩხაიძე. უმაღლესი ეშელონის 5 საგზურის მფლობელი სწორედ ამ შეხვედრებში გამოვლინდება.

ვაჟა დანელია

სუპერლიგა 2012-13. VIII ტური. თბილისი, სპორტის სასახლე

# უკანასკნელი მოჰიკანის დაცემა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მძინარე ტაბლო და ძველი ახალი ლეგიონერი

**სტუ 60 – ბათუმი 84**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| სტუ | 13 | 17 | 12 | 18 |
| ბათუმი-რსუ | 28 | 19 | 20 | 17 |

| სტუ | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| თევზაძე | 15 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 |
| კვეტენაძე | 30 | 10 | 2 | 0 | 0 | 0 | 12 |
| კორკოტაძე | 27 | 9 | 2 | 1 | 1 | 0 | 3 |
| მინაშვილი | 16 | 3 | 1 | 2 | 0 | 0 | 4 |
| მაჩალაძე | 31 | 12 | 3 | 0 | 2 | 0 | 5 |
| დვალიშვილი | 15 | 1 | 0 | 0 | 2 | 0 | 8 |
| კუჭავა | 14 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| ძიძიგური | 27 | 2 | 3 | 4 | 0 | 1 | 21 |
| ჯანაშია | 19 | 8 | 3 | 4 | 0 | 0 | 6 |
| ქორიძე | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |

| ბათუმი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მაისურაძე | 36 | 7 | 5 | 1 | 0 | 1 | 11 |
| რამიშვილი | 32 | 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 15 |
| ნანიტაშვილი | 37 | 7 | 5 | 2 | 1 | 0 | 18 |
| ელიაშვილი | 27 | 11 | 2 | 1 | 2 | 2 | 16 |
| სიგუა | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ყველაშვილი | 14 | 5 | 0 | 2 | 0 | 1 | 1 |
| ლ. კეშელავა | 36 | 16 | 1 | 1 | 3 | 0 | 23 |
| ნინუა | 9 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კენჭოშვილი | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კოკოშინაძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

***მსაჯები:*** *დავით ბერეკაშვილი, ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი*

**შსს აკადემია 62 – ოლიმპი 71**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| შსს აკადემია | 23 | 14 | 16 | 9 |
| ოლიმპი | 20 | 17 | 12 | 22 |

| შსს | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვონი | 35 | 4 | 4 | 1 | 2 | 0 | 18 |
| როგავა | 8 | 0 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ლეჟავა | 21 | 0 | 3 | 2 | 0 | 0 | 5 |
| გოქოლიშვილი | 31 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 5 |
| ლონდარიძე | 13 | 3 | 1 | 2 | 0 | 1 | 4 |
| პრევიტი | 25 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 11 |
| იმნაძე | 8 | 3 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 |
| ლომოური | 11 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 6 |
| ანთაძე | 12 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| გექაური | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| არჩიბეკი | 28 | 17 | 2 | 2 | 1 | 1 | 8 |

| ოლიმპი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტომარაძე | 8 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| სოკი | 29 | 4 | 8 | 4 | 0 | 0 | 9 |
| ბერიშვილი | 28 | 8 | 0 | 3 | 0 | 0 | 12 |
| მიქელაძე | 10 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 8 |
| თენიეშვილი | 15 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ფაცაცია | 28 | 8 | 2 | 1 | 2 | 0 | 4 |
| ტუტუსი | 22 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4 |
| დვალიშვილი | 15 | 3 | 1 | 1 | 0 | 1 | 3 |
| პოგერი | 10 | 1 | 0 | 0 | 0 | 1 | 6 |
| მილოშევიჩი | 29 | 18 | 0 | 2 | 2 | 1 | 18 |

***მსაჯები:*** *მაკა კუპატაძე, ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი*

სუპერლიგა ჟიულ ვერნის ნაწარმოებებივითაა - რაც მეტს კითხულობ, მით უფრო საინტერესო ხდება. მოულოდნელობებით ალსავსე გამოდგა მერვე ტური:

ჯერ, პარასკევს, რუსთავში „არმიამ" წააგო. გამარჯვებულთა რიგებში 31 ქულის ავტორი **ნეით ბოუი** ტურის საუკეთესო კალათბურთელად დავასახელეთ.

შემდეგ ვიხილეთ „შსს აკადემიასა" და „ოლიმპის" საინტერესო ორთაბრძოლა, რომლის შემდეგაც სუპერლიგაში დაუმარცხებელი არავინ დარჩა.

ამას მოჰყვა შსს-ს თავკაცის **გიორგიოს კეცელიდისის** საინტერესო და მართებული მოწოდება: ყველას გთხოვთ, სამშაბათს, ბონის „ტელეკომთან" მატჩისთვის დარბაზში მეგობარ-ნათესავები მოვიყვანოთ, „არმიას" ერთად ვუქომაგოთ, რათა ფიბა-ევროპას დავანახოთ, რომ საქართველოში კალათბურთი ძალიან უყვართ. ეს „არმიასთვისაც" მნიშვნელოვანია და ზოგადად ჩვენი კალათბურთისთვისაც.

როგორც ვერნის ნაწარმოებებში, მერვე ტურში ახალი პერსონაჟი გამოჩნდა - **ქიენ კარტერი**, რომელიც, მათ, ვისაც პირველი წიგნი (2011-12 წლების სუპერლიგა) აქვს წაკითხული, კარგად ემახსოვრება.

მაშინ, როცა ყველას ეგონა, რომ ტური სამშაბათს სტუდენტური დერბით დასრულდებოდა, „ტაბლოს არ ეძინა"... თუმცა, მართლა ეძინა: ტაბლო ჩაქრა და „გამოღვიძება" არ ისურვა. სწორედ ამიტომ დიქტორმა გამოაცხადა - ტექნიკური მიზეზის გამო მატჩი გადაიდო გაურკვეველი ვადით. თუმცა მეორე დღესვე გაირკვა თსუ-"სამედიცინოს" მატჩის გამართვის თარიღი: 11 დეკემბერი, 16 საათი. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ გაიმართება „არმია"-"ბონის" ზემოთნახსენები პაექრობა.

### ტელეტოვიჩსაც შეშურდებოდა

ტექნიკოსები „ბათუმთან" მატჩს დიდი დანაკლისით შეხვდნენ, ტრავმების გამო ვერ ითამაშა სამმა წამყვანმა კალათბურთელმა **ტატო ჩაჩიბაიამ, გიორგი პირველაშვილმა** და **სოსო შერმადინმა**. როგორც ნამატჩევს მწვრთნელმა აღნიშნა, ეს აშკარად დაეტყო გუნდის გამოსვლას.

ბათუმელებმა პირველივე მეოთხედში ენერგიულად შეუტიეს ტექნიკოსებს და 28:13 დაწინაურდნენ. მატჩის პირველ ნახევარში ჯარიმებით დაიტვირთნენ წამყვანი კალათბურთელები, **კეშელავა, მაისურაძე, რამიშვილი** და **ყველაშვილი** (საბოლოოდ ოთხივემ 4-4 ფოლით დაასრულა შეხვედრა), ამიტომ ბათუმელთა დამრიგებელმა **მიხეილ კობეშავიძემ** შეგირდებს დაავალა მეორე ნახევარში ბურთის ბოლომდე გათამაშება. სწორედ ამის შედეგი იყო, შეტევისთვის განკუთვნილი 24 წამის ამოწურვასთან ერთად ზღვისპირელებმა არაერთი სამქულიანი რომ ისროლეს და სამჯერ ისეთი უხერხული პოზიციიდან ჩააგდეს, ბოსნიელ **მირზა ტელეტოვიჩსაც** შეშურდებოდა.

### ფარი და თავდაჯერება

მერვე ტურში თითქმის ყველა მატჩი თანაბარი ძალის გუნდებს შორის გაიმართა, თუმცა გამორჩეული მაინც ორი დაპირისპირება იყო: „რუსთავი"-"არმია" და „შსს აკადემია"-"ოლიმპი". რუსთავურ შეხვედრაზე შაბათის ნომერში მოგითხრეთ, თბილისშიც ზოგისთვის მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. შესაძლოა, ოლიმპელებს ეწყინოთ, რატომ იყო ჩვენი გამარჯვება მოულოდნელიო, მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ მანამდე ისინი ჯერ „ქუთაისთან" დამარცხდნენ დიდი სხვაობით, შემდეგ „დინამოსთან" ოვერტაიმში იმარჯვეს. საპასუხოდ, შაბათამდე წაუგებლად ასპარეზობდა „შსს აკადემია", რომელმაც ბოლო შეხვედრაში ჩემპიონ „არმიას" სძლია.

მეოთხე პერიოდამდე გუნდები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ, ერთი მხრიდან მოწყობილ მცირე სპურტს, მეორე მხარის გაქცევა მოსდევდა. ბოლო რაუნდში **აკაკი ლომოურისა** და **ილია ლონდარიძის** ტყორცნების შემდეგ შსს-ელები 58:51 დაწინაურდნენ. ბოლო წუთებზე მოედანზე როგორ განვითარდა მოვლენები, ამის შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად გირჩევთ ქრონოლოგიას გადახედოთ:

| | |
|---|---|
| 8:08 | ტუტუსი (ოლიმპი) 1+1ძ - 58:53 |
| 7:09 | ვონი (შსს) 1+1 - არაზუსტი |
| 6:38 | მილოშევიჩი (ოლიმპი) 2+1ძ - 58:56 |
| 6:15 | ბერიშვილი (ოლიმპი) 1+1ძ - 58:58 |
| 5:17 | მილოშევიჩი (ოლიმპი) 2ძ - 58:60 |
| 4:34 | მილოშევიჩი (ოლიმპი) 2ძ - 58:62 |
| 4:01 | ბერიშვილი (ოლიმპი) 2ძ - 58:64 |
| 1:51 | სოკი (ოლიმპი) 1+1ძ - 58:66 |
| 1:25 | ბერიშვილი (ოლიმპი) 2ძ - 58:68 |
| 1:18 | პუიტი (შსს) 1+1ძ - 60:68 |
| 1:11 | ვონი (შსს) 2ძ - 62:68 |
| 0:53 | სოკი (ოლიმპი) 1ძ - 62:69 |
| 0:35 | სოკი (ოლიმპი) 1+1ძ - 62:71 |

ზუსტად შვიდმა წუთმა ისე ჩაიარა, რომ „შსს აკადემიას" კალათბურთელებმა ქულის ჩაგდება ვერ მოახერხეს. საკუთარ კალათში კი 17 ქულა მიიღეს. საინტერესოა, რამ გამოიწვია ასეთი ჩავარდნა და, საერთოდ, რამ განაპირობა მანამდე უძლეველი გუნდის წაგება?

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე შსს-ელმა **დავით იმნაძემ** აღნიშნა: წინა ტურში „არმიას" ვაჯობეთ, თავდაჯერებულები ვიყავით და შესაძლოა წაგების ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყოო. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ შსს-ელებს ჩავარდნა სწორედ იმ მომენტიდან დაეწყოთ, რაც ყველაზე დიდი სხვაობით (58:51) დაწინაურდნენ. აქ ფსიქოლოგიურ მომენტს გვერდს ვერ ავუვლით, რასაც ოლიმპელთა კარგი თამაში დაერთო: სერბი **სტეფან მილოშევიჩი** მოხსნას-მოხსნაზე ითვლიდა, მეტოქის ფარქვეშაც შედეგიანი იყო და საბოლოოდ 18-18 ქულა-მოხსნა მიითვალა. 18 მოხსნა კი, მიმდინარე ჩემპიონატის სარეკორდო მაჩვენებელია.

სამწამიანი ზონის კონტროლი „ოლიმპის" კალათბურთელებს არათუ ბოლო წუთებზე, მთელი თამაშის განმავლობაში კარგად გამოსდიოდათ და როცა მანამდე უძლეველი შსს-ს მარცხის მიზეზებზე ვლაპარაკობთ, უმთავრესად „ფარის წაგება" უნდა დავასახელოთ: მოხსნებში „ოლიმპმა" 51:37 იმარჯვა, ხოლო ფარქვეშიდან ჩაგდებულ ქულებში შსს-მ 30:12 მოიგო.

### ძველი ახალი პერსონაჟი

თბილისის „დინამო" „სოხუმთან" მატჩს სერიოზული დანაკლისით შეხვდა: ხელი აქვს ნატკენი **სოსო ლეჟავას**, ხოლო ფეხის ტრავმის გამო პირველ წრეში გუნდს ველარ დაეხმარება **მილან ოლუიჩი**. თუმცა, ისიც შეიძლება ითქვას, რომ რამდენადაც სერიოზულია დინამოელთა დანაკლისი, იმდენად ღირებული კალათბურთელი დაიმატა მერვე ტურიდან - **ქიენ კარტერი** შარშანდელ სეზონშიც თბილისური გუნდის ღირსებას იცავდა, საშუალოდ 23.5 ქულასა და 13.7 მოხსნას აგროვებდა. მან სეზონი საბერძნეთში კაოდ-თან ერთად დაიწყო, თუმცა სათამაშო დროით უკმაყოფილო იყო და კლუბის ხელმძღვანელობას გაშვება სთხოვა.

*- ქიენს საქართველო გასული სეზონის შემდეგ ძალიან შეუყვარდა და ამიტომ, კარიერის გაგრძელება ისევ „დინამოში" გადაწყვიტა, რასაც ჩვენც მივესალმებით, - აღნიშნა დინამოელთა თავკაცმა ირაკლი ხოშტარიამ.*

მეოთხე პერიოდის მეხუთე წუთისთვის **დავით დეკანოიძის** სამქულიანისა და **რატი ბააკაშვილის** ორქულიანის შემდეგ „სოხუმი" 73:67 დაწინაურდა. წუთშესვენების შემდეგ დინამოელმა **ფლინ კლიმანმა** ორი სამქულიანი ჩააგდო და ანგარიში გათანაბრდა - 73:73. დარჩენილ დროში დინამოელთა გამოცდილებამ თავისი გაიტანა და **ირაკლი ხოშტარიას** შეგირდებმა 4 ქულის სხვაობით იმარჯვეს.

**დინამო 81 – სოხუმი 77**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| დინამო | 13 | 26 | 22 | 20 |
| სოხუმი | 13 | 17 | 26 | 21 |

| დინამო | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კარიმი | 40 | 6 | 8 | 0 | 1 | 0 | 16 |
| ჩიკვილაძე | 36 | 6 | 6 | 2 | 1 | 0 | 13 |
| ჩოჩია | 12 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| ნინიაშვილი | 24 | 5 | 0 | 1 | 0 | 0 | 9 |
| კეიდია | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ორმოცაძე | 8 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| კარტერი | 37 | 13 | 2 | 1 | 0 | 1 | 31 |
| კლიმანი | 38 | 8 | 4 | 3 | 0 | 1 | 10 |

| სოხუმი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნაზმიევი | 35 | 8 | 3 | 0 | 2 | 0 | 18 |
| ჩლაიძე | 38 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 25 |
| კოვალიანი | 9 | 2 | 0 | 1 | 0 | 1 | 1 |
| თავართქილაძე | 6 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 |
| შვანგირაძე | 11 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| დეკანოიძე | 29 | 8 | 2 | 0 | 0 | 0 | 10 |
| ბააკაშვილი | 23 | 2 | 1 | 1 | 1 | 0 | 4 |
| ქადარია | 33 | 14 | 2 | 2 | 0 | 2 | 12 |
| გეშქენაძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 2 |

***მსაჯები:*** *მაკა კუპატაძე, გურამ მიქელაძე, მიხეილ ვართანოვი*

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსთავი | 8 | 7 | 1 | 618/545 | 15 |
| 2. ოლიმპი | 7 | 6 | 1 | 631/493 | 13 |
| 3. შსს აკადემია | 7 | 6 | 1 | 577/463 | 13 |
| 4. არმია | 7 | 5 | 2 | 602/432 | 12 |
| 5. ქუთაისი | 7 | 5 | 2 | 543/486 | 12 |
| 6. დინამო | 7 | 4 | 3 | 540/499 | 11 |
| 7. ბათუმი-რსუ | 8 | 3 | 5 | 553/604 | 11 |
| 8. თსუ | 7 | 2 | 5 | 448/569 | 9 |
| 9. სოხუმი | 7 | 1 | 6 | 526/609 | 8 |
| 10. სტუ | 7 | 0 | 7 | 417/573 | 7 |
| 11. სამედიცინო | 6 | 0 | 6 | 351/533 | 6 |

ქართველი NBA-ში

# მესამენი აღმოსავლეთში

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსი" წინ მიიწევს. გასულ უქმეებზე ჯორჯიელებმა ორი მატჩი გამართეს და ორივე მოიგეს. ჯერ „ვაშინგტონს" სძლიეს (104:95), შემდეგ სტუმრად „მემფისი" დაამარცხეს - 93:83.

ასე და ამგვარად, „ატლანტა" აღმოსავლეთის კონფერენციაში მესამე გუნდია - 12 მოგება (5 მარცხი) აქვს და მხოლოდ „ნიუ იორკსა" (14 გამარჯვება) და „მაიამის" (13) ჩამორჩება.

„ვაშინგტონთან" მატჩი ზაზამ სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, 27 წუთში 4 ქულა, 4 პასი, 9 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

„მემფისის" დარ გუნდებთან მწვრთნელი ზაზას დიდ სათამაშო დროს აძლევს, რადგან მათ მაღალი დონის მეფარეები ჰყავთ. მაგალითად, მემფისელთა ღირსებას საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე ესპანელი **მარკ გასოლი** იცავს. მისი გუნდის წინააღმდეგ ფაჩულიამ 35 წუთი ითამაშა. ამ დროში ჩაგდებული მხოლოდ 1 ქულა (3 ორქულიანი და 2 საჯარიმო ისროლა) შეიძლება ვინმეს ეცოტავოს, მაგრამ ვინც შეხვედრა თავიდან ბოლომდე იხილა, დაგვეთანხმება, რომ ზაზა „ატლანტას" ერთ-ერთი საკვანძო კალათბურთელი იყო და მწვრთნელი ამიტომაც ცვლიდა იშვიათად. მან 1 ქულის გარდა 9 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება მოაგროვა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი. XII ტური

# შეკითხვა არმიას: სად იყო აქამდე ჯინაშვილი?

**არმია-ლოკომოტივი 23:3**

არმია (15-9) კობახიძე (ნიკოლავა 73), ტუჩაშვილი, გაგოშვილი, ბაირამაშვილი (ჩხიკვაძე 45), გოგოლაშვილი, ნინიძე, სამხარაძე (ჯინაშვილი 41). (1-8) კაკოვინი, (ზაქაშვილი 58), მამუკაშვილი (მეკოკიშვილი 58), გურგენიძე (დონაძე 58), ბინაძე, არჩუაშვილი (აზალაძე 73), თხილაიშვილი, კალმახელიძე, ბუჯიაშვილი.
3ლ: გოგოლაშვილი, გაგოშვილი (2). 2ს: კობახიძე, ნიკოლავა. გ: ნიკოლავა.
ლოკომოტივი (15-9) ნიკლაური, ბინაძე, გოგიშვილი, ჭურლულია (ხუციშვილი 74), ქავთარაძე, კავთიძე, ლვინჯილია. (1-8) გასვიანი (ელოშვილი 56), გენებაშვილი, გუნიავა, თავბერიძე (ფოფხაძე 58), ცუხიშვილი, სულაშვილი, ჩიტიძე, გეგია.
ს: ნიკლაური.
სინბინი: ქავთარაძე
მსაჯი: უჩა ნარიმანიძე

საქართველოს ჩემპიონატის შემოდგომის ეტაპის ბოლო, მე-12 ტურში სქართველოს ჩემპიონი და თასის მფლობელი „არმია“ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს თბილისის „ლოკომოტივს“ „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ დაუპირისპირდა და 23:3 დაამარცხა.

მიმდინარე გათამაშებაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა რკინიგზელები მოედანს ლელოს გარეშე ტოვებენ. როგორც თამაშმა გვიჩვენა, „ლოკომოტივის“ კრიზისი სულაც არ არის მოჩვენებითი. გუნდმა მეტოქის შეტევებს პირველ ტაიმში გაუძლო, მეტიც, მატჩის საწყისი ორმოცი წუთი მოუგო კიდეც 3:0, თუმცა მეორე ნახევარში „არმიამ“, როგორც სჩვევია, უფრო გრძელი სათადარიგოთა სკამითა და უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით, მაინც შესძლო რკინიგზელთა წინააღმდეგობის გატეხვა.

მატჩი საბოლოო ჯამში საკმაოდ საინტერესო სანახავი გამოდგა. გამარჯვების მოპოვების შანსი ორივე გუნდს თანაბრად ჰქონდა. არავინ იცის როგორ განვითარდებოდა მოვლენები „ლოკომოტივის“ ფულბექს **ბექა ნიკლაურს** სამი საჯარიმო რომ არ გაეცუდებინა. თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ მეტოქის კარის დალაშქვრაში მას ხელი ძლიერმა ქარმა შეუშალა.

მატჩის დაწყებიდან ათი წუთის განმავლობაში რკინიგზელები უფრო აქტიურად ირჯებოდნენ, თუმცა მერე არმიელებმა თამაშის სადავეების ხელში აღება მოახერხეს და მომდევნო 20 წუთის განმავლობაში მეტოქის მოედნის ნახევარზე „დასახლდნენ“. მათ რამდენჯერმე შეეძლოთ ანგარიშის საჯარიმო დარტყმით გახსნა, თუმცა ბურთი ჯიუტად აუტში გადაჰქონდათ და დერეფნიდან აგორებული მოლის წყალობით ცდილობდნენ რკინიგზელთა ჩათვლის მოედანში შეღწევას.

ლოკომოტიველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დაცვაში თავდადებით გაისარჯნენ და „არმიას“ ლელოს გატანის საშუალება არ მისცეს. ქვეყნის ჩემპიონებს შეტევის ბოლო ფაზაში ბურთი ან წინ უვარდებოდათ, ან რაკში თამაშისას ჯარიმდებოდნენ. ანგარიში კი 32-ე წუთზე გაიხსნა.

რკინიგზელებმა საჯარიმოს დარტყმის პირველივე უფლება კარგად გამოიყენეს. ნიკლაურმა 47 მეტრიდან კარში ზუსტად დაარტყა. თუმცა ოდნავ მოგვიანებით, ბევრად უფრო ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა - 3:0. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ თამაში თითქოს გათანაბრდა. არმიელები 15 წუთის განმავლობაში საგრძნობ უპირატესობას ველარ ფლობდნენ და სწორედ ამ პერიოდში იყო, როცა ნიკლაურმა ორი საჯარიმო გააცუდა. მერე რკინიგზელებმა გადაწყვიტეს კარში აღარ დაერტყათ, თუმცა ხეირი ვერც ამ შემთხვევაში ნახეს.

„არმიას“ თამაში კი ბევრად უფრო საინტერესო გახდა, რაც მოედანზე გამოჩნდა შეცვლაზე შესული ახალგაზრდა ცხრა ნომერი **რამაზ ჯინაშვილი**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ჩემპიონის გამარჯვება მეტწილად სწორედ მისი დამსახურებაა. ჯინაშვილი სწრაფად და, რაც მთავარია, სწორ გადაწყვეტილებებს იღებდა, დროულად ცვილიდა შეტევის მიმართულებას და ზუსტი გადაცემებით ბურთს შესანიშნავად ათამაშებდა.

ანგარიშში დაწინაურება არმიელებმა 58-ე წუთზე მოახერხეს. საჯარიმო მათ


არმია-ლოკომოტივი

სასარგებლოდ მოედნის ცენტრთან ახლოს დაინიშნა. ის ჯინაშვილმა სწრაფად გაათამაშა და მარცხნივ გრძელ ფრთაზე მგეზავ **მამუკა ნინიძეს** გაატანა, ამან რამდენიმე მეტრით წინ წაიწია და კიდესკენ შეტევაში გარემარბი ლევან გოგოლაშვილი ჩართო, მან კი ბურთი ფეხით მეტოქის ლელოში შეაცურა და მერე დამიწება ყველას დაასწრო. ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** ვერ გარდასახა, თუმცა ათ წუთში მანვე საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე გაზარდა - 8:3.

ალსანიშნავია, რომ ლელოს გატანისთანავე „არმიას“ მწვრთნელებმა გუნდის პირველი ხაზი მთლიანად შეცვალეს და ბრძოლაში დასვენებული, ახალი სამეული ჩაერთო. ამან როგორც ჩანს, გადამწყვეტი როლი ითამაშა მატჩის ბოლო ათ წუთში. „ლოკომოტივის“ მოღლილი შერკინება მეტოქეს ველარ უმკლავდებოდა. შედეგად „არმიამ“ კიდევ ორი ლელოს გატანა და პრემიალური ქულის მოპოვება შეძლო.

71-ე წუთზე არმიელებმა პირველის იდენტური მეორე ლელო მიითვალეს. საჯარიმო თითქმის იმავე ადგილზე დაინიშნა, ჯინაშვილმა ისევ სწრაფად გაათამაშა და შეტევა მარცხენა ფრთაზე განვითარდა. ხელდახელ შესანიშნავად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ, ნინიძესა და გოგოლაშვილს შუამარბი **გიგა გაგოშვილი** წამოეშველა და ბურთიანად ლელოში შეაღწია. კობახიძემ ესეც ვერ გარდასახა - 13:3.

თამაშის დასრულებას სამი წუთი აკლდა, როცა შეცვლაზე შესულმა ფულბეკმა **საბა ნიკოლავამ** საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა 13 ქულამდე გაზარდა - 16:3. ამას კი ორ წუთში კიდევ ერთი შედეგიანი შეტევა მოჰყვა. არმიელებმა ჯერ მარჯვენა ფრთაზე განავითარეს იერიში, მერე ჯინაშვილმა დროულად შენიშნა მოპირდაპირე, მარცხენა ფრთაზე შექმნილი რიცხობრივი უპირატესობა და შეტევის მიმართულება შეცვალა. იქ ისევ გაგოშვილმა იყოჩაღა, რომელმაც მეტოქის ხაზი გაჭრა და პრემიალური ქულის მომტანი ლელო გაიტანა. ნიკოლავამ გარდასახა - 23:3.

ამ გამარჯვების შემდეგ „არმია“ გალიდერდა, თუმცა დროებით, რადგან პოტენციური ლიდერის თბილისის „ლელოს“ გასვლითი მატჩი „ბათუმთან“ უამინდობის გამო გადაიდო.

**ბესიკ ჯანგავაძე**
*ია მირიანაშვილის ფოტო*

# ქუთაისელთა პრემიალური მოგება

**აია-ილიაუნი ჯიქი 41:12**

აია (15-9) ძნელაძე, ფრუიძე, კვერნაძე, კუხიანიძე, გოშაძე (კიკვაძე 60), ჯინჭველაშვილი (სინაურიძე 58), გოგია; (1-8): ლომიძე (ულუმბელაშვილი 28), მატკავა, ნაქაძე (რატიაშვილი 38, ლომიძე 51), ხელაძე, ჩიტეიშვილი (მაშიაშვილი 41), შალამბერიძე, ყურაშვილი, თხელიძე
6ლ: კვერნაძე, ყურაშვილი, თხელიძე (2), კუხიანიძე, ლომიძე. 4გ: ჯინჭველაშვილი (2), სინაურიძე (2) ს: ჯინჭველაშვილი
სინბინი: ყურაშვილი (38)
ილიაუნი ჯიქი (15-9) კიკნაძე (მარმაზანიშვილი 60), ტურაშვილი, ბერძული, კუპრეიშვილი (იობაშვილი 76), ხარაზიშვილი, ბინაძე, ზაბახიძე (1-8): ოქრიაშვილი (ყაულაშვილი 73), ოქრომელიძე, ყაულაშვილი (გაგნიძე 56), მჭედლიშვილი (ტრაპაიძე 57), გოგოლიძე (ტალახაძე 65), მამრიკიშვილი, შენგელია, კიკვიძე (ცირეკიძე 68)
2ლ: ყაულაშვილი, საჯარიმო. გ: ხარაზიშვილი
მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი

ქუთაისის „აიამ“ შინ „ილიაუნი ჯიქი“ დიდი ანგარიშით დაამარცხა - 41:12 და პრემიალური ქულაც მიითვალა. მაგრამ, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, ეს შეხვედრა ქუთათურებისთვის არც თუ ისე იოლი გამოდგა. იყო ეპიზოდები, როცა სტუმრები სრულ უპირატესობას ფლობდნენ და შეტევების დასკვნით ფაზაში მეტად რომ ეყოჩაღათ, შესაძლოა მატჩი სულ სხვაგვარი სცენარით წარმართულიყო.

პირველ წრეში „ჯიქებს“ „აიასთვის“ მოგებული ჰქონდა და ქუთაისლები რევანშისთვის იყვნენ განწყობილი. შეხვედრაც მათი უპირატესობით დაიწყო, მასპინძლებმა მეტოქეს „მისალმებაც არ


ჯიქები პირველი ტაიმის ბოლოს გააქტიურდნენ

აცადეს“ და პირველივე შეტევა ლელოთი დააგვირგვინეს. შეტევა მათ მარცხენა ფლანგზე დაიწყეს და ბურთი ხელდახელ მარჯვნივ ჩაათამაშეს, სადაც მასპინძელთა შუამარბმა **სერგო კვერნაძემ** იმარჯვა და ბურთი სტუმართა ჩათვლის მოედანში დაამიწა.

**კობა გიორგაძისა** და **ბესიკ ხამაშურიძის** შეგირდებმა თბილისელებს გონს მოსვლა არ აცალეს. მალევე **ბექა ყურაშვილმა** სტუმრებს ხაზი გაუჭრა და ნახტომში ლელოც გაიტანა. **რევაზ ჯინჭველაშვილმა** გარდასახვა ზუსტად დაარტყა და „აია“ 12:0 დაწინაურდა. რამდენიმე წუთში ქუთაისელთა 17 წლის მგეზავმა (ჯინჭველაშვილმა) აუტში კარგად გადაკიდა ბურთი, რითაც თავის გუნდს მეტოქის 22-მეტრიან ზონაში შეღწევის საშუალება მისცა. ქუთაისელებმა აუტი მოიგეს, მოლით მიაწვნენ და ზედახორაში **ლევან თხელიძემ** ბურთის დამიწება მოახერხა. ჯინჭველაძემ გარდასახვა კვლავ გაიტანა - 19:0.

როგორც ჩანს, მესამე ლელოს შემდეგ მასპინძლებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს და ყურადღება მოადუნეს, რითაც თბილისელებმა კარგად ისარგებლეს, **ზურაბ ძნელაძეს** საკუთარ 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან წინ დაუვარდა ბურთი, სტუმრებმა შერკინება მოიგეს, მოლით მიაწვნენ და შეტევის მეოთხე ფაზაში **ლექსო ყაულაშვილმა** „აიას“ ჩათვლის მოედანში შეაღწია.

ამის შემდეგ, „ჯიქები“ სრულ უპირატესობას დაეუფლნენ დაახლოებით 30-ე წუთიდან ტაიმის ბოლომდე ქუთათურებმა საკუთარი 22-მეტრიანი ზონიდან ბურთი ვერ გამოიტანეს. სტუმრები ჯიქურ უტევდნენ, ამასობაში ყურაშვილი გაასინბინეს და ქუთაისელთა კაცნაკლულმა შერკინებამ ველარ გაუძლო, მასპინძლებმა შერკინების ჩაქცევისთვის რამდენჯერმე წესი დაარღვიეს, საბოლოოდ კი მსაჯმა საჯარიმო ლელო დააფიქსირა. **რამაზ ხარაზიშვილმა** გარდასახვა ზუსტად დაარტყა და ანგარიში შვიდ ქულამდე შეამცირა - 19:12.

„ილიაუნი ჯიქმა“ მეორე ტაიმიც ძალზედ აქტიურად დაიწყო, 10 წუთის განმავლობაში ქუთაისელებმა ბურთი თავიანთი ნახევრის იქეთ ვერ გადაიტანეს. თბილისელები მწვავედ უტევდნენ და ლელოსთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ ამჯერად მასპინძლებმა შეძლეს მდგომარეობის განმუხტვა. ამასობაში კობა გიორგაძემ შეცვლებს მიმართა და „აიაც“ თანდათან გააქტიურდა.

ჯინჭველაშვილმა ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა, რასაც თხელიძის ლელო და შეცვლაზე შემოსული **გაგა სინაურიძის** გარდასახვა მოჰყვა. ქუთაისელებს მეორე სუნთქვა გაეხსნათ, დაღლილი სტუმრები მათ შეჩერებას ველარ ახერხებდნენ. „აიას“ მორიგი შეტევისას კუხიანიძემ თანაგუნდელისგან კარგი პასი მიიღო, სტუმრებს ხაზი გაუჭრა და თავადვე დაამიწა. ბოლოს კი, პირველ ტაიმში შეცვლილმა და მეორე ნახევარში ტრავმირებული რატიაშვილის ნაცვლად მოედანზე დაბრუნებულმა **თორნიკე ლომიძემაც** გამოიჩინა თავი, რასაც სინაურიძემ ზუსტი გარდასახვა მიაყოლა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა 41:12.

**XII ტური**

| | |
|---|---|
| აკადემია-ხარება | 14:10 |
| ბათუმი-ლელო | (გადაიდო) |
| ყოჩები-არმაზი | 9:22 |

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 12 | 11 | 0 | 1 | +136 | 50 |
| 2. ლელო | 11 | 10 | 0 | 1 | +177 | 47 |
| 3. აია | 12 | 8 | 1 | 3 | +158 | 40 |
| 4. არმაზი | 11 | 8 | 0 | 3 | +41 | 34 |
| 5. ლოკომოტივი | 12 | 5 | 1 | 6 | +22 | 27 |
| 6. ჯიქები | 12 | 5 | 0 | 7 | -12 | 26 |
| 7. ხარება | 11 | 3 | 0 | 8 | -102 | 15 |
| 8. ბათუმი | 11 | 3 | 0 | 8 | -76 | 14 |
| 9. აკადემია | 12 | 3 | 0 | 9 | -209 | 14 |
| 10. ყოჩები | 12 | 1 | 0 | 11 | -135 | 7 |

**XIII ტური**

**16 თებერვალი**

ილიაუნი ჯიქი-აკადემია, არმაზი-ბათუმი, ხარება-ყოჩები, ლელო-არმია, ლოკომოტივი-აია

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**
*ავტორის ფოტო*

## ქართული სპორტი

მშვილდოსნობა. საარჩევნო ყრილობა

# ახალი ძველი პრეზიდენტი

### ტერუნაშვილი საპრეზიდენტო მშვილდს მეორედ მოზიდავს

**3 საათი და 40 წუთი - ზუსტად ამდენი დრო დასჭირდა მშვილდოსნობის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის გამოვლენას, რომელიც საბოლოოდ მაინც ძველი სახე აღმოჩნდა - თენგიზ ტერუნაშვილმა, რომელიც 2005-09 წლებში მართავდა მშვილდოსნებს, ორი ხმით, 22:20 მოუგო (ორი ბარათი გაბათილდა) ფედერაციის ახლანდელ ვიცე-პრეზიდენტ ბაჩო ჭანჭალეიშვილს.**


თენგიზ ტერუნაშვილი

მშვილდოსანთა რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა ან უკვე ყოფილ პრეზიდენტ **მამუკა ქაცარავას** საანგარიშო მოხსენებით დაიწყო, რომელიც, სინამდვილეში, როგორც თავად აღნიშნა, უფრო გამოსამშვიდობებელი სიტყვა იყო. მიღწევებზე არ ვილაპარაკებ და მხოლოდ ნაკლოვანებებს აღვნიშნავო, თქვა მან. რადგან სამსახურებრივ თათბირზე მიეჩქარებოდა, დიდხანს არ უსაუბრია. წასვლამდე მან განმარტა, რატომ არ წამოაყენა კანდიდატურა განმეორებით, რის უფლებასაც დებულება აძლევდა. ვერ შევასრულე პროგრამა-მინიმუმი, ქალთა ნაკრები ოლიმპიადაზე ვერ მოხვდაო და თავი იმაშიც დაიდანაშაულა, რომ როგორც ფედერაციის პრეზიდენტმა ტურინულ სკანდალში (სადაც ჩვენებს მოგებული შეხვედრა გადაათამაშებინეს, რომლის წაგებითაც მოპოვებული ლიცენზიები დათმეს) გუნდი ვერ დაიცვა. მან სინანულით აღნიშნა, ის სკანდალი რომ არა და გუნდური ლიცენზიები მოგვეპოვებინა, ამას სახელმწიფოსგან დიდი მხარდაჭერა მოჰყვებოდა და მშვილდოსნობა უფრო სწრაფად განვითარდებოდაო. მივდივარ, მაგრამ ისევ თქვენთან ვრჩები და ქეთევან ლოსაბერიძის შემდეგ მშვილდოსნობის ყველაზე დიდი ქომაგი მე ვიქნებიო, ასე დაემშვიდობა მოისრეებს ქაცარავა. თუმცა მანამდე ერთ ისეთ თემასაც შეეხო, რამაც დარბაზი „ააფეთქა". ქაცარავამ გამგეობის პასიური წევრები გაკენწლა და უპასუხისმგებლო უწოდა იმათ საქციელს, ვინც ფედერაციაში მთელი ოთხი წლის განმავლობაში არ ჩნდებოდა. აქ კიდევ ერთი საჩოთირო საკითხი იყო - გამგეობის 45 წევრიდან ყოველთვიური 3-ლარიანი გადასახადი მხოლოდ 22-ს ჰქონდა გადახდილი, ეს კი დებულებით ისეთი დარღვევაა, დანარჩენებს ხმის უფლება უნდა ჩამორთმეოდათ. მართლაც ასე მოქცეულიყვნენ თუ შეღავათი მიეცათ, ამის გადასაწყვეტად ქაცარავამ ყრილობას კენჭისყრის ჩატარება ურჩია. საბოლოოდ მათ მაინც მიალებინეს არჩევნებში მონაწილეობა, თუმცა უპასუხისმგებლობის შესახებ მისმა განცხადებამ **ლელა აფციაური** აღაშფოთა, რომელიც საკმაოდ მწვავე სიტყვით გამოვიდა, თუმცა მთავარი არა მისი ტონი, არამედ განცხადება იყო - ყრილობა რომ იმართებოდა, შემთხვევით გავიგე წუხელო! თქვენ წარმოიდგინეთ, ის გამონაკლისი სულაც არ ყოფილა და დარბაზში სხვებიც აღმოჩნდნენ, რომლებსაც ასე შემთხვევით გაუგიათ ფედერაციისთვის მნიშვნელოვანი ეს ამბავი. ერთ-ერთმა, მხოლოდ ორი საათით ადრე შევიტყვეო!

პრეზიდენტობის კანდიდატთაგან ყრილობამ პირველად ჭანჭალეიშვილს მოუსმინა. მისი მთავარი დაპირებები მწვრთნელებისთვის ხელფასების შენარჩუნებას და ბაზის მშენებლობას შეეხებოდა. ცვლილებებს ჰპირდებოდა სამწვრთნელო სფეროშიც - შეიქმნება მწვრთნელთა საბჭო, რომელშიც ფედერაციიდან არავინ შევა, ის აირჩევს მთავარ მწვრთნელებს სხვადასხვა ნაკრებებისთვის, ფედერაცია მის მუშაობაში არ ჩაერევა, მაგრამ შედეგებზე პასუხისმგებლობაც საბჭომ აიღოსო. ბუნებრივია, მას დაფინანსების კონკრეტულ გზებსა და რაოდენობაზეც დაეკითხნენ, რაზეც თავიდან განმარტა, რომ ბაზის და მისი კეთილმოწყობისთვის 30 ათასი ლარი უკვე მოზიდულია, დანარჩენი თანხა კი ვერ დააკონკრეტა. თუმცა როცა ამაზე ჩაეძიენ, თქვა, რომ ოთხ წელიწადში დაახლოებით 200 ათას ლარს მოიზიდავდა. ამ თემაზე საუბარში იგრძნობოდა, რომ ძირითადად კვლავაც ქაცარავასი ეიმედებოდა (რამდენჯერმე გაიმეორა, ქაცარავა პრეზიდენტი არ არის, თორემ მშვილდოსნობიდან კი არ მიდისო), ასეთმა მიდგომამ კი კვლავაც აფციაურის კრიტიკა დაიმსახურა. საარჩევნო პროგრამა მასობრიობის განვითარებაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფაზე, ბავშვთა სპორტის განვითარებაზე და ამგვარ უპირველეს საჭიროებებზე უნდა აიგოს და არა ზოგად დაპირებებზეო, თქვა მან.

ჭანჭალეიშვილს, როგორც ფედერაციის ერთ-ერთ მოქმედ ხელმძღვანელს, განსაკუთრებული კრიტიკა დაატყდა, რომელშიც კარგად გამოჩნდა ქართული მშვილდოსნობის წინაშე მდგარი პრობლემები, რომელთა დიდი ნაწილი არა ფინანსებს, არამედ არასწორ მართვას უკავშირდება. ასე მაგალითად, იმავე აფციაურმა განაცხადა, რამდენიმე წლის წინათ, როცა გენმდივნად ვმუშაობდი ფედერაციაში, მხოლოდ აჭარაში 80 ბავშვი ვარჯიშობდა, ახლა კი საქართველოს პირველობაზე 40-ც ვერ გამოგვყავს, სად წავიდა ის ხალხიო. ახლო წარსულში მოქმედმა მშვილდოსანმა **დიტო სორდიამ** ჭანჭალეიშვილს ჰკითხა, რამდენად გამართლებულად მიაჩნდა კორეელი მწვრთნელის მიდგომა, რომელმაც აქცენტი სამ ვაჟზე გააკეთა, დანარჩენებს კი შანსიც არ ჰქონდათ. შეეხნენ ინვენტარის პრობლემასაც, როცა 6 წამყვან სპორტსმენს იარაღის პრობლემა არ ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენებზე. ითქვა ისიც, რომ ასაკობრივ ნაკრებებში კანდიდატების შეყვანა ყოველგვარი შესარჩევი შეჯიბრებების გარეშე ხდებოდა, შიდა ტურნირები არც ტარდებოდაო. თურმე ამგვარი მიდგომის შედეგად ბევრმა დაანება მშვილდოსნობას თავი. სამწუხაროდ, ასეთთა შორის ბათუმელი **სანდრო აზნაურიძეც** დაასახელეს, რომელიც ახალგაზრდებში ერთ-ერთი გამორჩეული იყო. ვიმედოვნებთ, ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა მას დააბრუნებს სპორტში.

აფციაურის მსგავსად, ყრილობის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო ასპინძელი **ლიზა შემაზაშვილი**, რომელმაც ლამის შიშველი ხელებით, ძირითადად საკუთარი ენთუზიაზმით საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებს **თორნიკე რიჟამაძე** გაუზარდა და ამისთვის თურმე მხოლოდ 180 ლარს იღებს ხელფასად. თუმცა მისი გულისტკივილი ამასთან ერთად იმასაც ეხებოდა, რომ რაკი რიჟამაძე სანაკრებო ინტერესებიდან გამომდინარე თბილისურ კლუბში ემზადება, მისი ასპინძის სახელით გამოყვანა ხშირად ვერ ხერხდებოდა, ფედერაცია კი ამ პრობლემის მოგვარებაში არ ეხმარებოდა. ჭანჭალეიშვილმა ფედერაციისადმი წაყენებულ ამ და სხვა რეალურ ბრალდებებზე ბოდიში მოიხადა და მათი გამოსწორების პირობა დადო, შემაზაშვილის ზემოხსენებულ პრეტენზიას კი მანაც და ტერუნაშვილმაც რეგიონების სპორტსმენთა მიტაცების ტრადიციული, საბჭოური მეთოდი უწოდეს და აღნიშნეს, რომ რაიონებს მეტი დაფასება სჭირდებათ.

კრიტიკა არც ტერუნაშვილს დაჰკლებია, რომელსაც ძველი პრეზიდენტობის დროინდელი ცოდვები გაუხსენეს. ქალთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **ხათუნა ნარიმანიძემ** სპორტსმენთა დიფერენცირება შეახსენა, როცა ნაწილს ბევრ რამეში ეხმარებოდა, ნაწილს - მინიმალურადაც არ აქცევდა ყურადღებას. ტერუნაშვილმა განმარტა, რომ მაშინ ფედერაციას ბევრი საშუალება არც ჰქონდა, **ქრისტინე ესებუას** კი სხვებზე მეტად ეხმარებოდა, რადგან უკრაინიდან გადმოყვანილს მაშინ აქ ახლობელი არავინ ჰყავდა. მწვრთნელმა **ია ტალახაძემ** მიკერძოება უკვე მწვრთნელთა ხელფასების განაწილებაში დააბრალა, სპორტსმენებმა კი ბრალი ფედერაციის ან უკვე ძველ ხელმძღვანელობასთან პროტექციის მცდელობაში დასდეს, რათა უცხოურ ტურნირებზე წამსვლელ გუნდში შეეყვანათ. დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია თავად ტერუნაშვილის ფრაზამაც, რეგიონებში უნდა განვავითაროთ მშვილდოსნობა, რადგან ქალაქში კარაქსა და კომპიუტერთან გაზრდილი ბავშვი იქაურივით ძლიერი ვერ იქნებაო. ამას ისეთი ამბავი მოჰყვა, ყრილობის წამყვანმა **არტემ სანიშვილმა** განაცხადა, ნუ გადავაყოლებთ ახლა ამ ერთ კარაქსო. ხმაურიანი გამოდგა ტერუნაშვილის განცხადებაც იმის თაობაზე, რომ ჭანჭალეიშვილის ფედერაცია მწვრთნელებს გაპროტესტების შემთხვევაში ხელფასების მოხსნით აშინებდაო, თუმცა როცა კონკრეტული გვარების დასახელება მოსთხოვეს, ეს კომერციული საიდუმლოაო, განაცხადა! ტერუნაშვილის ძირითადი თეზისები რეგიონებში მუშაობის გაძლიერებას და ამ გზით მასობრიობის გაზრდას, ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფას და მეტერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებას შეეხებოდა. იმასაც დაგვპირდა, რომ მინიმუმ ერთ საერთაშორისო ტურნირს მაინც ჩაატარებს ქვეყანაში.

ცხადია, ითქვა კორეელი მწვრთნელის შესახებაც, რომელსაც ბევრმა მადლობა გადაუხადა, მაგრამ ბევრმა მეთოდებიც დაუწუნა. ნარიმანიძეც მადლობის მომხდელთა შორის იყო. იმის მიუხედავად, რომ ნაკრების ექს-თავკაცი თამაზ ფუტკარაძე ჩემი მეუღლეა, კორეელის მაინც მადლობელი ვარ, რადგან დისციპლინა დაამყარაო, განაცხადა მან. კრიტიკოსებმა გაიხსენეს შემთხვევა, როცა ანტალიურ ტურნირზე კორეელმა ფუტკარაძეს ნარიმანიძისთვის კონსულტაციების მიცემა აუკრძალა და სასროლეთიდან მისი გაყვანა მოითხოვა, რამაც თურმე უცხოელები გააკვირვა. სად არის მის მიერ ჩატარებული სემინარები, ერთი მაინც რატომ არ გაამართინეთ აქაური მწვრთნელებისთვისო, ითქვა ყრილობაზე. საბოლოოდ სხდომამ მხოლოდ ახალი პრეზიდენტი აირჩია, დანარჩენი მნიშვნელოვანი საკითხები კი - ცვლილებები წესდებაში, ახალი გამგეობის, გენერალური მდივნისა და ვიცე-პრეზიდენტების არჩევნები რიგგარეშე ყრილობაზე გადაწყდება, რომელსაც პრეზიდენტი მოიწვევს.

**ირაკლი თავაძე**

*ავტორის ფოტო*

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# რუბიოს ამ კვირას შეხვდებით

„მინესოტა ტიმბერვულვზის" გამთამაშებელი **რიკი რუბიო**, სავარაუდოდ, ამ კვირას დაბრუნდება მოედანზე. ესპანელს შაბათს, „კლივლენდთან" მატჩში სურდა მოედანზე გასვლა, მაგრამ „მგლების" სამწვრთნელო შტაბმა 22 წლის კალათბურთელის დებიუტი რამდენიმე დღით გადადო.

ამ კვირას „მინესოტა" სამ შეხვედრას გამართავს: 12 დეკემბერს „დენვერთან", 14 დეკემბერს - „ნიუ ორლეანთან" და 15 დეკემბერს - „დალასთან". სწორედ ამ მატჩებში უნდა ველოდოთ რუბიოს დაბრუნებას.

რიკი უკვე რამდენიმე კვირაა საერთო ჯგუფთან ერთად ვარჯიშობს, მაგრამ ჯერ არ უთამაშია 2012-13 წლების სეზონში.

■ ■ ■

როგორც ცნობილია, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ესპანელი ფორვარდი **პაუ გასოლი** არც ისე წარმატებით გამოდის მიმდინარე სეზონში. გუშინ გაზეთმა „ლოს ანჯელეს თაიმსმა" საკუთარ წყაროზე დაყრდნობით დაწერა, რომ გასოლმა უახლოეს პერიოდში, შესაძლოა, დაკარგოს ადგილი სასტარტო ხუთეულში.

ვარაუდობენ, რომ ძირითად შემადგენლობაში **ანტუან ჯეიმსონი** დაიკავებს ადგილს, რომელიც წარმატებით ცვლის პაუს, სანამ ეს უკანასკნელი მუხლებთან დაკავშირებულ პრობლემებს ებრძვის.

შეგახსენებთ, რომ უკვე რამდენიმე დღეა ასოციაციაში ვრცელდება ჭორები იმის შესახებ, რომ გასოლს ძალიან მალე სხვა კლუბში გაცვლიან. ფორვარდზე, რომელიც მიმდინარე რეგულარულში საშუალოდ 12.6 ქულასა და 8.8 მოხსნას აგროვებს, პრეტენზიას აცხადებენ „ტორონტო" და „მინესოტა".

■ ■ ■

ამასობაში „ტორონტოს" მთავარი მწვრთნელი **დუეინ კეისი** ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ უფრო მეტს ელის ლიტველი ცენტრისგან **იონას ვალანჩიუნასისგან** და უკვე ფიქრობს იმის შესახებ, რომ ახალბედა ჩამოაშოროს სასტარტო ხუთეულს და მისი ადგილი **ამირ ჯონსონს** ან **ედ დევისს** დაუთმოს.

*„ჩვენ მოთმინებას გამოვიჩენთ ამ ბიჭის მიმართ, თუმცა ხანდახან მას იმედგაცრუება მოაქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, ის იზრდება, მაგრამ ეს დიდი შეცდომების ფასად ხდება. ამიტომაც გავაგრძელებ მის დაყენებას სასტარტო შემადგენლობაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენ გვყავს ამირ ჯონსონი და ედ დევისი, რომლებიც ყოველთვის მზად არიან დასახმარებლად"*, - განაცხადა კეისიმ, რომლის გუნდმაც რეგულარულის 20 სასტარტო შეხვედრაში მხოლოდ ოთხი მატჩი მოიგო. თავად ვალანჩიუნასის საშუალო სტატისტიკაა - 8.6 ქულა და 5.5 მოხსნა.

**სან ანტონიო–ჰიუსტონი 114:92**

**29:21, 28:24, 30:21, 27:26**

ს-ა: პარკერი (17+7 პასი), სპლიტერი (15), დანკანი (12+12 მოხსნა+3 პასი), ნილი (12), მილსი (12), ჯინობილი (12).

ჰ: ჰარდენი (29+5 პასი), პატერსონი (10+5 პასი), დაგლასი (10).

**იუტა–ტორონტო 131:99**

**25:29, 38:23, 32:24, 36:23**

ი: მილსეპი (20+10 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), კანტერი (18+8 მოხსნა), ჰეივორდი (17), მარვ. უილიამსი (14), ფოიე (13+3 დაფარება), მო უილიამსი (11+10 პასი), კეროლი (11+8 მოხსნა), ევანსი (10).

ტ: ბარნიანი (20+8 მოხსნა), დეროზანი (17), პიეტრუსი (13+3 დაფარება), ლოური (10), ჯონსონი (10).

**ოკლაჰომა–ლეიკერსი 114:108**

**26:27, 41:26, 22:22, 25:33**

ო: დურანტი (36+9 მოხსნა), უესტბრუკი (33+8 პასი), იბაკა (14), კოლისონი (13+7 მოხსნა), მარტინი (11).

ლ: ბრაიანტი (35+7 პასი+3 ჩაჭრა), ჰოვარდი (23+18 მოხსნა), მიქსი (17), დუპონი (14).

**საკრამენტო–ორლანდო 91:82**

**25:16, 21:18, 16:30, 29:18**

ს: კაზინსი (17+14 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტომასი (17), ფრედეტი (15), ტომპსონი (12), ბრუქსი (11).

ო: დევისი (20+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), აფლალო (18), ნელსონი (17+6 პასი), ნიკოლსონი (14).

### 8 დეკემბერი

**კლიპერსი–ფინიქსი 117:99**

**28:31, 35:26, 22:26, 32:16**

კ: გრიფინი (24+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), კროუფორდი (21), პოლი (16+11 პასი), ბარნსი (13+8 მოხსნა), ბლედსოუ (10).

ფ: ბიზლი (21+5 პასი), ბრაუნი (19), სკოლა (18+10 მოხსნა), მორისი (13).

**ვაშინგტონი–გ. სტეიტი 97:101**

**21:28, 26:22, 23:21, 27:30**

ვ: ჯორ. კროუფორდი (22+7 მოხსნა+8 პასი), ბილი (17+6 პასი), სერაფინი (14), მარტინი (14), სინგლტონი (10).

გ-ს: ლი (24+17 მოხსნა), ტომპსონი (23+5 პასი), კარი (22+5 პასი), ლენდრი (12+9 მოხსნა).



რიკი რუბიო

### 7 დეკემბერი

**ფილადელფია–ბოსტონი 95:94 (ო)**

**28:28, 18:22, 26:20, 17:19, 6:5**

ფ: ტერნერი (26+10 მოხსნა+5 პასი), ტ. იანგი (17+12 მოხსნა), ჰოლიდეი (15+3 ჩაჭრა), რიჩარდსონი (13+5 ჩაჭრა), ჰოუზი (10), ალენი (8+11 მოხსნა).

ბ: პირსი (27+5 პასი), გრინი (19+8 მოხსნა), გარნეტი (17+10 მოხსნა), რონდო (16+13 მოხსნა+14 პასი+3 ჩაჭრა+3 დაფარება).

**ინდიანა–დენვერი 89:92**

**28:22, 22:29, 18:18, 21:23**

ი: ჯორჯი (22+6 პასი), უესტი (18+11 მოხსნა), ჰილი (15+10 პასი+3 დაფარება), სტივენსონი (12), ჰიბერტი (10+9 მოხსნა+3 დაფარება).

დ: მაკგი (20+8 მოხსნა), ბრიუერი (20), მილერი (15+8 პასი), კუფოსი (12+5 მოხსნა), იგუოდალა (10).

**ბრუკლინი–გ. სტეიტი 102:109**

**31:24, 32:31, 19:29, 20:25**

ბ: ჯონსონი (32), უილიამსი (23+8 პასი), ბლეტჩი (22+15 მოხსნა+4 ჩაჭრა).

გ-ს: ლი (30+15 მოხსნა), კარი (28+5 პასი), ჯეკი (15+8 პასი), ტომპსონი (13+5 პასი), გრინი (6+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ატლანტა–ვაშინგტონი 104:95**

**31:19, 23:22, 26:30, 24:24**

ა: სმიტი (23+15 მოხსნა), ტიგი (19+6 პასი), ჰარისი (15+6 პასი), სტივენსონი (15), ჰორფორდი (14+14 მოხსნა).

ვ: სერაფინი (19+7 მოხსნა), ბილი (18), ჯორ. კროუფორდი (14+5 პასი), ნენე (12).

**დეტროიტი–ჩიკაგო 104:108**

**30:26, 25:24, 19:28, 30:30**

დ: სტაკი (24+7 პასი), ნაითი (21), ვილანუევა (15), მონრო (13), პრინსი (13).

ჩ: ნოა (30+23 მოხსნა+6 პასი), ბუზერი (24), დენგი (16+6 პასი), ბელინელი (16), ჰაინრიხი (13+6 პასი).

**ნიუ ორლეანი–მემფისი 89:96**

**17:22, 22:29, 27:20, 23:25**

ნ-ო: ანდერსონი (15), რობერტსი (15), რივერსი (15), სმიტი (14+5 დაფარება), ჰენრი (12).

მ: გეი (28+8 მოხსნა+5 პასი), პონდექსტერი (16), რენდოლფი (15+7 მოხსნა), გასოლი (13+9 მოხსნა).

**მინესოტა–კლივლენდი 91:73**

**25:16, 19:21, 22:20, 25:16**

მ: ლავი (36+13 მოხსნა), რიდნური (12+7 პასი), ბარეა (10).

კ: გი (16), მაილზი (13), სლოუნი (10), ვარეჟაო (4+14 მოხსნა).

**მილუოკი–შარლოტი 108:93**

**33:20, 25:20, 28:21, 22:32**

მ: ილიასოვა (21+12 მოხსნა), დენიელსი (18), ჯენინგსი (15+8 პასი+3 ჩაჭრა), ელისი (13+5 პასი), სანდერსი (8+10 მოხსნა+5 დაფარება).

შ: ჰენდერსონი (19), უოკერი (16+6 პასი+3 ჩაჭრა), კიდ-გილკრისტი (11+11 მოხსნა).

**შარლოტი–სან ანტონიო 102:132**

**23:32, 21:27, 23:38, 35:35**

შ: უოკერი (23), ჰენდერსონი (13), სეშენსი (12), ტეილორი (10).

ს-ა: გრინი (23), პარკერი (22+9 პასი), მილსი (13), ჯინობილი (11+7 პასი), დანკანი (11+3 დაფარება), დე კოლო (10+8 მოხსნა+6 პასი), სპლიტერი (10).

**ბოსტონი–ფილადელფია 92:79**

**24:16, 24:12, 22:29, 22:22**

ბ: გარნეტი (19), გრინი (16), პირსი (13+9 პასი), ბასი (10), რონდო (7+9 მოხსნა+11 პასი+3 ჩაჭრა).

ფ: ტ. იანგი (22), ტერნერი (13), ჰოლიდეი (11+8 პასი).

**მაიამი–ნიუ ორლეანი 106:90**

**31:32, 33:15, 22:25, 20:18**

მ: უეიდი (26), ჯეიმსი (24+7 პასი), ბოში (13+3 დაფარება), ბატიე (11), ალენი (11).

ნ-ო: ანდერსონი (24), ლოპესი (20+8 მოხსნა), სმიტი (12).

**კლივლენდი–დეტროიტი 97:104**

**22:25, 30:24, 18:27, 27:28**

კ: პარგო (24), ვარეჟაო (16+13 მოხსნა+5 პასი), მაილზი (15), ზელერი (13+8 მოხსნა), გი (12+9 მოხსნა).

დ: ნაითი (30+7 მოხსნა+5 პასი), პრინსი (14+8 მოხსნა), მონრო (11), სტაკი (10+6 პასი), მაქსიელი (10).

**ჩიკაგო–ნიუ იორკი 93:85**

**26:23, 17:18, 24:24, 26:20**

ჩ: დენგი (22+3 ჩაჭრა), ბელინელი (22), რობინსონი (14+8 პასი), ბუზერი (12+10 მოხსნა), ნოა (10+11 მოხსნა+4 დაფარება).

ნ-ი: ფელტონი (27+5 პასი), სმიტი (15), ჩენდლერი (14+18 მოხსნა).

**მემფისი–ატლანტა 83:93**

**22:21, 25:20, 13:32, 23:20**

მ: რენდოლფი (18+13 მოხსნა), გასოლი (18+8 მოხსნა+5 პასი), გეი (17+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), კონლი (12).

ა: სმიტი (24+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), უილიამსი (21), ჰორფორდი (19+14 მოხსნა), ტიგი (13+6 პასი).

**ჰიუსტონი–დალასი 109:116**

**24:39, 42:24, 23:21, 20:32**

ჰ: ჰარდენი (39+9 პასი), პარსონსი (18+10 მოხსნა+5 პასი), დაგლასი (13), პატერსონი (12), დელფინო (10).

დ: მაიო (40+8 მოხსნა), კამანი (20+7 მოხსნა), კოლისონი (12+5 პასი), კარტერი (12).

**პორტლენდი–საკრამენტო 80:99**

**18:30, 23:13, 24:34, 15:22**

პ: ოლდრიჯი (17+10 მოხსნა), ჰიქსონი (14+15 მოხსნა), მეტიუზი (14), ლილარდი (12+9 პასი).

ს: კაზინსი (19+12 მოხსნა), სალმონსი (19+11 პასი), ბრუქსი (14), ტომპსონი (12+8 მოხსნა), გარსია (12), აუთლო (11).

**გია თვალაბეიშვილი**

ჰოკეი

# სულელური სიტუაცია



არანაირი სიახლე არ არის ოკეანის გაღმა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მიმდინარე ლოკაუტთან დაკავშირებით. NHL-ის კომისრის თანაშემწის **ბილ დეილის** თქმით, ამ მომენტისთვის პროფკავშირებთან მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა და ლიგას არანაირი ახალი იდეა არ გააჩნია კოლექტიური ხელშეკრულების მომავალ განხილვასთან დაკავშირებით.

*„ამ მომენტისთვის მე არ მაქვს პროფკავშირებთან დაკავშირების სურვილი და მიზეზი, - მოჰყავს დეილის სიტყვები სააგენტო AP-ს. - მე არ გამაჩნია ახალი იდეები მოლაპარაკებების გაგრძელებასთან დაკავშირებით. იქნებ, პროფკავშირებს ჰქონდეთ რაიმე ახალი. ჩვენ მზად ვართ მოვუსმინოთ მათ“.*

ამასობაში, სულ უფრო სერიოზულად ფიქრობს ევროპაში გადაბარგებას „პიტსბურგის“ ფორვარდი **სიდნი კროსბი**. კანადური ჰოკეის უპირველეს ვარსკვლავს არ მოსწონს დღევანდელი სიტუაცია და ოკეანის გაღმა გადასვლას აპირებს. შეგახსენებთ, რომ ადრე იტყობინებოდნენ კროსბის შესაძლო ტრანსფერის შესახებ შვეიცარიის ლიგაში.

*„უბრალოდ, მინდა საყვარელი საქმით ვიყო დაკავებული - ვითამაშო ჰოკეი, - ამბობს ESPN-თან კომენტარში კროსბი. - ახლა, სულ უფრო მეტად ვიხრები იქითკენ, რომ ევროპაში გადავიდე სათამაშოდ. ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სიტუაცია სულ უფრო და უფრო სულელური ხდება.*

სამთო თხილამურები

# ნაწილობრივი სენსაცია

მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი **მარსელ ჰირშერი** გუშინ ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც შეძლო საფრანგეთის კურორტ ვალ დ'იზერში გიგანტური სლალომის ეტაპზე გერმანელი **შტეფან ლუიცის** სენსაციური გარღვევის შეჩერება.

სამთო თხილამურებში ხანდახან ხდება სასწაულები, განსაკუთრებით მაშინ, როცა ლაპარაკია ტექნიკურ დისციპლინებზე. სპეციალურ და გიგანტურ სლალომებში, მეორე ცდის დროს მესამე ათეულიდან პოდიუმისკენ გარღვევა იშვიათობაა, მაგრამ მსგავსი რამ, პერიოდულად გვხვდება ხოლმე. თუმცა, ჩვეულებრივ, ასეთ პროგრესს მაღალი დონის მოთხილამურეები აღწევენ, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით სერიოზული შეცდომა დაუშვეს პირველი დაშვების დროს.

გუშინ, თავისი პირველი გარღვევა შეასრულა 20 წლის გერმანელმა **შტეფან ლუიცმა**, რომელიც გიგანტურ სლალომში ერთ-ერთ უნიჭიერეს ახალგაზრდა სპორტსმენად არის მიჩნეული. პირველი ცდის შემდეგ, ლუიცი მხოლოდ 25-ე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა შტეფანი, რომელმაც მეორე დაშვებისას ბრწყინვალე გამოსვლა აჩვენა და საუკეთესო დრო დააფიქსირა.

ორი ცდის ჯამში მის დროს კარგა ხანი ვერავინ აუმჯობესებდა, მაგრამ გერმანელს მაინც არ ეწერა გამარჯვება. მისი შეჩერება მხოლოდ **მარსელ ჰირშერმა** შეძლო, რომელიც მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელია საერთო ჩათვლასა და გიგანტურ სლალომში. ავსტრიელმა შეძლო წელს ამ დისციპლინაში ამერიკელი **ტედ ლიგეტის** დომინირების დამხობა. ეს უკანასკნელი, გუშინ მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდა წინ დღის ტრიუმფატორს, ფრანგ **ალექსის პინტუროს**, მაგრამ მან სერიოზული შეცდომა დაუშვა.



მარსელ ჰირშერი

ლუიცი არ ყოფილა ერთადერთი გერმანელი, რომელმაც გუშინ „გაისროლა“. **ფელიქს ნოიროიტერი**, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სლალომისტია, მაგრამ გიგანტურ სლალომში დიდად არ გამოირჩევა, საბოლოოდ, ორი ცდის ჯამში მეოთხე ადგილზე გავიდა. როგორც ჩანს, გერმანიის ნაკრები, ნელ-ნელა გამოდის მრავალწლიანი და ღრმა კრიზისიდან.

**გიგანტური სლალომი**

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:54.10; 2. **შტეფან ლუიცი** (გერმანია) - +1.16; 3. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - +1.42; 4. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - +1.59; 5. **მასიმილიანო ბლარდონე** (იტალია) - +1.69; 6. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - +1.96...

ჩოგბურთი

# მონფილსი მიდის?



გაელ მონფილსი

წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი, 49 წლის **ანრი ლეკონტი** აცხადებს, რომ მისმა თანამემამულემ, 26 წლის **გაელ მონფილსმა**, რომელიც 77-ე ადგილს იკავებს ATP-ის რეიტინგში, შესაძლოა, სულ მალე დაასრულოს პროფესიული კარიერა.

*„არ გამოვრიცხავ, რომ მონფილსმა სულ მალე დაამთავროს გამოსვლა პროფესიულ ტურში, - ამბობს ანრი ლეკონტი სააგენტო AP-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. - რა თქმა უნდა, ყველას გვაქვს იმედი, რომ ასეთი რამ არ მოხდება, მაგრამ ახლა, გაელს ძალიან უჭირს. მან უბრალოდ არ იცის, როგორ მოიქცეს. მთელი ეს ფიქრები სპორტზე, საკუთარ ოჯახსა და ცხოვრებაზე მას გონებას უფანტავს და ხელს უშლის სწორი გადაწყვეტილების მიღებაში“.*

*„ბოლო ორი წლის განმავლობაში, ის ვერაფრით ახერხებს საკუთარი გზის პოვნას. უნდა ვაღიარო, რომ მე ამის გამო ძალიან განაწყენებული ვარ, რადგან გაელი ძალიან ნიჭიერი ჩოგბურთელია“,* - აღნიშნა ფრანგმა.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **პარაგვაი** | |
| ნასიონალი-სერო პორტენიო | 0:1 |
| **ურუგვაი** | |
| ფენიქსი-რივერ პლეიტი | 2:2 |
| დეფენსორი-სერო | 2:0 |
| სერო ლარგო-დანუბიო | 1:1 |
| ბელა ვისტა-სენტრალი | 0:1 |
| პროგრესო-რასინგი | 1:2 |
| ხუვენტუდი-ელ ტანკე | 0:2 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნი ჰ-პერტი | 1:0 |
| ნიუკასლი-სენტრალი | 0:2 |
| ველინგტონი-სიდნეი | 1:2 |
| სიდნეი უონდერერსი-ბრისბენი | 1:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბაიერნი-ბონი | 104:91 |
| ბაიროიტი-ულმი | 59:73 |
| ვიურცბურგი-ბრაუნშვაიგი | 68:73 |
| გისენი-ალბა | 61:71 |
| **საბერძნეთი** | |
| კოლოსოსი-დრამასი | 82:76 |
| რეტიმნო-ოლიმპიაკოსი | 64:78 |
| **ესპანეთი** | |
| ხუვენტუდი-ბარსელონა | 63:78 |
| ბილბაო-კახასოლი | 76:79 |
| მანრესა-სარაგოსა | 75:82 |
| ფუენლაბრადა-კანარიასი | 65:73 |
| ვალიადოლიდი-ვალენსია | 74:66 |
| ლაგუნ არო-გრან კანარია | 72:94 |
| უნიკახა-ობრადოირო | 70:76 |
| კახა ლაბორალი-მურსია | 87:83 |
| ესტუდიანტესი-რეალი | 74:87 |
| **იტალია** | |
| აველინო-რომა | 79:94 |
| ბრინდიზი-იუვე კაზერტა | 82:74 |
| ვარეზე-მონტეგრანარო | 106:88 |
| კანტუ-ბიელა | 85:62 |
| სასარი-რეჯო ემილია | 105:84 |
| ვენეცია-ბოლონია | 65:51 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ანტალია | 86:69 |
| ალიაგა-მერსინი | 73:82 (ო) |
| ფენერბაჰჩე-ბანვითი | 89:69 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| ესპანეთი-რუმინეთი | 26:31 |
| ჩერნოგორია-უნგრეთი | 28:26 |
| რუსეთი-გერმანია | 26:26 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| დინამო (მნ)-დინამო (რ) | 2:1 |
| **ავსტრია** | |
| გრაცი-დორნბირნი | 5:3 |
| ზალცბურგი-ოლიმპია | 4:0 |
| ზნოიმო-ვილახი | 7:2 |
| ინსბრუკი-კლაგენფიურტი | 1:8 |
| ზაგრები-ალბა | 3:0 |
| ლინცი-ვენა | 1:3 |
| **გერმანია** | |
| ჰანოვერი-ჰამბურგი | 3:2 |
| ინგოლშტადტი-შტრაუბინგი | 3:1 |
| ვოლფსბურგი-იზერლონი | 4:1 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 1:4 |
| მანჰაიმი-მიუნხენი | 2:5 |
| კიოლნი-აუგსბურგი | 5:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-რუსენბორგი | 13:1 |
| სტორჰამარი-ლორენსკოგი | 5:4 (ო) |
| სტრიერნენი-ტონსბერგი | 4:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ნიტრა | 2:1 |
| ზვოლენი-ჟილინა | 1:2 |
| მარტინი-ტრენჩინი | 6:3 |
| პოპრადი-კოშიცე | 4:5 |
| სკალიცა-პიესტანი | 4:5 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-ხომუტოვი | 1:2 (ბ) |
| სლავია-ბრნო | 1:3 |
| კარლოვი ვარი-პლზენი | 1:2 |
| ჟლინი-ლიტვინოვი | 5:1 |
| პარდუბიცე-ბუდეიოვიცე | 1:3 |
| სპარტა-კლადნო | 6:3 |
| ვიტკოვიცე-ტრშინეცი | 4:1 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ვექსიო | 1:2 |

TV პროგრამა

**10 დეკემბერი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტური. ბოკა ხუნიორსი-გოდოი.
12:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVI ტური. ეინდჰოვენი-ტვენტე.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. სანდერლენდი-ჩელსი.
16:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტური. ატლეტიკო-ველეს სარსფილდი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XVI ტურის მიმოხილვა.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. არსენალი-ვესტ ბრომვიჩი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. XVI ტური.ს მიმოხილვა.
22:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
23:00 პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. XVI ტური. ფულემი-ნიუკასლი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-ვერდერი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ინდიანა.
15:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მილანი-ზენიტი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზა-ოსპრეი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-გრონინგენი.
22:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-დეტროიტი.
00:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ოკლაჰომა-ინდიანა.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
12:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 რაგბი. ჰეინეკენის თასი. ნოსთჰემპტონი-ალსტერი.
15:30 კალათბურთი. ევროლიგა. რეგულარული სეზონი. IX ტური. პანათინაიკოსი-ფენერბახჩე
17:30 სპორტ-NEWS.
18:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. უდინეზე-ლივერპული.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-ბოსტონი.
22:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 7 | (მზე) |
| ქუთაისი | 6 | 19 | (მზე) |
| ბათუმი | 6 | 19 | (მზე) |
| ფოთი | 4 | 18 | (მზე) |
| ზუგდიდი | 1 | 18 | (მზე) |
| გორი | -3 | 11 | (მზე) |
| თელავი | 4 | 7 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 3 | 7 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | -9 | 5 | (მზე) |
| ბორჯომი | 7 | 9 | (მზე) |
| მესტია | -6 | 8 | (მზე) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1523 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6642 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6680 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3741 |

მოტოსპორტი

# ისევ შუმი, ისევ მოტო

გასულ უქმეებზე, ლეგენდარული **მიხაელ შუმახერი** ისევ მიუჯდა მოტოციკლის საჭეს. ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მონაწილეობას იღებდა ენერგეტიკული სასმელის - Monster-ის სარეკლამო რგოლის გადაღებებში. გადასაღებ მოედნად არჩეული იყო საფრანგეთში **პოლ რიკარის** სახელობის ავტოდრომი.

მიხაელთან ერთად, გადაღებებში მონაწილეობას იღებდნენ ცნობილი მოტომრბოლელები - **პოლ ესპარგარო, რენდი მამოლა, ჯონ მაკგინესი** და ჯგუფ The Prodigy-ის ვოკალისტი **კიტ ფლინტი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# მექსიკური ვენდეტა

## მენი პაკიაო ორი წუთი უგონოდ იყო







კვირას, ლას ვეგასში გაიმართა დიდი საკრივო საღამო, რომლის მთავარ ბრძოლაში ერთმანეთს შეხვდნენ ფილიპინელი **მენი პაკიაო** (54-4-2, 38KO) და მექსიკელი **ხუან მანუელ მარკესი** (54-6-1, 39KO). ეს იყო ბოლო რვა წლის განმავლობაში ამ მოკრივეთა რიგით მეოთხე შეხვედრა და მასში თამაშდებოდა 66.7 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBO-ის სპეციალური ქამარი - „ათწლეულის საუკეთესო მოკრივე". ამით აღნიშნულ საკრივო ორგანიზაციას პაკიაოს წახალისება სურდა, რომელსაც მსაჯებმა ფაქტობრივად წაართვეს გამარჯვება ივნისში **ტიმოტი ბრედლისთან** შეხვედრაში.

გარანტირებულმა საპრიზო ფონდმა 11.6 მილიონი დოლარი შეადგინა, საიდანაც ფილიპინელს 8.595 მილიონი ეკუთვნოდა. მენი პაკიაო ბევრი ექსპერტის მიერ ყველა წონის გათვალისწინებით თანამედროვეობის საუკეთესო მოკრივედ არის მიჩნეული, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა მისი ბრძოლის ორგანიზება ნახევრად საშუალო წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონთან, დაუმარცხებელ ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერთან**.

როგორც უკვე ვთქვით, მეტოქეები მეოთხედ ხვდებოდნენ ერთმანეთს. პაკიაოსა და მარკესის პირველი ბრძოლა 2004 წელს გაიმართა და მაშინ თამაშდებოდა WBA-ის (მას ფლობდა მარკესი) და IBF-ის (პაკიაო) ტიტულები 57.1 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში. პირველ რაუნდში მარკესი ორჯერ მოხვდა ნოკდაუნში, მაგრამ შეძლო სიტუაციის გათანაბრება და ბრძოლის ბოლომდე მიყვანა. მსაჯებმა ფრე დააფიქსირეს, მაგრამ მაშინ ბევრი ამბობდა, რომ მარკესმა მხოლოდ იმიტომ არ წააგო, რომ პაკიაოზე მეტი ავტორიტეტი ჰქონდა.

მეორე ბრძოლა 2008 წელს გაიმართა და მენიმ მსაჯების გაყოფილი გადაწყვეტილებით გაიმარჯვა. ბრძოლა 59 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გაიმართა და თამაშდებოდა მარკესის კუთვნილი WBC-ის ტიტული. მექსიკელი ისევ აღმოჩნდა ნოკდაუნში, მაგრამ ფილიპინელს მაინც ბევრი უსიამოვნება მოუტანა, ამიტომაც ვერავინ უწოდა პაკმენის გამარჯვებას ღირსეული.

დაბოლოს, 2011 წლის ნოემბერში ძველი მეტოქეები ისევ ლას ვეგასის რინგზე შეხვდნენ ერთმანეთს და გაითამაშეს 66.7 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში WBO-ის ტიტული, რომელსაც პაკიაო ფლობდა. გამარჯვება ისევ პაკიაომ მოიპოვა, თუმცა სამიდან ერთმა მსაჯმა ფრე დააფიქსირა. ბრძოლას „წლის ქურდობა" უწოდეს, რადგან ქულებით მოგება მარკესს ეკუთვნოდა. ამ ბრძოლის შემდეგ, პაკიაოს რეპუტაცია სერიოზულად შეირყა, მით უმეტეს, რომ ფილიპინელმა შემდეგი ბრძოლაც წააგო, თუმცა აქ უკვე მენის წაართვეს მსაჯებმა დამსახურებული გამარჯვება.

### ბრძოლა

რიგით მეოთხე ბრძოლა საშუალო ტემპში დაიწყო, მოკრივეებმა უარი თქვეს სიტუაციის ფორსირებაზე. მოკრივეები ერთმანეთს კარგად იცნობენ და უბრალოდ, ზედმეტ რისკს ერიდებოდნენ. მაგრამ მესამე რაუნდმა სურათი შეცვალა. მარკესმა გონგამდე წუთით ადრე ტემპი გაზარდა და ყბაში ძლიერი დარტყმით ნოკდაუნში გაგზავნა ფილიპინელი. მენი მძიმედ წამოდგა, მაგრამ სახეზე ჩვეული ღიმილი მაინც დასთამაშებდა.

ამ ნოკდაუნმა ნამდვილ „ჩეხვას" დაუდო სათავე. გონგის წინ მენიმ პასუხის გაცემა სცადა, მაგრამ მექსიკელმა გაუძლო მეტოქის შემოტევებს, შემდეგ რაუნდში კი არაფრის საშუალება არ მისცა აზიელს. ისე ჩანდა, რომ ხუან მანუელმა წინასწარ იცოდა მოწინააღმდეგის ყველა სვლა.

მაგრამ მეხუთე რაუნდში პაკიაომ მაინც მოარტყა მარკესს - მარჯვნიდან დარტყმით ნოკდაუნში ჩააგდო მეტოქე. გონგამდე მოწინააღმდეგეებმა ძლიერი დარტყმები გაცვალეს.

ამის შემდეგ პაკიაომ ინიციატივა მოიპოვა. თუმცა შეტევებით ზედმეტად გართობა დაუშვებელი იყო, რადგან ბაგირებთან მიმწყვდეული მარკესი მაინც ახერხებდა პასუხის გაცემას. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევის დროს, მექსიკელმა მარჯვნიდან დარტყმა შეაგება მენის, რომელიც მოცელილივით დაეცა რინგზე.

თავდაპირველად, მექსიკელმა ვერ ალიქვა მომხდარი. მხოლოდ რამდენიმე წამის შემდეგ, გამარჯვების ნიშნად ხელები აღმართა. ამ დროს, პაკიაო გონს მოსვლას ვერ ახერხებდა. ის უგრძნობლად იწვა რინგზე და გარს მისი გუნდის წევრები შემოეხვივნენ. ისტერიკაში ჩავარდნილ მოკრივის მეუღლეს პაკიაოს მწვრთნელი **ფრედი როუჩი** აწყნარებდა. მენიმ მხოლოდ ორი წუთის შემდეგ გაახილა თვალები და მისმა გუნდმაც შვებით ამოისუნთქა. ცოტა ხანში კი პაკიაომ თავის მეტოქეს გამარჯვება მიულოცა. როგორც ჩანს, მენის კარიერა დასასრულს უახლოვდება. მენიმ ზედიზედ მეორე ბრძოლა წააგო, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ პაკმენმა ისევ შეგვახსენოს თავი.

### ბრძოლის შემდეგ

*„მე ლოდინის ტაქტიკა ავირჩიე. ვიცოდი, რომ თუ პირველი ნოკდაუნის შემდეგ შეტევაში წავიდოდი, შესაძლოა, მენის ერთი დარტყმით ნოკაუტში ჩავვარდნილიყავი, - განაცხადა ბრძოლის შემდეგ მარკესმა. - მან კარგად მომარტყა, როცა ნოკდაუნში აღმოვჩნდი. მიუხედავად ამისა, ვიცოდი, რომ მაინც მქონდა მოგების კარგი შანსი".*

*„ძალიან მაგრად მომარტყა, შესანიშნავი დარტყმა გამოუვიდა, - განაცხადა პაკიაომ. - საშიში არაფერია. ეს არის კრივი, აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს".*

*„პაკიაომ სიფრთხილე დაკარგა და ამის გამო დაისაჯა. ის ძალიან სწორხაზოვნად მოქმედებდა, - ეს პაკიაოს მწვრთნელის ფრედი როუჩის სიტყვებია. - შესაძლოა, მან დაასრულოს კარიერა, შესაძლოა, რევანში შედგეს. ჯერ არ ვიცი, რა გზას აირჩევს ჩემი შეგირდი. ყველაფერი მის მდგომარეობაზე და სურვილზე იქნება დამოკიდებული. დავბრუნდებით სატრენაჟორო დარბაზში და თუ მისი საერთო მდგომარეობა არ მომეწონება, კარიერის დასრულებას ვურჩევ".*

რევანშის თემას პაკიაოს პრომოუტერი **ბობ არუმი** შეეხო: *„ხალხს მოეწონა ეს შოუ. მათ უყვართ ასეთი ბრძოლები. თუ კიდევ ერთ შანსს მოგვცემენ, მზად ვარ ორგანიზება გავუწიო მარკესსა და პაკიაოს შორის მეხუთე ბრძოლას".*

*„რატომაც არა. თუ იქნება ასეთი შანსი, მე მზად ვარ მას კიდევ ერთხელ შევხვდე", - განაცხადა პაკმენმა.*

**გია თვალაბეიშვილი**







დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

**პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:35

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608